პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 12 აგვისტო 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 182 (1727)

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.
- ესპანეთ - იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ნეიტრალიტეტის შესახებ.
- იაპონელ ფეიქართა გაფიცვა ხამანაცუში გამარჯვებით დამთავრდა.
- სამხრეთ - სლავიაში საშინელი ტერორია გამეფებული არჩევნებთან დაკავშირებით.
- საბერძნეთში შეტაკება მოხდა გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის.
- ლოძის გაფიცული მუშების მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს.

ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის საკითხი

კომპარტიის ცეკას ოქტომბრის პლენუმმა განსაკუთრებით ფართოდ და კონკრეტულად დასვა ჩვენს წინაშე ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის საკითხი. მას შემდეგ საკმაოდ ბევრმა დრომ განვლო, რომ გადავხედოთ ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას და შესაფერისი დასკვნები გავაკეთოთ აქედან.

უნდა აშკარათ ითქვას რომ ჩვენი ძირითადი პარტიული ორგანიზაციები ყველგან მომზადებულათ ვერ შეხვდენ ცეკას პლენუმის დირექტივას ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნის შესახებ და ამ მხრივ დღესაც არ შეიძლება მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

მაგალითისათვის სახელდახელოდ ვღებულობთ ორ წერილს იმ მრავალ კორესპონდენციებიდან, რომელიც რედაქციას მოსდის ჩვენი პარტუჯრედების მუშაობის შესახებ: ერთს აღმოსავლეთ საქართველოდან და მეორეს დასავლეთ საქართველოს სინამდვილიდან. აი, რას გვწერს კაკაბეთის (სიღნაღის მ.) თემკომის მუშაობის შესახებ კორესპონდენტი: „ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა არ სწარმოებს, **ღარიბთა ჯგუფები ჯერაც არაა ჩამოყალიბებული**“.

კიდევ უფრო უნუგეშო სურათია შორაპნის მაზრის, ხრეითის თემში. აქ, როგორც პარტკორი გვატყობინებს, მდგომარეობა ასეთია: „ს. ხრეითში **ღარიბეს გლეხთა შორის მუშაობის ფორმებს უჯრედი არ არის გაცნობილი,** ღარიბესი ჯგუფები ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული, გლეხკომებზე ხელმძღვანელობა ძალზე სუსტია, უჯრედში ნაკლებად ისმება საკითხი ღარიბეს გლეხთა და მოჯამაგირეთა მდგომარეობის შესახებ“.

ვინც რამდენადმე დაახლოებით იცნობს ჩვენს სოფლად მომუშავე პარტორგანიზაციების საქმიანობას, მისთვის უდაოა, რომ კაკაბეთ-ხრეითის მაგალითი არც ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ამრიგად, პარტიის უდიდესი მნიშვნელობის დავალების გატარებას სოფლად მუშაობის შესახებ წარსული წლის ოქტომბრიდან, ვიდრე დღემდე, ბევრგან არც კი ცდილან. პარტუჯრედები, როგორც კორესპონდენტი გადმოგვცემს, არც კი ყოფილან გაცნობილი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის კონკრეტ ფორმებს, რომელიც ცეკას ოქტომბრის პლენუმმა დასახა.

აქ, ცხადია, ბრალი მარტო ადგილობრივ ძირითად პარტორგანიზაციებს არ დაედება. ამის მიზეზები ერთი მხრივ უნდა ვეძიოთ ჩვენი პარტაპარატის საზოგადო ტკივილებში და მეორე მხრივ ცენტრისა და ძირითად ორგანიზაციების დამაკავშირებელ პარტიულ ინსტანციების მოუქნელობაში და შეიძლება ზოგჯერ ამ ორგანიზაციების გულგრილობაშიაც კი. ასეთია ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის საკითხის ერთი მხარე. რაც შეეხება მეორე მხარეს, აქ შემდეგ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

სოფლად მომუშავე პარტუჯრედების უდიდეს ნაწილში ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის საკითხი იდგა, როგორც პრაქტიკული ამოცანა და ამ მხრივ სათანადო ნაბიჯებიც იყო გადადგმული. განსაკუთრებით გაცხოველდა მუშაობა სოფლის ღარიბეს მოსახლეობას შორის საბჭოების უკანასკნელ არჩევნების დროს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბევრგან ცეკას დირექტივა ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნის შესახებ ვერ იქნა სწორად გაგებული და ამიტომ ამ ნიადაგზე მრავალ გაურკვევლობას და გაუგებრობასაც კი ჰქონდა ადგილი. ეს ადვილი ასახსნელიცაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საკითხი თავისთავად ახალი იყო და პარტორგანიზაციებს არ ჰქონიათ საიმისო გამოცდილება, რომ საქმე თავიდანვე უმტკივნეულოდ წაეყვანათ.

უმთავრესად აღსანიშნავია აქ ორი მავნე მიდრეკილება. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბ გლეხთა ჯგუფები ბევრგან გაიგეს, როგორც ღარიბი გლეხობის საერთო კრებები და ასეთი კრებების დროგამოშვებით მოწვევით საკითხი ამოწურულად მიაჩნდათ.

მეორე მიდრეკილება სულ წინააღმდეგ დასკვნამდე მიდიოდა. ღარიბ გლეხთა ჯგუფები მას წარმოედგინა, როგორც ცალკე ორგანიზაცია თავისი თავმჯდომარით, მდივანით და ერთი სიტყვით ჩვეულებრივ ორგანიზაციის ყოველგვარი ატრიბუტებით.

საკავშირო კომპარტიის ცეკამ, გაუკეთა რა ჯამი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას, საჭიროდ დაინახა დამატებითი და უფრო დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მიეცა ამ საკითხის შესახებ. პარტიის ძირითად ორგანიზაციებისათვის. აქ ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ: **„ღარიბთა ჯგუფები არ უნდა გადაიქცენ ორგანიზაციებათ, რომელნიც საბჭოებთან, კოოპერაციასთან და სხვებთან ერთად ეწევიან განცალკევებულ მუშაობას და ამ მუშაობით ენაცვლებიან საბჭოებს და სოფლის სხვა ორგანოებს“.**

„ღარიბთა ჯგუფების შექმნა შეიძლება საბჭოებთან და კოოპერატივების გამგეობებთან, ამ ორგანოთა წევრების შემადგენლობიდან — ღარიბებისა და ღატაკების გადარჩევით. ეს ჯგუფები იქმნებიან ამ ორგანიზაციათა მუშაობაში სოფლის ღარიბი მოსახლეობის ინტერესების უფრო მტკიცედ დასაცავად“.

ასეთია ცეკას დამატებითი განმარტებები ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნის შესახებ. საბჭოები და კოოპერატივების გამგეობანი—აი, სად უნდა იქნას გამოყოფილი ღარიბ გლეხთა ჯგუფები, რომელნიც იმუშავებენ **პარტორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.** იმ შემთხვევაში, როცა საბჭოებში და კოოპერატივების გამგეობაში ჩამოყალიბებული იქნება კომუნისტური ფრაქციები, ღარიბ გლეხთა ჯგუფები ამ ფრაქციებთან შეთანხმებით და მათთან მჭიდრო კავშირით იმუშავებენ. როცა ასეთი შესაძლებლობა არ არის, ღარიბ გლეხთა ჯგუფებს ხელმძღვანელობს პარტიული უჯრედი.

მალე ერთი წელიწადი შესრულდება, რაც ჩვენმა პარტიამ მიზნად დაისახა ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნა და მათი საშუალო გლეხობასთან ერთად კულაკობის წინააღმდეგ დაპირისპირება. რომლის აქტივობა იზრდება დანარჩენი მოსახლეობის პოლიტიკურ აქტივობასთან ერთად, ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ძირითად პარტორგანიზაციებმა ყველგან ვერ გაამართლეს პარტიის დირექტივა.

ამგვარი მდგომარეობის გაგრძელება შეუწყნარებელი დანაშაული იქნებოდა პარტიისა და მშრომელი გლეხობის წინაშე.

* * *

უნგრეთი და საბჭოთა კავშირი

საკითხი ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების შესახებ კაპიტალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის შორის განუწყვეტლივ ისმება იმ ქვეყნებში, რომლებმაც დღემდე ვერ მოახერხეს რაიმე სერიოზული ნაბიჯი გადაედგათ ამ მიმართულებით და განაგრძობდენ შორიდან ყურებას. მაგრამ მუდამ მაყურებლის როლში დარჩენამ ვერაფერი სარგებლობა მოუტანა მათ და კვლავ იწყებენ საკმაო დაჟინებით ლაპარაკს საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ. განსაკუთრებით ხმამაღლად „ბჭობენ“ ამის შესახებ ჰუნგრეთში. მკითხველები გაეცნობოდენ ამ დღეებში მთელ რიგ პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეების და მთავრობის წარმომადგენლების გამოსვლას ამ აზრით. ასეთსავე შეხედულებას იზიარებენ ჰუნგრეთის „საქმიანი“ წრეები. კიდევ გუშინ ჩვენს გაზეთებში დაიბეჭდა ამ ქვეყნის მსხვილი მრეწველების წარმომადგენლის განცხადება ბუდაპეშტის ერთ გაზეთში, სადაც ის ამბობდა:

„ჩვენ ვიცით, რომ იტალია, გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები და აგრეთვე ინგლისი და თვით ამერიკაც, ცდილობენ დაიხსნან რუსეთის ბაზარი იქ თავიანთი საქონლის შესაზიდად. ასეთ პირობებში, თავის-თავად ცხადია, ვერც ჩვენ ვიტყვით უარს ამ ბაზარზე რაღაც „წვრილმანი პოლიტიკური მოსაზრებების გამო“.

ჰუნგრელ დღევანდელ ბატონ-პატრონების ამ „წვრილმან პოლიტიკურ მოსაზრებებს“ საფუძვლად უძევს მათი სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელთა ეკონომიურ-პოლიტიკური რეჟიმისადმი, რომლის სუსხი თვითონ „იგემეს“, სამწუხაროდ არა დიდხანს და არა ისეთი შედეგებით, როგორც ეს „გასინჯეს“ რუსეთის ყოფილი იმპერიის გაბატონებულმა კლასებმა. ამ სიძულვილს საკმაო სრული, თუმცა რეგვნული გამოხატულება მისცეს ამ დღეებში, ამხ. რაკოშის პროცესის დროს, ჰუნგრეთის „მართლ-მსაჯულების“ მოციქულებმა, როდესაც ისინი პირწავარდნილი ლანძღვა-გინებით გამოდიოდენ საბჭოთა რესპუბლიკებისა და მათი მთავრობის წინააღმდეგ. ჰუნგრეთის დღევანდელმა ბურჟუებმა იცოდენ, რომ ხსენებული „წვრილმანი პოლიტიკური მოსაზრებები“ ერთ-ერთი წყაროა აგრეთვე ყოფილ მოკავშირე ქვეყნების რეაქციონური მთავრობები ან საზოგადოთ ის შავი ძალები, რომლებსაც ქსა თუ ის გავლენა აქვთ ამ ქვეყნების შინაურ და საგარეო პოლიტიკაზე. ჰუნგრეთიც, როგორც ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომლებიც დამარცხდნენ მსოფლიო ომში, ხელფეხშეკრულნი ჩაუვარდენ ხელში გამარჯვებულებს და, როგორც ამის შედეგი, განიცდიან დღეს ამ ახალი ბატონების „გამაჯანსაღებელ“ გავლენას, რასაკვირველია, იმდენად თავხედი ვერ იქნებოდა, რომ ანგარიში არ გაეწია თავისი მბრძანებლებისათვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც თვით ამ უკანასკნელებმა დაიწერეს პირჯვარი და შეუდგენ „ურჯულოებთან“ დაახლოებას, ცხადია ვასალების „ჯიუტობაც“ რამოდენიმედ შერბილდა და მათაც დაიწყეს ცქერა აღმოსავლეთისკენ.

ამ ახალი სიოს ქროლვას ჰუნგრეთის ხელმძღვანელ თავებში იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოკავშირეთა „გამაჯანსაღებელმა“ მუშაობამ საერთო დრტვინვა გამოიწვია ქვეყანაში. გარდა ამისა ამ ხელმძღვანელებმა ადვილ სამუშაოს მოჰკიდეს ხელი: ყალბი ფულების ჭრა დაიწყეს და ის, რაც ამას მოჰყვა შედეგად, ცხადია ვერ განამტკიცებდა მათში ყოყოჩობის, მიუკარებლობის და მედიდურობის გრძნობას, რომელიც ასე დამახასიათებელია რაიმე სერიოზულ სოციალურ დასაყრდენს მოკლებულ უპასუხისმგებლო მმართველების ხროვისათვის, როგორსაც ბეტლენის ამალა წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰუნგრეთის დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარის მოგზაურობა გამარჯვებულთა ქვეყნებში, სადაც ის ამაოდ ცდილობდა მისთვის ასე საჭირო ახალი დიდი სესხის მიღებას, ვერ გაამაგრებდა მასში იმ აზრს ჩვენდამი დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ნაკარნახები ჰქონდა მას თავიდანვე, როგორც დირექტივა საბჭოთა რესპუბლიკებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

ასეა თუ ისე, დღეს ლაპარაკია ჰუნგრეთში საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამ აზრს გასავალი აქვს, როგორც ვთქვით, ოფიციალურ წრეებში, რომელთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები აღარ მალავენ თავიანთ განზრახვებს.

დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იქნება ორივე მხარისთვის ეს ნორმალური ურთიერთობა—თუ ის როგორმე ჩამოყალიბდება—ამ დაჟინებითი ლაპარაკს ჩვენთან დაახლოების შესახებ აქვს საკმაოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. რადგან, თუ, მიუხედავად მტრული კამპანიისა, რომელსაც სისტემატიურად აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ უცხოეთში და განსაკუთრებით ისეთ ძლიერ და გავლენიან ქვეყანაში, როგორიც არის ინგლისი, ერთ-ერთი „შინაყმა“ ამ უცხოეთის, ჰუნგრეთი „ხმამაღლა ოცნებობს“ საბჭოთა რესპუბლიკებთან დაახლოებაზე—ეს მაჩვენებელია არა მარტო ბატონების გავლენის შესუსტებისა მასზე, არამედ იმ მძიმე შინაური ტკივილებისაც, რომელიც გამოიწვია ამ ბატონების პარპაშმა იქ და, გარდა ამისა, თვით იმ ასვრილი მდგომარეობისა, რომელსაც ადგილი აქვს ბალკანეთზე და მის მოსაზღვრე ქვეყნებში. ცხადია, რომ ევროპის სახელმწიფოების შინაური მდგომარეობა აიძულებს მათ პირი იბრუნონ აღმოსავლეთისაკენ და იქ ეძიონ თავიანთი დაავადების წამალი. მაგრამ ეს სურვილი დარჩება მხოლოდ სურვილად, თუ ამ ქვეყნებმა რამოდენიმედ მაინც ვერ გაინთავისუფლეს თავი უცხოეთის გავლენისაგან, რომელიც ლამობდა მუდამ და დღესაც სცდილობს თავისი ინტერესების იარაღად გახადოს ისინი და აკეთებინოს თავის და არა ამ ქვეყნების სასარგებლო საქმე. და სწორედ რამდენადაც ეს „ბჭობა“ ჩვენთან დაახლოების შესახებ გამოხატავს, თუ გინდ სუსტად, ასეთ მდგომარეობას, რამდენადაც ის მაჩვენებელია ბატონებსა და დამორჩილებულთა შორის იძულებითი კავშირის შესუსტებისა, იმდენად ყურადსაღებია ეს ფაქტი და შესაძლებელიც, რომ ამ დაჟინებითი **ლაპარაკს** მართლა მოჰყვეს რაიმე ხელშესახები საქმეც ორივე მხარის სასარგებლოდ.

ეს შესაძლებელია მოხდეს, მაგრამ არა უსათუოდ.

ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, რომ ის, ასე ვსთქვათ, ეკუთვნოდეს თავის თავს. ამას ვერ ვიტყვით ჰუნგრეთის შესახებ, როგორც ძნელია ამისავე ითქმა იმ ქვეყნებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ალაპარაკდენ ჩვენი ინიციატივით—ჩვენთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

* * *

კლასთა ბრძოლის გამწვავება ინგლისში

(„პრავდა“-ს მოწინავე)

ინგლისის პარლამენტი დათხოვნილია 9 ნოემბრამდე, რადგან ძალიან სცხელათ ფრიად პატივცემულ ბატონ დეპუტატებს. გაფიცულ სამთა-მადნო მუშათა პარლამენტი კი, საერთო სადელეგატო კონფერენცია, მხოლოდ დღეს იკრიბება. სწარმოებს თუ არ სწარმოებს პარლამენტის სხდომები, ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება მაინც სავსებით სამთა-მადნო მუშების ბრძოლით განისაზღვრება.

სამთა-მადნო მუშების სადელეგატო კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი: უნდა მიიღონ სამთა-მადნო მუშებმა სამღვდელოების „საკომპრომისო წინადადება“ თუ არა. მუშაობის დაუყოვნებლივ განახლება ძველ პირობებში, მთავრობის სუბსიდიის მიცემა 4 თვის განმავლობაში და „უპარტიო“ საარბიტრაჟო სასამართლოს დანიშვნა მეფის კომისიის მოხსენების მიხედვით—აი, წმინდა მამების—სამღვდელოების წინადადებათა შინაარსი. სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა მოიწონა ეს პირობები. მაგრამ ცალკე რაიონებში კენჭის ყრა არ იძლევა ნათელ სურათს. დიდმა რაიონებმა არ მიიღეს ეს წინადადება. მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა მიიღო იგი. სამთა-მადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი ეხლა მეორედ შესდგა კომპრომისის მოჭიდებულ გზაზე.

არავინ არ უარყოფს კომპრომისის შესაძლებლობას საზოგადოდ. არ შეიძლება, რომ ყოველი გაფიცვა სრული გამარჯვებით დამთავრდეს; ხანდახან აუცილებელი ხდება უკან დახევა კლასობრივ ბრძოლაში. მაგრამ სამთა-მადნო მუშათა აღმასკომი ორჯერ წავიდა ისეთ კომპრომისზე, რომელიც არა თუ არ ემსახურება პროლეტარიატის მებრძოლი არმიის მჭიდრო შეკავშირებას, არამედ პირიქით, დაბნევა და არევ—დარევა შეაქვს პროლეტარების რიგებში.

პირველი კომპრომისი, რომელზედაც წავიდა სამთა-მადნო მუშათა აღმასკომი, 23 ივნისს იქმნა [illegible] მიერ: სამთა-მადნო მუშები დასთანხმდენ მასკომების და პროფკავშირების ფართო [illegible] გადადებას და გენერალურ საბჭოს მოქმედებათა კრიტიკის შეწყვეტას. 14 ივლისს—მეორე კომპრომისი და შეთანხმება სამღვდელოებასთან, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო სასამართლოს დანიშვნის ხაზიშ პირობას. კუკი და სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ სამღვდელოებასთან შეთანხმება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრი გადავებირებია სამთა-მადნო მუშების მხარეზე. მათ მოახერხეს ლოიდ-ჯორჯის თანხმობის მიღებაც. მაგრამ ისინი ივიწყებენ, რომ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ძალიან მცირე სარგებლობას მოიტანს, თუ ამავე დროს სამთა-მადნო მუშების რიგებში შეტანილი იქნება არევ-დარევა და თუ მუშები დაჰკარგავენ მებრძოლის მტკიცე სულიერ განწყობილებას.

მაგრამ სამთა-მადნო მუშათა მებრძოლი სული შეურყეველია, და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიამ ძალიან ცოტა მაგალითები იცის ასეთი გმირული შეურყევლობისა და თავ-განწირვისა. სამთა-მადნო მუშები, განსაკუთრებით მათი ოჯახები, სიმშილს განიცდიან. შოტლანდიაში, დიდ კრებებზე, რომლებზედაც კუკი გამოდიოდა, სიმშილისაგან ღონე-მიხდილი სამთა-მადნო მუშები გულშეწუხებული ეცემოდნენ. მაგრამ თვით ეს მუშებიც კი ხმას აძლევდენ გაფიცვის გაგრძელებას,

სამთა-მადნო მუშები სიმშილობენ. სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის ხელმძღვანელები კი კომპრომისზე მიდიან სამღვდელოებასთან. „შავი“ შტრეიკბრეხერული ნახშირი დაუბრკოლებლივ შედის ინგლისში.

ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალის და ბრიტანეთის მუშათა მოძრაობის, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ოფიციალურმა ხელმძღვანელებმა სამარცხვინოდ მიატოვეს ბედის ანაბარად ინგლისის სამთა-მადნო მუშები მათ გმირულ ბრძოლაში. აი, როგორია მდგომარეობა და ამ მდგომარეობიდან რკინის ლოღიკით გამომდინარეობენ შემდეგი პოლიტიკური დასკვნები.

ინგლისის მთავრობა ყველაფერს ჩაიდენს იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა გამოიყენოს. ჯერ კიდევ საყოველთაო გაფიცვის დაწყების წინ, ჩვენ ანალიზს ვუკეთებდით მდგომარეობას და ვამბობდით, რომ ინგლისის ბურჟუაზია და მისი მთავრობა შეეცდებიან გამოიყენონ კრიზისი იმისათვის, რომ გაანადგურონ მთელი ინგლისის მუშათა მოძრაობა. კონსერვატიული მთავრობა ეხლა სისტემატიურად ემზადება, რომ მთელი ხაზით დაიწყოს შეტევა და უფრო და უფრო თავხედი ხდება. მიუხედავად დიდი ეკონომიური ზარალისა (რენსიმანის გამოანგარიშებით გაფიცვა 16 ივლისამდე დაჯდა არა ნაკლებ 148 მილ. გირვ. სტერლინგისა), მთავრობა სცდილობს გააგრძელოს ბრძოლა, ბურჟუაზიას მუშების დამარცხება სურს სიმშილით, მათ სურთ, რომ მუშებმა მათ წინაშე დაიჩოქონ. ამ ბრძოლაში საქმე ეხება უკვე არა სამუშაო ხელფასს, არა სამუშაო დღის ხანგრძლივობას (სამღვდელოების მემორანდუმი ფართოდ უღებს კარს კომპრომისებს ამ საკითხებში), არამედ სერიოზულ ბრძოლის დაწყებას თვით პროფკავშირების წინააღმდეგ.

უკვე მეოთხე თვეა, რაც კონსერვატიულ მთავრობამ საგანგებო წესები შემოიღო, რაიც უმაგალითო შემთხვევაა ინგლისის ახალ ისტორიაში. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის კომისიამ მეფის იურისტებთან ერთად შეიმუშავა კანონ-პროექტი პროფკავშირების განადგურების შესახებ.

ლორდმა ხიკსმა ლორდთა პალატაში წაიკითხა ამ კანონ-პროექტის შინაარსი: აბსოლიუტური დაუშვებლობა საგაფიცვო პიკეტებისა, კავშირების ყველა წევრთა საიდუმლო ხმის მიცემა, ამასთანავე ეს კენჭის ყრა უნდა მოხდეს მთავრობის მოხელეების კონტროლით; პროფკავშირების ვალდებულება, რომ მათ ჰქონდეთ გარკვევით გამოხატული თანხმობა პროფკავშირის ცალკე წევრებისა იმის შესახებ, რომ პოლიტიკური და საწევრო გადასახადი მუშათა პარტიის სალაროში იქნება შეტანილი, აკრძალვა გაფიცვისა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის—აი, უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები მომავალ კანონმდებლობის, რომელიც მუშათა წინააღმდეგ არის მიმართული.

უმუშევართა დახმარების რაოდენობის და ღარიბთა შესახებ გამოცემულ კანონების [illegible], რის წყალობითაც სამთამადნო მუშათა ოჯახები ძლივს-ძლივობით ცხოვრობენ, —აი კონსერვატიული მთავრობის წინასწარი ზომები. კომუნისტ-სამთამადნო მუშებს აპატიმრებენ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ [illegible] რეაქციონერები არაფრის არ ერიდებიან.

თანდათან ნათელი ხდება, რომ კონსერვატიული მთავრობა აწარმოებს საერთო შეტევას მუშების წინააღმდეგ და მზადაა კავშირი გააწყვიტოს ინგლისის ბურჟუაზიის უკანასკნელი ათეული წლების ტრადიციონურ პოლიტიკასთან, ტრედიუნიონებთან თანამშრომლობის პოლიტიკასთან. ტრედიუნიონების ლიდერები ისევ ძველი ოპორტიუნისტები არიან და მათთან ეხლაც შეიძლება თანამშრომლობა მდგომარეობის გასწორებისათვის. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიის შიში თანდათან ძლიერდება, როცა იგი ხედავს, რომ ოპორტიუნიზმის სოციალური საფუძველი ეკონომიურად ირღვევა და თანდათან ძნელი ხდება „თანამშრომლობა“ ფართო პროლეტარულ მასებთან. ინგლისის ბურჟუაზიის პროფკავშირებთან თანამშრომლობის ლიბერალური პოლიტიკა ადგილს უთმობს პროფკავშირების წინააღმდეგ გალაშქრების კონსერვატიულ პოლიტიკას.

რაც უფრო იზღუდება ინგლისის იმპერიალიზმის მონოპოლიური მდგომარეობის ეკონომიური და სოციალური საფუძველი, მით უფრო ირყევა ინგლისის დემოკრატიის ნიადაგი. კონსერვატიული მთავრობა უკვე თითქმის 4 თვეა განაგებს ქვეყანას, როგორც დიქტატორი და უკვე გამომუშავებულია კანონპროექტი ლორდთა პალატის „რეფორმის შესახებ“. რითაც მას უნდა დაუბრუნდეს თავის დროზე ლოიდ-ჯორჯის მიერ გადაცემული უფლებები. ასეთია სამთამადნო მუშათა გაფიცვის ზოგიერთი პოლიტიკური შედეგები. ან მოხერხდება სამთამადნო მუშების მოთხოვნილებათა განხორციელება, ნახშირის გადაზიდვის შეწყვეტა, გაფიცულთა მატერიალური დახმარების მოწყობა, ინგლისის ფრონტის გადაქცევა საერთაშორისო ფრონტად, კონსერვატიული მთავრობის დამხობა და ნამდვილი მუშათა მთავრობის შედგენა ან კონსერვატიული რეაქცია შეუდგება თავისი გეგმის—პროფკავშირების დახრჩობის განხორციელებას და აღადგენს ლორდთა პალატის ძალაუფლებას. ძველ ლიბერალურ ინგლისის საპარლამენტო თამაშს ბოლო ელება. მომავალი ბრძოლა ხელისუფლებისათვის იწარმოებს ერთის მხრივ ბურჟუაზიასა, რომელიც თანდათან მჭიდროდ იკრიბება მაგარკანიანების გარშემო და მეორეს მხრივ ნელა, მაგრამ შეუჩერებლად გარევოლიუციონერების გზაზე დამდგარ პროლეტარიატს შორის“.

გადმოცემულია ტელეგრაფით

მოსკოვი, 11 აგვისტო.

* * *

მსოფლიო პროლეტარიატის ბოლშევიკური ავანგარდის მთლიანობისთვის*)

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას პლენუმის იმ გადაწყვეტილებისათვის, რომელიც „ახალი ოპოზიციის“ ფრაქციული მოღვაწეობის ლიკვიდაციას შეეხება, შეუძლებელია უფრო ყოველმხრივი, მოკლე, უბრალო და დამაჯერებელი დასაბუთების გამონახვა, ვიდრე ლენინის შემდეგი სიტყვებია:

„არის საგნები, რომელთანაც არ შეიძლება ხუმრობა; პარტიის ერთობა მათ რიცხვს ეკუთვნის. ჩვენ უფლება არ გვაქვს ბევრი დრო მოვანდომოთ თამაშობას პარტიის ერთობის გარშემო... ჩვენ ვიცით, რომ ამ თამაშობაში, ბევრს დავკარგავთ. ეს მცნება არ უნდა დავივიწყოთ“. (ლენინი, სიტყვა მე-11 პარტიულ ყრილობაზე 1922 წ.).

ცეკას პლენუმმა, როგორც მოხსენებიდან სჩანს, თავისი რეზოლიუცია ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენების და წინადადების მიხედვით მიიღო. ცეკამ, რომელიც ას წევრზე მეტია, ეს გადაწყვეტილება მიიღო იმ ორგანიზაციის წინადადებით, რომელიც სამასამდე წევრს შეიცავს, უმეტეს ნაწილად დაზგის მუშებს, და რომელიც პარტიამ ლენინის თაოსნობით შექმნა, რათა მას „რკინის სალტეებით დაეცვა პარტიული მთლიანობა“.

ბოლშევიკური პარტიული ერთობა უბრალო ფორმალური ერთობა როდია; ის იდეოლოგიური ერთობაა, ის ორგანიზაციული მთლიანობაა, დაყრდნობილი პრინციპების იგივეობაზე. იდეოლოგია და პრინციპები აბსტრაქტული ცნება კი არ არის, რომელიც შეიძლება სურვილისამებრ შეიცვალოს, არამედ კონკრეტიული პოლიტიკური და ორგანიზაციული ბრძოლის ხაზის გამორკვევა თვითეული კონკრეტიული მდგომარეობის მიხედვით, ეს გამორკვევა ცენტრალურ ორგანოს მიერ ხდება.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ ლენინიზმის კონკრეტიზაცია მოახდინა საერთაშორისო რევოლიუციის მიმდინარე პერიოდისათვის და საბჭოთა კავშირის ახლანდელი მდგომარეობისათვის. მან საერთაშორისო ეკონომიური და სოციალური მოვლენების ანალიზისა და დაფასების ნიადაგზე ის გზა აღნიშნა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომპარტიამ და მშრომელმა მასსებმა უნდა გაიარონ, რათა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარების შემწეობით სოციალიზმის აღმშენებლობა სრული გამარჯვებით დამთავრდეს. ამ რეზოლიუციების მიღებამდე ცხარე ბრძოლები სწარმოებდა. აზრთა სხვადასხვაობა გამოაშკარავდა არა მარტო ტაქტიკური ხაზის საკითხსა, არამედ ფაქტების, ძალთა განწყობილების, პერსპექტივის და შესაძლებლობის დაფასებაშიც. ყრილობამ რეზოლიუციები დიდის უმრავლესობით მიიღო. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ლენინი ჩვეულებრივ შემდეგი სიტყვებით ახასიათებდა:

„იქ, სადაც კლასობრივად შეგნებული მუშების უმრავლესობა გამოკვეთილი და ნათელი რეზოლიუციების გარშემო ერთიანდება, აზრთა და მოქმედებათა მთლიანობა მყარდება. იქ არის პარტიულობა და პარტია“. (ლენინი, „პარტიული მთლიანობის დარღვევა მთლიანობაზე ყვირილის ნიღაბ ქვეშ“. 1914).

მაგრამ ლენინი აგრეთვე აცხადებდა: „ვინც ახლა სცდილობს მუშები დააჯეროს, რომ მათ პარტიის გადაწყვეტილებანი არ განახორციელონ... მას მოძრაობაში დეზორგანიზაცია შეაქვს... ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესსა ჩქარა შეძანძარდება ყვირილით, რომ საბჭოთა კავშირი და კომინტერნი კრიზისს განიცდიანო. ამ კონცერტს არც უკიდურეს მემარცხენეებისა და მემარჯვენეების ხმა დააკლდება. ამ კონტრ-რევოლიუციონურ ხოროს მიემატება კორშისა და სუვარინის მსგავსი რენეგატების მოძახილიც. მაგრამ დღეს ყოველმა კლასობრივად შეგნებულმა მუშამ იცის, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიამ გამარჯვებას მთელი რიგი კრიზისების შემწეობით მიაღწია. ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ იმ პერიოდზე, რომელიც ცარიზმის დამხობას უსწრებდა წინ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ის კრიზისები გავიხსენოთ, რომელიც კომინტერნის ამ ხელმძღვანელმა პარტიამ თავის პოლიტიკის ყოველი გარდატეხის დროს განვლო.

რევოლიუციის დასაწყისში, როცა დღიურ წესრიგში პროლეტარიატის ახალი მიზნების გამორკვევა იდგა, პარტიული ბელადების ერთი ნაწილი იმის წინააღმდეგი იყო, რომ პროლეტარიატს უშუალო მიზნად დაესახა ხელისუფლების დაპყრობა.

ივლისის დამარცხების შემდეგ 1917 წელს, როცა საბჭოები მენშევიკებისა და ესერების მეთაურობით კონტრ-რევოლიუციის მხარეზე დადგა, კომპარტიის უმცირესობას უნდოდა პარტიის ლოზუნგების რიცხვიდან სრულიად ამოეშალა ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო“.

კრიზისმა თავი იჩინა აგრეთვე ოქტომბრის რევოლიუციის დროს, მიტომ, რომ პარტიული ბელადების ერთი ჯგუფი, ამხ. ზინოვიევის მეთაურობით, ნაადრევად სთვლიდა ხელისუფლების დაპყრობას და ეწინააღმდეგებოდა პარტიის გადაწყვეტილებას.

ბრესტის ზავის დროს, შემდეგ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყებისას, შეიქმნა მთელი ჯგუფები ოპოზიციონერებისა, რომელთაც პოზიცია დაიჭირეს მოსალოდნელი ცვლილების წინააღმდეგ პარტიული პოლიტიკაში და დისკუსიები და კრიზისები გამოიწვიეს. შემდეგ თავი იჩინა ტროცკის ოპოზიციამ, ბოლოს „ახალმა ოპოზიციამ“, რომელიც ისეთ შეხედულებებს იცავს სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ, რომელთაც შეუძლიათ შეარყიონ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საფუძველი.

მაგრამ ამავე კრიზისის შესახებაც შეიძლება ითქვას, რაც ლენინმა ბრესტის ზავის შესახებ სთქვა, როცა საფრთხე ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღეს არის:

„ჩვენ ამ კრიზისსაც გადავლახავთ. აქ არც ჩვენი პარტია მოიტეხს ფეხს, არც ჩვენი რევოლიუცია. თუმცა იყო ერთი მომენტი, როცა ჩვენ ახლო ვიყავით ასეთ შესაძლებლობასთან. იმის გარანტიას, რომ ფეხს არ მოვიტეხთ, ის ფაქტია, რომ ფრაქციული აზრთა სხვადასხვაობის გადაჭრის ძველი საშუალების მაგივრად, რომელიც უამრავი ლიტერატურის, კამათისა და განხეთქილებებისაგან შესდგებოდა, მოვლენებმა ახალი მეთოდები მოგვიტანა, რომელთა შემწეობით ადამიანების გაწვრთნა შეიძლება. ეს საშუალება კამათის საგნის გამორკვევა ფაქტებისა, მოვლენებისა, მსოფლიო ისტორიის გაკვეთილის შემწეობით“. მე ნათლად ვხედავ, რომ ამ სენის განკურნება არ შეიძლება ფრაქციული ბრძოლის ძველი საშუალებით, მას თვით ცხოვრება ბევრად უფრო ჩქარა განკურნავს“. (ლენინი, სიტყვა—მე-7 პარტყრილობაზე).

უკანასკნელი დროის წარმატებამ სოციალისტურ აღმშენებლობაში, უკანასკნელ დროს წინგადადგმულმა ნაბიჯებმა მუშათა კლასის და ღარიბი და საშუალო გლეხობის შეკავშირებაში, პარტიული კრიზისის უარყოფითი გავლენა დიდათ შეასუსტა.

ეს კრიზისი უშუალოდ გადაედება კომუნისტურ ინტერნაციონალსაც, რომლის აპარატი სამწუხაროდ არ დაინდევს ფრაქციული ბრძოლის დროს**). მაგრამ სენის განკურნება, კრიზისის დაძლევა არც იქ იქნება ძალიან ძნელი.

კორში, სუვარინი და მათი მსგავსი ელემენტები, რომელნიც ხელის მოთბობას სცდილობენ კომპარტიის ფრაქციული ბრძოლის ცეცხლზე, მხოლოდ მოკლევადიან სიხარულს უმზადებენ ბურჟუაზიასა და სოციალ-დემოკრატებს, კომუნისტურ ავანგარდზე კი ისინი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. კომინტერნის ყველა სექციებმა თავიანთი შეხედულება უკვე გამოსთქვეს მეთოთხმეტე ყრილობის რეზოლიუციების გამო.

მათ არა მარტო დაგმეს „ახალი ოპოზიცია“, არამედ მიემხრენ კონკრეტიულ ზომებს ინდუსტრიალიზაციისა, სოციალიზმის აღმშენებლობისა და გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ. ასეთივე იყო გაფართოებული აღმასკომის გადაწყვეტილებაც. ეს გადაწყვეტილება უზრუნველჰყოფს არა მარტო საბჭოთა კავშირის კომპარტიის მთლიანობას, არამედ აგრეთვე ამ ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის თანხმობას კომინტერთან და თვით კომინტერნის ერთობას.

ფრაქციული ბრძოლის ობიექტიური ლოგიკა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის „თვით საუკეთესო ადამიანებს, რომელნიც ყალბ პოზიციას ებღაუჭებიან, ისეთ პირობებში აყენებს, რომ მათი ყოფაქცევა არაფრით განსხვავდება პრინციპიალური დემაგოგიისაგან“ (ლენინი, პარტიული კრიზისი, 1921), არამედ იმაშიც, რომ პარტიული მთლიანობა განვლილი დისკუსიის შემდეგ უფრო მტკიცე ხდება.

მაგრამ იმისი წინასწარი პირობა, რომ ეს ასე მოხდეს არის დისკუსიის ჩატარება ლენინისტურ მეთოდებით:

„აუცილებლად საჭიროა, რომ პარტიის ყველა წევრებმა მთელი თავდაჯერილობით და კეთილსინდისიერებით შეისწავლონ როგორც აზრთა სხვადასხვაობის შინაარსი, ისე პარტიული ბრძოლის განვითარების ისტორია„. (ლენინი, პარტიული კრიზისი, 1921).

---

*) ეს წერილი დაბეჭდილია გერმანიის კომპარტიის ორგანოში „ფოლკსვახტ“.

რედ.

**) როგორც მკითხველებმა იციან კომინტერნის სექციებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ცენტრალურ კომიტეტს ოპოზიციის წინააღმდეგ. წერილი დაწერილია სექციების გამოხმაურებამდე.

რედ.

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მიიღო პუანკარეს საფინანსო პროექტი

დეპუტატი დორიო მემარცხენე ბლოკის მოღალატეობის შესახებ

ინგლისის სამთა-მადნო მუშებმა უარყვეს სამღვდელოების წინადადებები

16 აგვისტოსათვის მოწვეულია მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია

ბრაზილია მონაწილეობას არ იღებს ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე

მემაღაროელები დათმობაზე არ მიდიან

სამთამადნო მუშებმა უარჰყვეს სამღვდელოების წინადადებები

ლონდონი, 10 აგვისტო. **მემაღაროეთა ფედერაციის დღევანდელ სხდომაზე გამოირკვა, რომ სამთამადნო მუშების უმრავლესობა უარჰყოფს სამღვდელოების მიერ წამოყენებულ წინადადებებს, რომლებიც ფედერაციის აღმასკომმა მოიწონა.**

სხდომის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშში არ იყო არავითარი დაწვრილებითი ცნობები ხმის მიცემის შესახებ. ანგარიშში აღნიშნული იყო მხოლოდ, რომ რაიონებმა უარჰყვეს სადელეგატო კონფერენციის წინადადება. ამ ცნობას უმატებენ კიდევ, რომ აღმასკომმა გადასწყვიტა მომავალ ორშაბათს მოიწვიოს დელეგატების მეორე კონფერენცია, რომ წარუდგინოს მას ანგარიში კენჭის ყრის შედეგების შესახებ.

სამღვდელოების წინადადების უარყოფის შემდეგ

ლონდონი, 11 აგვისტო. იტყობინებიან, რომ სანახშირო რაიონებში ხმის უმრავლესობა, რომლითაც უარყოფილ იქმნა სამღვდელოების წინადადება, შედარებით დიდი არ იყო. ამ წინადადების მიღებას მემაღაროებს ურჩევდენ მათი ლიდერები. **მაგრამ ეს რჩევა კენჭის ყრის დროს არ მიიღო მხედველობაში მემაღაროეთა უმრავლესობამ.** ვინაიდან ლიდერების პოლიტიკამ სრული დამარცხება განიცადა, ამიტომ აღმასკომი თავის რწმუნებებს ჩააბარებს სადელეგატო კონფერენციას, რომელიც მოწვეულ იქნება ორშაბათს და ისურვებს, რომ აღმასკომის მომავალი შემადგენლობა უკვე [illegible] წევრებისაგან შესდგეს.

ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ კენჭის ყრის ერთი შედეგთაგანი იქნება ის, რომ გაიზრდება სამუშაოზე დაბრუნებულ მემაღაროეთა რიცხვი. ზოგიერთი სანახშირო რაიონებიდან მიღებული ცნობები აღნიშნავენ, რომ ბევრი მემაღაროე მერყეობას განიცდიდა მოლაპარაკების განახლების იმედის გამო, მაგრამ ეხლა ეს იმედი განქარდა უკანასკნელმა კენჭის ყრამ. დღეს დილით მაღაროს მეპატრონეებმა ნოტინგამშირსა და დერბიშირში მემაღაროეთა ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიწვიეს გაერთიანებულ სხდომაზე იმ მიზნით, რომ შეთანხმებას მიაღწიონ ამ რაიონებში.

მემაღაროეთა აღმასკომის კრება ლონდონში 5 ნახ. საათს გაგრძელდა.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ რაიონების **კენჭის ყრით უარყოფილია სამღვდელოების წინადადებანი.**

სამღვდელოების მემორანდუმი უარყოფილია

ლონდონი, 11 აგვისტო. სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის სხდომის გათავების შემდეგ გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სანახშირო რაიონებში კენჭის ყრის შემდეგ უარყოფილ იქნა მემაღაროეთა უკანასკნელ სადელეგატო კონფერენციის წინადადება იმის შესახებ, რომ სამღვდელოების მემორანდუმი ყოფილიყო მიღებული, როგორც საფუძველი მოლაპარაკებათა განახლებისათვის.

ამის გამო აღმასკომი ადგენს, რომ 16 აგვისტოს ლონდონში მოიწვიოს ახალი სადელეგატო კონფერენცია კენჭის ყრის შედეგების განსახილველად.

კენჭის ყრის სწორი ციფრები ოფიციალურად არაა გამოქვეყნებული. მაგრამ ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ სამღვდელოების მემორანდუმმა მიიღო 333.000 ხმა, წინააღმდეგ 367.000 ხმისა. კონსერვატიული პრესა კენჭის ყრის შედეგების შესახებ ამბობს, რომ იგი სამთამადნო მუშათა ფედერაციის განხეთქილების მომასწავებელია და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შუა ინგლისის ყველა ოლქებმა მისცეს ხმა სამღვდელოების მემორანდუმს.

ნაწილი გაზეთებისა წინასწარმეტყველებს, რომ ფედერაციიდან გავა ზოგიერთი ოლქი და ფედერაცია სრულიად დაიშლება.

პუანკარემ თავისი გაიტანა

ეროვნული კრების საფინანსო კომისიაში

პარიზი, 10 აგვისტო. საფრანგეთის ეროვნული კრების სხდომის შესვენების დროს სწარმოებდა საპარლამენტო კომისიის სხდომა, რომელმაც პუანკარეს მოხსენება მოისმინა.

პუანკარეს მოხსენების შემდეგ კომისიამ მცირეოდენი ცვლილებებით მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი და უარყო ყველა შესწორებები.

ეროვნული კრების სხდომის განახლებამდე მოხსენებით გამოვიდა სენატორი შერონი, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიის ვოტუმი მოწმობს იმას, რომ პარლამენტი ნდობით ეკიდება საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობის აღდგენის იმ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა ატარებს. სხდომამ დაადგინა, კვლავ ძალაში დარჩეს გარდაწყვეტილება საფრანგეთის მიერ დადებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

სოციალისტების ლიდერმა **ბლიუმმა** განაცხადა, რომ სოციალისტები ხმას მისცემენ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც, მათი აზრით, მიზანს ვერ მიაღწევს.

შემდეგ პუანკარემ აღნიშნა რომ მხოლოდ მთავრობის პროექტს, რომელიც ეროვნული კრების დასტურის შემდეგ კონსტიტუციონური კანონის ძალას მიიღებს, შეუძლია გამოიყვანოს საფრანგეთი შექმნილი მდგომარეობიდან და აღადგინოს ნდობა ფრანკისადმი.

ეროვნულმა კრებამ 671 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 144 ხმისა მიიღო მთავრობის პროექტი სამორტიზაციო კასის წესდების რესპუბლიკის ძირითად კანონთა კრებულში შეტანის შესახებ.

პრესა ეროვნული კრების შესახებ

პარიზი, 11 აგვისტო. საფრანგეთის პრესა ესალმება საკითხის სწრაფ გადაწყვეტას ეროვნული კრების მიერ და კომუნისტების დამარცხებას.

„პტი ჟურნალი“ სწერს, რომ კომუნისტების გამოსვლამ მხოლოდ დააჩქარა საკითხის გადაწყვეტა. „ჟურნალი“ ამბობს, რომ საფრანგეთმა დასდო ფიცი, აღადგინოს საფრანგეთი და შეასრულოს ყველა თავისი ვალდებულებანი. „ერნუველი“ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სოციალისტები სოლიდარობას უცხადებენ კომუნისტებს.

ეროვნული კრება ვერსალში

ლონდონი, 11 აგვისტო. „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, **ეროვნულმა კრებამ ვერსალში მიიღო პუანკარეს მიერ წარმოდგენილი გეგმა ამორტიზაციის ეროვნული ფონდის შესახებ, როგორც კონსტიტუციის ნაწილი.** ამგვარად, დეპუტატთა პალატას მომავალში აღარ შეეძლება თავისი სურვილის მიხედვით გააწესრიგოს ის თანხები, რომლებიც მიმდინარე ვალების დასაფარავად იქნება შეტანილი. საბოლოო კენჭის ყრით გამოირკვა შემდეგი: პუანკარეს გეგმამ მიიღო 671 ხმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 144 კაცმა. სხდომა შეწყდა კომუნისტების მიერ ატეხილ ხმაურობის გამო. **კომუნისტების ერთი ლიდერთაგანი განდევნილ იქმნა სხდომიდან სამხედრო ძალის დახმარებით.**

ერიოს წინააღმდეგ

პარიზი, 11 აგვისტო. ლიონიდან მიღებული ცნობით, **რონის სოციალისტების ფედერაციის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ ვინაიდან ერიო პუანკარეს კაბინეტში შედის, შეუძლებელია დარჩეს მუნიციპალიტეტის სათავეში, სადაც უმრავლესობას სოციალისტები შეადგენენ. სოციალისტები იძლევიან წინადადებას, რომ სასწრაფოთ იქნას არჩეული ახალი სოციალისტი—მერი.**

ნაციონალურ კრებაში

პარიზი, 10 აგვისტო. ნაციონალურმა კრებამ დაადგინა სასწრაფო წესით მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი სამორტიზაციო კასის წესდების შესახებ საფრანგეთის შინაური ვალების დასაფარავათ. შემდეგ კრებამ მიიღო ბენეფის წინადადება, რომ სენატისა და დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიებმა ამოარჩიონ თავისი წრიდან კომისიებიდან 30 კაცის შემადგენლობით მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროექტის შესასწავლად. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნეს მილიე—ლაკრუა, მომხსენებლად—სენატორი შერონი, რეაქციონური კავშირის თავმჯდომარე. კომისიაში შედის კომუნისტი, დეპუტატი **გარშერი.** ნაციონალურ კრების სხდომები შეწყდა, რათა კომისიას მისცემოდა მოხსენების წარმოდგენის საშუალება. მოხსენების წინ გამოვიდა პუანკარე.

* * *

ჩვენი მტრების ტკბილი სიზმარი

„რევოლიუცია სამხრეთ რუსეთში“

ნაუენი, 11 აგვისტო. (რადიო) როგორც „დეილი ტელეგრაფს“ ატყობინებენ; საბჭოთა მთავრობამ დაკეტა სამხრეთის საზღვრები. მაგრამ გაზეთი ფიქრობს, რომ სამხრეთ რუსეთის რევოლიუციას აქვს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი.

ტელეგრამები ბუხარესტიდან იუწყებიან, რომ ზარბაზნების სროლა ისმის დნესტრის მიდამოებში და რევოლიუცია გავრცელდა ვინიცაზე და პროსკუროვზე.

„აჯანყება ლენინგრადში“

ლონდონი, 11 აგვისტო. (რადიო), როგორც კოპენჰაგენიდან სპეციალურათ ატყობინებენ გაზ. „ცენტრალნიუზ“-ს ვარშავიდან ცნობაა მოსული, რომ ლენინგრადში და კრონშტადტში მოხდა სამხედრო აჯანყება. შენობა დაკავებულია აჯანყებულების მიერ და გამოცხადებულია საალყო წესები. აჯანყებას მეთაურობს ტროცკი.

„მობილიზაცია რუსეთში“

ლონდონი, 11 აგვისტო. (რადიო). როგორც „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, მოსკოვიდან დაგზავნილია ცირკულიარები ყველა მისიებში გაფრთხილებით, რომ ისინი ვინც უნდა გაიარონ სამხედრო სამსახური, უნდა დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ რუსეთში.

* * *

ერთა ლიგის გარეშე

ბრაზილია საბოტაჟს უცხადებს ერთა ლიგას

ბერლინი, 10 აგვისტო. **ბრაზილიის წარმომადგენელმა პარიზში მოლლო ფრანშიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბრაზილია მონაწილეობას არ მიიღებს ერთა ლიგის სექტემბრის სესიაში.**

ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

ლონდონი, 10 აგვისტო. კამპანია საბჭოთა კავშირში გასაგზავნი დელეგაციის გარშემო წარმატებით მიმდინარეობს. სხვადასხვა ორგანიზაციების დელეგატთა კონფერენციამ ლიდგში მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნას.

მუშათა პარტიის ზოგიერთმა პროფორგანიზაციებმა და პროფსაბჭოებმა გამოიტანეს რეზოლიუცია დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოდ.

* * *

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

საფრანგეთ-გერმანიის ბლოკი ინგლისის წინააღმდეგ

საფრანგეთი და გერმანია, არა თუ უკანასკნელი საერთაშორისო ომის, არამედ მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის და მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში შეურიგებელი მტრები იყვნენ ევროპის კონტინენტზე. საფრანგეთის ყველა პოლიტიკური კომბინაციები საერთაშორისო ფრონტზე ამ 75 წლის მანძილზე გამსჭვალული იყო ერთი დედა-აზრით: ბრძოლა გერმანიის საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც შეუჩერებლივ იზრდებოდა.

იმპერიალისტური ომისა და შემდეგ წლების განმავლობაში ეს ანტაგონიზმი ევროპის ორ უდიდეს სახელმწიფოთა შორის ყველასათვის თვალსაჩინო იყო, რამდენადაც დამარცხებულ გერმანიის ეკონომიურად და პოლიტიკურად დაბეჩავება-დაჩაგვრა, ანუ უკეთ დამარცხებულის ძარცვა-გლეჯა, სრულიად მოურიდებლად, „მზის სინათლეზე“ სწარმოებდა და სწარმოებს.

რას ვხედავთ დღეს? ამ დღეებში გამოქვეყნდა ინგლისის ოფიციალურ დიპლომატიურ წრეების აშკარა შთაგონებით, ცნობილ ჟურნალისტის ავგურის წერილი, რომელიც გულის ტკივილით აღნიშნავს გერმანია-საფრანგეთის დაახლოების ფაქტს და აქედან გამომდინარე საფრთხეს ინგლისის ინტერესებისათვის. ამხ. ტანინიც ამავე საკითხს იხილავს „პრავდა“-ს უკანასკნელ (178) ნომერში და ფარდას ხდის იმ ეკონომიურ სარჩულს, რომელიც საფუძვლად უდევს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებას. ამხ. ტანინის სიტყვით ამ დაახლოების მიზეზია ერთი მხრივ გერმანიის ეკონომიურად გაძლიერება და მეორე მხრივ საფრანგეთის დასუსტება.

„გერმანიის გაძლიერებას ერთ დიდ მნიშვნელობის ფაქტორად, იმ გერმანიის, რომელიც დაიცალა სისხლისგან, რომელმაც დაჰკარგა ელზას-ლორენის მადნეულობა, ზემო-სილეზიის, საარის და დროებით რურის ოლქის ნახშირი, რომელსაც ჩამოერთვა კოლონიები და რომელიც მოსწყდა ძველ ბაზარს, ასეთ გერმანიის მოღონიერების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ტეხნიკურ კულტურის არაჩვეულებრივი სიძლიერე, კულტურულ და წარმოებაში გამობრძმედილ მუშათა კლასის, მეცნიერებისა და ყველაზე უმაღლესი [illegible] სპეციალისტების სიმრავლე და მეურნეობის ორგანიზატორების ყოლა... [illegible] **გერმანიამ ამოიღო 138 მილიონი ტონა მურა ნახშირი (бурый уголь) მაშინ, როდესაც 1909-1913 წლამდე ყოველწლიურად იღებდა 78 მილ. ტონას.** საერთოდ გერმანია დღეს იღებს მეტ ნახშირს, ვიდრე ომამდე იღებდა...

რაც შეეხება მძიმე ინდუსტრიას, გერმანიამ 1925 წელს, იმისდა მიუხედავად, რომ დაჰკარგა ელზას-ლორენის მადნეულობა, თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმა თითქმის ომამდე არსებულ დონეს დაუახლოვა“.

ამრიგად, გერმანიის კაპიტალის წინაშე ბუნებრივად დაისვა საკითხი ბაზრის მოპოვების და ძველი ახალშენების ხელახლა დაბრუნების შესახებ. ამავე დროს ჩვენ მოწმე ვხდებით ინგლის-ამერიკის კაპიტალის შეტევის საფრანგეთზე ამ უკანასკნელის კატასტროფიულ ფინანსიურ მდგომარეობის და ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესების. აქედან ერთი ნაბიჯი-ღა რჩება გერმანია-საფრანგეთის დაახლოვებამდე და ერთგვარი დაახლოება ამ ორ თითქოს წყალსა და ზეთივით შეურიგებელ მტრებს შორის დღეს უკვე ფაქტია.

„მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ ეს ფაქტი, სწერს ამხ. ტანინი. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთ-გერმანიის ბლოკზე ინგლისის წინააღმდეგ, როგორც მტკიცე კომბინაციაზე, ლაპარაკიც ზედმეტია. ყოველ წუთში შესაძლებელია წინააღმდეგი კომბინაციაც—შეთანხმება ინგლის-საფრანგეთს შორის გერმანიის ხარჯზე (მით უფრო, თუ გერმანიამ არ უზრუნველჰყო თავისი დიპლომატიური სიმტკიცე საბჭოთა კავშირთან სწორი დამოკიდებულებით).

უცხოეთის პრესა

იტალიის კომპარტია ჰგმობს ზინოვიევ-ტროცკის ოპოზიციას

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, კომინტერნის სექციები ერთსულოვნად გამოეხმაურენ ცეკას და ც. საკონტროლო კომისიის დადგენილებებს ოპოზიციის შესახებ. ამ ოპოზიციის გამთიშველმა მუშაობამ, რომელიც საფრთხეს უმზადებს ჩვენი პარტიის მთლიანობას და მით მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ფეხზე დააყენა არა მარტო მთელი პარტიული მასა საბჭოთა კავშირში, არამედ კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებიც. ამ საკითხს ეხება იტალიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „უნიტა“ (23 ივლისი), რომელიც სწერს შემდეგს:

„საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებათა ცენტრალურს საკითხს შეადგენს პარტიის ორგანიზაციული მთლიანობის დაცვა. ცხადია, რომ ამ საქმეში არავითარ დათმობაზე ან კომპრომისზე არ შეიძლება წასვლა სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს პარტიის დაშლის გამომწვევი, როგორიც და რაოდენიც არ უნდა იყოს მისი დამსახურება წარსულში, როგორიც არ უნდა იყოს ის თანამდებობა, რომელიც მას უკავია კომუნისტურ ორგანიზაციების ხელმძღვანელ პოსტებზე.

თუ საკითხი ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მთლიანობისა იმ პარტიების, რომლებიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში იბრძვიან კაპიტალიზმის წინააღმდეგ, უაღრესი მნიშვნელობის საკითხია თავის-თავად, მით უფრო მნიშვნელოვანია და საჭიროა ეს საკითხი საკავშირო კომპარტიისათვის, რომელიც მმართველი პარტიაა და მთელი სახელმწიფო აპარატის მომწყობი და გამგე, და რომელიც სოციალისტური აღმშენებლობის მძიმე მუშაობას ეწევა.

მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური სახელმწიფოების ბლოკადა სამხედრო ინტერვენციის სახით შეწყდა, კონტრ-რევოლიუციის გეგმა მუშათა მთავრობის მოსასპობად იმაში მდგომარეობს, რომ გარედან მოახდინოს გავლენა კომპარტიაზე და შეეცადოს, ხელი შეუწყოს პარტიის გამთიშველი ძალების ჩამოყალიბებას თვით პარტიის შიგნით და ამ გზით აფეთქოს რევოლიუციის ციხე-სიმაგრე. **ასეთ პირობებში შინაური ბრძოლა საკავშირო კომპარტიაში ბევრად უფრო სახიფათოა, ვინემ ის ბრძოლები, რომლებსაც ადგილი აქვს კომუნისტური ინტერნაციონალის სხვა პარტიებში. (ხაზი გაზეთისაა. მეპრესე).** ამიტომ ჩვენი აზრით, რომ მთელი ინტერნაციონალი შემჭიდროებული რიგებით უნდა შემოკრბეს საკავშირო კომპარტიის ცეკას ირგვლივ, რომ მხარი დაუჭირონ მის ყოველ გადაწყვეტილებებს და ზომებს დაუნდობელ და შეურიგებელ ბრძოლაში იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს დაარღვიოს მთლიანობა ამ პარტიის.

თავისი გადაწყვეტილებებით და ზომებით საკავშირო კომპარტია იცავს ფაქტიურად არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშათა რევოლიუციის მომავალს, არამედ ეს გადაწყვეტილებები არიან ერთი უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობათაგანი პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნებში“.

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 12 აგვისტოს საღამოს 7 საათზე თბილისის
ალმასკომის დარბაზში შესდგება

ალმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. ახალ წყალსადენზე
2. ახალ საბინაო გადასახადზე
3. მიმდინარე საკითხები

განსახილველ საკითხების მნიშვნელოვანობის გამო, ალმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ნ. 1659 პრეზიდიუმი

„რა მისცა“ საფრანგეთის მემარცხენე ბლოკმა

პარიზი, 10 აგვისტო. ეროვნულ კრებაზე დორიომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა შემდეგი:

„ორი წლის წინედ მემარცხენე ბლოკმა ჩვენ მიგვიყვანა ვერსალში იმისათვის, რომ გაგვეშავებია მილიერანი და პუანკარე, და ამავე დროს დაპირება მოგვცა, რომ გაატარებადა სოციალურ რეფორმებს, დაამყარებდა მშვიდობიანობას და შეძლებულ კლასებს დაბეგვრავდა.

ამის მაგივრად ჩვენ მან მოგვცა **17 მილიარდის ინფლიანცია, 40 მილიარდი გადასახადი, ომი მაროკოსა და სირიაში და ბოლოს კაპიტულიაცია მოახდინა მოწინააღმდეგეთა წინაშე.** ეხლა ერიო პუანკარეს მსახური გახდა და გაერთიანებული ბურჟუაზია პროლეტარიატის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას.

მუშები სათანადო პასუხს სცემენ ბურჟუაზიის შემოტევას და იწყობენ ბრძოლას სამუშაო ხელფასის მომატებისათვის. მთავრობა, რომელიც მხოლოდ კაპიტალისტების ინტერესების მიხედვით მოქმედებდა, იძულებული იქნება კაპიტულიაცია მოახდინოს ამერიკის კაპიტალის წინაშე. ფრანკის სტაბილიზაცია მუშათა ხარჯზე სამოქალაქო ომის გამოწვევას ნიშნავს. კრიზისის წინაშე ბურჟუაზია მთავრობას აძლევს საკანონმდებლო პალატის პრეროგატივებს. ჩვენ მოვითხოვთ პალატების გაუქმებას და მათ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებით შეცვლას. ეს საბჭოები წარმოიშობიან არა პარლამენტში, არამედ ქუჩაში, ბრძოლის შედეგად“ (მემარჯვენეთა პროტესტები).

როდესაც შემდეგ დორიო მოაგონებს კრებას პარიზის კომუნის განადგურებას ბურჟუაზიის მიერ, თავმჯდომარე სიტყვას ართმევს მას. კომუნისტები მღერიან „კარმანოლას“. თავმჯდომარე იწვევს სამხედრო რაზმს, რომელსაც გაყავს დორიო. კომუნისტები, მღერიან ინტერნაციონალს. მათ უერთდებიან სოციალისტები.

არჩევნები სამხრეთ-სლავიაში

კომუნისტების დაპატიმრება

ვენა, 10 აგვისტო. ბელგრადიდან მოსულ ცნობების მიხედვით, მოახლოვებულ მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით დააპატიმრეს ბევრი კომუნისტი: მათ რიცხვში კოსტა როვაკოვიჩი, ბოიოვიჩი, კოვაჩევიჩი, გრებიჩი და სხვა. დაპატიმრება იმ საბუთით მოახდინეს, რომ პატიმრებს აღმოაჩნდათ მარქსისტული ლიტერატურა, სადაც „კომუნისტური მანიფესტი“ იყო.

იუგო-სლავიის პოლიციას განზრახვა აქვს ამ დაპატიმრებებით ისარგებლოს კომუნისტების დიდი პროცესის განსცენიურებისათვის.

როგორ სძარცვავენ უცხოელებს

მექსიკაში

მექსიკა, 10 აგვისტო. გაზეთი „უნივერსალი“ იტყობინება, რომ მექსიკაში სხვადასხვა არამზადები უსირცხვილოდ სძარცვავენ უცხოელ ემიგრანტებს. მძარცველებს მჭიდრო კავშირი აქვთ საემიგრაციო და ნავთსადგურის ადმინისტრაციასთან. უცნობი პირები წინადადებას აძლევენ იმ ემიგრანტებს, რომლებსაც აკრძალული აქვთ ტერიტორიაზე გადასვლა, რომ ისინი მთავრობას შეაცვლევინებენ დადგენილებას თუ ამისათვის ემიგრანტები განსაზღვრულ თანხას გადაიხდიან ან ბრილიანტებსა და ძვირფას ნივთებს დასთმობენ. ამნაირად აბათილებენ საექიმო კომისიის დადგენილებებსაც კი. შუამავალი პირების დაკმაყოფილების შემდეგ ემიგრანტებს აღარ რჩებათ ას დოლარიც კი, რომელიც აუცილებელი პირობაა მექსიკაში შესვლის ნებართვისათვის. ამნაირად ემიგრანტები ევროპაში ბრუნდებიან სავსებით გალატაკებულნი. მეორე ხერხი საემიგრაციო ხელისუფლებისა მდგომარეობს დიდი თანხების კონფისკაციაში იმ მიზეზით, თითქოს ახალი წესების ძალით იმიგრანტებს არ შეუძლიათ შეიტანონ მექსიკის ნავთსადგურებში საზღვარგარეთის ვალიუტა.

საფრანგეთი და რუმინეთი

პარიზი, 11 აგვისტო. ხენ-ბრისი ეხება რა ბუხარესტიდან მიღებულ ცნობებს საფრანგეთსა და რუმინიას შორის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის შესახებ, სწერს: „შეთანხმება წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს იმ შეთანხმებათა ჯაჭვისას, რომელიც საფრანგეთმა შეკრა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან იმ მიზნით, რომ დაიცვას მშვიდობიანობა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და უზრუნველყოს ომის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა.

სენ-ბრისი აღნიშნავს რა, რომ საფრანგეთმა სცნო ბესარაბიის ოკუპაცია რუმინიის მიერ იმ დროს, როცა იტალია სცდილობს შეთანხმებას ერთის მხრივ ბუხარესტთან და მეორეს მხრივ მოსკოვთან, საჭიროთ სთვლის საფრანგეთმა და იტალიამ შეათანხმონ თავისი პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში.

ვენა, 10 აგვისტო. **„ლუპტა“-ს ცნობით რუმინიის წარმომადგენელმა პარიზში ხელი მოაწერა საფრანგეთ-რუმინიის ხელშეკრულებას, მსგავსად საფრანგეთ-პოლონეთის ხელშეკრულებისა.**

ოფიციალური ცნობა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ, ჯერ არ გამოქვეყნებულა.

გლეხების წამება

საბერძნეთში

64 გლეხი ფეხებით ჩამოჰკიდეს

ათინა, 10 აგვისტო. 16 ივლისს ეპირში (საბერძნეთი) იანინსა და პერევეზს შუა შარა-გზაზე ბანდიტებმა გაძარცვეს საბერძნეთის ნაციონალური ბანკის ავტომობილი, რომელსაც მიჰქონდა 15 მილ. დრახმი. ბანდიტების შესაპყრობად გამოიწვიეს ნაციონალური გვარდიის 2 პოლკი, რომელმაც ალყა შემოარტყა მთელ რაიონს. ბანდიტები ვერ აღმოაჩინეს. რადგან ყაჩაღები ვერ დაიჭირეს, სამხედრო სარდლობამ გადასწყვიტა, რომ მოსახლეობამ იცის მათი ბინადრობა და არ სურს ჩვენება. ამიტომ სარდლობის განკარგულებით დაიწყო გლეხების მასიური წამება.

მთავრობის გაზეთი „ელევთეროს ტიპოს“ კორესპონდენტი იუწყება, რომ დასწვეს და გაძარცვეს რამოდენიმე ასეული გლეხის სახლები. მეზობელი რაიონებიდან ადმინისტრატიულ ცენტრში ჩამორეკეს გლეხები, რომლებიც მთელი დღეების განმავლობაში ელოდებოდენ—თუ როდის დაუძახებდენ დასაკითხავად. გლეხებს როზგსა სცემდენ, ფეხებით ჰკიდებდენ, ფეხის გულებსა და თითის ფრჩხილებში წვეტიან ჯოხებს უყრიდენ, უწყალოთ სტოვებდენ და სხვ. **ერთი რაზმის უფროსმა ფეხებით ჩამოკიდა 64 გლეხი,** რომლებიც ამ ყოფაში რამოდენიმე საათი დასტოვა. **ასეთ წამებას ბევრმა ვერ გაუძლო და სული დალია. დახოცილებს შორის ქალებიც არის.**

ინდოეთში

სვარაჯის პარტიის მოღვაწეთა მოწოდება

ლონდონი, 10 აგვისტო. **სვარაჯის პარტიის ზოგიერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, როგრც ინდოელებმა, ისე მუსლიმანებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც ნაჩვენებია, რომ შეუწყვეტელი შეხლა-შემოხლა ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის დამღუპველ გავლენას იქონიებს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამჟამათ საჭიროა ნაციონალური თვითშეგნების განვითარება, რომლის დამყარების შემდეგ სარწმუნოებრივი უთანხმოებანი უკანა რიგში დადგებიან.** ნაციონალური კავშირის პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს: სარწმუნოების და ადათების სრული თავისუფლება, პატივისცემა განსხვავებულ რწმენისა და ადათ-ჩვეულებებისადმი.

თემების ურთიერთობის მოწესრიგება მათი კანონიერი უფლებების დაცვის ნიადაგზე.

კამპანია ინდოეთის კომუნისტების წინააღმდეგ

ლონდონი, 10 აგვისტო, კალკუტიდან მიღებული ცნობით ინდოეთის კომპარტიის უკანასკნელი მოწოდება კანონის საწინააღმდეგო სცნო და ბრძანებაც გასცა ამ მოწოდების კონფისკაციისათვის. ინდოეთის კომპარტიის წრეები მთავრობის ამ ბრძანებას უცქერიან, როგორც კომუნისტების საწინააღმდეგო კამპანიის დასაწყის.

პანგალოსის სამფლობელოში

ათინა, 11 აგვისტო. აგრინონის თამბაქოს ფაბრიკის რამდენიმე ათასმა გაფიცულმა მუშამ ქალაქის მახლობელ ადგილებში მოაწყვეს კრება, რის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია აგრინონაში.

ჟანდარმერიამ და ჯარმა გზები შეუკრეს დემონსტრანტებს. შეტაკების დროს ორთავე მხარემ ასტეხა სროლა, რომლის დროსაც **მოკვდა სამი და დაიჭრა 4 კაცი.** ბრბომ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი, შეიჭრა აგრინონაში და უნდოდა შეტევა დაეწყო ჟანდარმთა სამმართველოს წინააღმდეგ, მაგრამ მუშათა ზომიერ ლიდერების რჩევით ერთის მხრით, და ჟანდარმების ძალით მეორეს მხრით, ბრბო გაფანტულ იქმნა. აგრინონაში ჯარები გაიგზავნა.

სპილენძის მონოპოლია

ვაშინგტონი, 10 აგვისტო. სპილენძის მრეწველობით დაინტერესებულმა პირებმა სთხოვეს ვაჭრობის დეპარტამენტს სპილენძის საექსპორტო დიდი საზოგადოების დაარსების ნებართვა. საზოგადოებაში მონაწილეობას იღებს ამერიკის სპილენძის წარმოების მრეწველთა 90%. ეს საზოგადოება დაკავშირებულია სპილენძის წარმოების მნიშვნელოვან სამრეწველოებთან, ინგლისში, გერმანიაში, ჩილში, იაპონიაში და მექსიკაში—რომლებიც ამერიკის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ეს ორგანიზაცია არის სპილენძის მსოფლიო მონოპოლია ამერიკელების ხელმძღვანელობით, რომლის მიზანი არის კონკურენციის მოსპობა და სპილენძის ფასების გადიდება.

იტალია-ესპანეთის შეთანხმება

რიმი, 11 აგვისტო. 7 აგვისტოს ხელი მოაწერეს იტალია-ესპანეთის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ, გაზ. „ტრიბუნა“ სწერს: ხელშეკრულების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის, იცავს იტალიის სასიცოცხლო ინტერესებს ხმელთაშუა ზღვაზე, ამტკიცებს ორივე ქვეყნის პოზიციას სამხრეთ-აფრიკის საკითხში და აადვილებს მათ გადაწყვეტას.

ავსტრალიის შეიარაღება

ლონდონი, 10 აგვისტო. ავსტრალიის სამხედრო ძალების მთავარმა ინსპექტორმა, გენერალმა შოველმა, წარუდგინა პალატას ვრცელი მოხსენება—სადაც აღნიშნავს, რომ საჭიროა დიდი სპეციალური თანხის გადადება ავსტრალიის საზღვაო და ხმელეთის თავდაცვითი ძალების უზრუნველსაყოფად. გადადებული თანხის რაოდენობა ყოველწლიურად უნდა განისაზღვრებოდეს 10 მილ. გირ. სტერლინგით. ავსტრალიის სამხედრო საზღვაო წრეები გენერალი შოველის მოსაზრებას მედგრათ უჭერენ მხარს.

„ჯავშნოსანი პატიომკინი“

ბერლინი, 10 აგვისტო. ბავარიის მთავრობამ, იმავე მოტივებით როგორც ვიუტემბურგისამ, აკრძალა „ჯავშნოსანი პატიომკინი“ ახალი რედაქცია და ამის შესაფერი ინსტრუქციები დაუგზავნა პოლიციას.

პირიქით, საქსონიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლოთ სცნო „ჯავშნოსან პატიომკინი“-ს ხელახლა ჩვენება.

ახალგაზრდათა ლიგა

იაპონიაში

ტოკიო, 10 აგვისტო. ნისაკაში შესდგა წინასწარი კონფერენცია საორგანიზაციო საკითხების განსახილველად ახალგაზრდათა ნაციონალური ლიგის შექმნის შესახებ. ახალ ორგანიზაციაში უკვე შედის 17.000 კაცი. კონფერენციამ დაადგინა დახმარება გაუწიოს იაპონიის მუშურ-გლეხურ პარტიას.

საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ

ბერლინი, 11 აგვისტო. ელზას-ლორენის ხუთმა დეპუტატმა პარიზში პროტესტი განაცხადა საფრანგეთის პოლიტიკისა და „ხეიმატ ბუნდის“ წევრების მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ. პარიზიდან მიღებული ცნობით, დეპუტატები იმუქრებიან, რომ თუ მთავრობა არ შესცვლის თავის პოლიტიკას, ისინი ამ საკითხს დეპუტატთა პალატაში შეიტანენ განსახილველად.

ესპანეთ-იტალიის კავშირი

ბერლინი, 11 აგვისტო. იტალია-ესპანეთის ხელშეკრულებამ დიდი გაოცება გამოიწვია ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში. ლონდონიდან მიღებული ცნობით, მოლაპარაკებას, რომლებიც წინ უძღოდა ხელშეკრულების დადებას, საიდუმლოდ ინახავენ. „დეილი ტელეგრაფი“ ხელშეკრულებას ახასიათებს, როგორც ანტი-ბრიტანულს, თუმცა ის იმავე დროს დასძენს, რომ ხელშეკრულებაში არაფერია ისეთი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ინგლისისათვის.

შეტაკება პოლიციასთან

ბერლინი, 10 აგვისტო. ბერლინის ყველა რაიონებში შესდგა რემედასის მიერ მოწყობილი საჯარო საპროტესტო დემონსტრაციები თეთრი ტერორის წინააღმდეგ. მრავალრიცხოვან მიტინგებზე მიღებულ იქმნა საპროტესტო რეზოლიუციები ლეიპციგის უმაღლეს სასამართლოს არაჩვეულებრივად მკაცრი განაჩენის წინააღმდეგ.

დემონსტრაცია აღშფოთებული იყო აგრეთვე უნგრეთისა და პოლონეთის თეთრი ტერორის პარაშით და გერმანიის კლასიური იუსტიციის მსხვერპლთა განთავისუფლებას.

ვედინგში დემონსტრანტებს თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც სროლა ასტეხა. სროლის დროს დაიჭრა 20 კაცი. დატუსაღებულია 10 დემონსტრანტი.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ პოლიცია სისტემატიურად ეწევა მუშათა დემონსტრაციების პროვოკაციას. სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიის ცილისწამების კამპანიას მიზნად აქვს, რომ მკაცრი რეპრესიული ზომები იქმნას მიღებული მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ახალგაზრდათა დელეგაციის ჩამოსვლა

მოსკოვი, 11 აგვისტო. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა მიიღო ცნობა, რომ ახალგაზრდათა კომკავშირი ატარებს კამპანიას მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის გაგზავნის შესახებ საბჭოთა კავშირში საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ დღისთვის საბჭოთა კავშირში ჩამოვა ინგლისის, იტალიის და გოლანდიის მუშა-ახალგაზრდობის მიერ არჩეული დელეგაცია. ენკენისთვეში მოელიან აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, საფრანგეთის და იაპონიის მუშათა-ახალგაზრდობის დელეგაციებს.

მუშების გამარჯვება

ტოკიო, 10 აგვისტო. ხამანაცუში სამუსიკო ინსტრუმენტების ფაბრიკის მუშების გაფიცვა, რომელიც 1926 წლის აპრილში დაიწყო, მუშების გამარჯვებით გათავდა.

სხვა-დასხვა

კაპაბლანკამ გაიმარჯვა. ამერიკის მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში პირველი პრიზი მოიგო კაპაბლანკამ; მან ექვსი პარტია მოიგო და 2 წააგო.

მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის. ტრიესტში პრეფექტის განკარგულებით დახურეს ყოველკვირეული ორგანო ხორვატულ ენაზე „დელო“ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის. ასეთი პროპაგანდისათვის „დელო“-ს თავის არსებობის დღიდან 15 ჯერ უყვეს კონფისკაცია—ხოლო ამ წლის განმავლობაში-კი 6 ჯერ.

ბამბის მოსავალი შეერთებულ შტატებში. ოფიციალური ცნობის მიხედვით ბამბის მოსავალი უდრის ნორმალური მოსავლის 69.80 პროც. 1 აგვისტოს ბამბის პროდუქცია აღწევს 15.621.000 კიპამდე.

უკანასკნელი ცნობები

გამოძახილი კლემანსოს წერილზე

ბერლინი, 11 აგვისტო. პარიზიდან იუწყებიან, რომ კლემანსოს წერილმა კულიჯისადმი ცუდი გავლენა მოახდინა ამერიკა-საფრანგეთის სამხედრო სესხის მოწესრიგების საკითხზე.

გერმანია და ერთა ლიგა

პარიზი, 11 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგის“ ცნობით, შტრეზემანი მალე დაამთავრებს მოლაპარაკებას ერთა ლიგის სხდომის შესახებ და შემდეგ თათბირი ექნება ლორდ აბერნონთან საოკუპაციო რეჟიმის სწრაფად შეცვლის გარშემო.

უთანხმოება პუანკარესა და ბრიანს შორის

ბერლინი, 11 აგვისტო. ხმებია, რომ პუანკარესა და ბრიანს შორის უთანხმოებაა ერთა ლიგის მომავალ სესიასთან დაკავშირებულ საკითხების ირგვლივ.

პუანკარე მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებულ იქმნას პოლონეთის პრეტენზია ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ, ბრიანი კი, ემყარება რა ლოკარნოს ხელშეკრულებას, ამბობს, რომ პოლონეთს უნდა მიეცეს არამუდმივი ადგილი.

ბელგია და გერმანია

პარიზი, 11 აგვისტო. „ლიბრ ბელჟიკის“ ცნობით, საფუძველი არ აქვს გერმანიის იმ ცნობებს, რომლებიც იუწყებიან, რომ ეპენისა და მალმედის შესახებ შესაძლოა დაიდოს გერმანია-ბელგიის კონვენციაო.

მემადაროეთა დელეგაცია ამერიკაში

ბერლინი, 11 აგვისტო. ინგლისის გაფიცულ მემადაროეთა დელეგაცია ნიუ-იორკში ჩავიდა, სადაც ის შეეცდება ფინანსიური დახმარება მიიღოს ამერიკის მემადაროეთა კავშირიდან.

გერმანია და პორტუგალია

ბერლინი, 11 აგვისტო. პორტუგალიის მთავრობამ გააუქმა პასპორტების ვიზა გერმანიის ტურისტებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან პორტუგალიაში და უკანვე ბრუნდებიან. ამის შესახებ დადებული შეთანხმება ეხება აგრეთვე აზორის კუნძულებს და კუნძულ მადეირას.

გემების სახელოსნოს დახურვა

ლონდონი, 10 აგვისტო. რადგან სამუშაოები აღარ იყო, ჩრდილოეთ ინგლისში დაიხურა გემების 20 სახელოსნო.

მუშების გამარჯვება

ტოკიო, 11 აგვისტო. მუსიკალურ ხელსაწყოების ფაბრიკის მუშათა გაფიცვა ხამანაცუში, რომელიც 1926 წ. აპრილში დაიწყო, მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. გაფიცული 2.500 გემთა-აღმშენებელი მუშა ტოკიოში, სამუშაოს დაუბრუნდენ იმის შემდეგ, როცა მიიღეს ადმინისტრაციის თანხმობა იმაზე, რომ ორ დათხოვნილ მუშას მისცემს 1.000 იენს და ქარხნის კომიტეტის დაარსების ნებას დართავს.

ბამბის ქარხნის 3.300 მუშამ კამიდოში განაახლა მუშაობა იმის შემდეგ, რაც ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილებანი.

გერმანიის დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს სხდომაზე

მოსკოვი, 11 აგვისტო. შესდგა საკავშირო პროფსაბჭოს და მოსკოვის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს პრეზიდიუმების გაფართოებული სხდომა გერმანიის მუშათა დელეგაციის მონაწილეობით.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტომსკიმ, რომელმაც გააცნო დელეგაციას საბჭოთა პროფკავშირების შინაარსი და მნიშვნელობა. ამხ. ტომსკი შეეხო აგრეთვე მუშათა მთლიანი ფრონტის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ მთლიანობას წინ ეღობება ამსტერდამის ინტერნაციონალი.

დელეგაციის თავმჯდომარე კერბერმა, საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ ის მიიღებს ყოველ ზომებს მუშათა მთლიანი ფრონტის იდეის განსახორციელებლად.

იაბლოჩკოვის გარდაცვალება

ნალჩიკი, 11 აგვისტო. გარდაიცვალა ჩრ.-კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, სახელგანთქმული ცივილისტი, რომელმაც დასტოვა ევროპაში კარგად ცნობილი მეცნიერული ნაშრომები.

მეცნიერული ექსპედიციის დაბრუნება

ლენინგრადი, 10 აგვისტო. დაბრუნდა ბოტანიკისა და ახალ კულტურათა ინსტიტუტის მეცნიერული ექსპედიცია, რომელიც წარსულ წელს გაემგზავრა მექსიკაში და სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში იმ კულტურულ მცენარეთა ნიმუშების შესაგროვებლად, რომელთა სამშობლოა მექსიკა, კუნძული კუბა, პანამა, კოლუმბია და სხვა ეკვატორიალური ქვეყნები.

გერმანიის დელეგაციის შეხვედრა კლარა ცეტკინთან

მოსკოვი, 11 აგვისტო. 11 აგვისტოს მოხდა გერმანიის მუშათა დელეგაციის შეხვედრა კლარა ცეტკინთან.

დელეგაციის სოციალ-დემოკრატების ჯგუფის წარმომადგენელი მიესალმა ცეტკინს, როგორც მებრძოლს მუშათა საქმისათვის. ცეტკინმა განაცხადა, რომ იგი ბედნიერად გრძნობს თავს იმით, რომ სცხოვრებს პირველ პროლეტარულ სახელმწიფოში—საბჭოთა კავშირში, მაგრამ იგი უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომ პროლეტარულ გერმანიაში ეცხოვრა, რომლის მუშებს შორის იგი აღიზარდა. საუბარი ატარებდა საქმიან ხასიათს და 3 საათზე მეტი გაგრძელდა.

გერმანიის მუშათა დელეგაცია ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 11 აგვისტო. 11 აგვისტოს, დილით, გერმანიის მუშათა დელეგაცია მიიღო ამხ. რიკოვმა. საუბარში დელეგატებმა დასვეს რამოდენიმე საკითხი, რომლებიც ეხებოდენ საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა მხარეებს. შეკითხვებზე ამხ. რიკოვმა ამომწურავი პასუხი გასცა. საუბარი გაგრძელდა 5 საათს.

ერიო ვერ დარჩება ქ. ლიონის მოურავად

პარიზი, 10 აგვისტო. დეპარტამენტ რონის სოციალისტური პარტიის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ლიონში მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ერიო ვერ დარჩება ლიონის მუნიციპალიტეტის სათავეში და სასწრაფოდ უნდა იქნას დანიშნული ახალი არჩევნები იმ მიზნით, რომ სოციალისტი იქნას არჩეული ამ თანამდებობაზე.

გაფიცვის ლიკვიდაცია ლოძში

ვარშავა, 11 აგვისტო. ლოძის მუნიციპალურ წარმოებათა გაფიცულ მუშების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები, გადაწყდა გაფიცვის შეწყვეტა, ვინაიდან ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებმა აღუთქვეს გაფიცულ მუშებს, რომ სამუშაო ხელფასს მოუმატებენ.

წმ. ელენეს კუნძული

ლონდონი, 11 აგვისტო. წმ. ელენეს კუნძულიდან მიღებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კეთრის ავადმყოფობის მოსპობის გამო კეთროვანთა კოლონია დაიხურა.

ირაკის პრემიერი დასჭრეს

ლონდონი, 11 აგვისტო. ირაკის პრემიერი აბდულ-ბეკ-ელგადუმი სამართებლით დასჭრა უბაში სახაზო მოხელემ. პრემიერი საავადმყოფოში მოათავსეს.

ტიან-ძინის ზარალი

ლონდონი, 11 აგვისტო. „დეილი მეილი“ იუწყება, რომ ჩინეთის მთავარი ნავთ-სადგური ტიან-ძინი საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდის არმიის უფროსთა შეუწყვეტელი ბრძოლის გამო. ჩინელები და უცხოელები დიდ ზარალში არიან. შეუძლებელი ხდება საქონლის გატანა კალგანსა, პეკინსა და ხანკოუში, რადგან ტრანსპორტი შეწყვეტილია.

კიდევ გაფიცვა

პარიზი, 11 აგვისტო. ოსლოდან მიღებული ცნობით, ქაღალდის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის მოსაგვარებლად მწარმოებლებსა და მუშებს შორის დაიწყება მოლაპარაკება. თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, მაშინ გაფიცვას გამოაცხადებს 12.000 მუშა.

ვეიმარის კონსტიტუციის წლის თავი

ბერლინი, 11 აგვისტო. ვეიმარის კონსტიტუციის მიღების 7 წლის თავზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კულცმა, რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ გერმანია მშვიდობიანობის მოყვარულ პოლიტიკას ადგია საერთაშორისო ურთიერთობაში.

კანცლერ მარქსის სიტყვის შემდეგ პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა რეიხსტაგის შენობის წინ დაათვალიერა რეიხსტაგის რაზმები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გასაწვევი და დასათხოვი ჯარისკაცებისათვის

მოსკოვი, 11 აგვისტო. „ცენტროსოიუზი“ აწყობს გასაწვევ და დასათხოვ ჯარის კაცთათვის საჭირო საგნების მიწოდებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცხელი საჭმელისა და სატრანსპორტო პროდუქციის მოწოდების ორგანიზაციას. იმ პუნქტებში, სადაც თავს იყრის გასაწვევი და დასათხოვი ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა, მოწყობილი იქნება კიოსკები, დუქნები და სხვ. გაძლიერებული იქნება მუშაობა კოოპერატიული სასადილოების, რომლებიც შესაკრებ პუნქტების მახლობლად არსებობს და აგრეთვე რკინისგზებზედაც. საქონლის ასორტიმენტი დუქნებში და კიოსკებში შერჩეული იქნება წითელარმიელის შესაძლებლობასთან შეფარდებით.

სპილენძი ოქროს მაგიერ

ირკუტსკი, 11 აგვისტო. დამთავრდა ირკუტსკის ოქროს მდნობელ ლაბორატორიის მდნობელის ლონგინოვის საქმე, რომელსაც ბრალდება სისტემატიური ქურდობა ოქროსი და მისი სპილენძით შეცვლა. ლონგინოვს მიუსაჯეს დახვრეტა.

გრიგალი

კრასნოდარი, 11 აგვისტო. ვისელკის და კოზილკის სადგურებს შორის გაიარა უჩვეულო გრიგალმა სეტყვით. გრიგალმა მოფანტ-მიფანტა პურის ნათესები, გაანადგურა სიმინდის და ბაღჩის მინდვრები, ტელეგრაფის ბევრი ბოძი ამოთხარა. ძალიან დაზარალდნენ ხილის ბაღები.

ავარია ვოლგაზე

რიბინსკი, 11 აგვისტო. 7 აგვისტოს შექსნისის რაიონში გემი „გლავოდი“ დაეჯახა ქვებს და გაიხვრიტა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. გემი დიდი ხნით არ იმუშავებს.

ტორფის ხანძარი

მოსკოვი, 11 აგვისტო. ტორფის ხანძარი, რომელიც სადგურ ვოლგას რაიონში მძვინვარებდა 2 კვირის განმავლობაში, ძლიერი წვიმების გამო შეწყდა. დაიწვა 2 კვადრატ. ვერსის მოედანი.

შეღავათიანი ტარიფი სოციალური დაზღვევისათვის

მოსკოვი, 11 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, სოციალურ დაზღვევის შეღავათიანი ტარიფი გავრცელდეს (10 პროც.) საზოგადოებრივი სარგებლობის მომტან ყველა კომუნალურ წარმოებებზე, რომელნიც მოგების მიზანს არ ისახავს, თუ გინდ ისინი სამეურნეო ანგარიშზე ირიცხებოდენ.

წყალდიდობა სახალინზე

ალექსანდროვსკი, 11 აგვისტო. რამოდენიმე დღის განმავლობაში სახალინზე განუწყვეტელი ნიაღვარი მოდიოდა, რომელმაც ალექსანდროვსკის რაიონში წყალდიდობა გამოიწვია. მოვარდნილმა წყალმა წალეკა იაპონელების მიერ აშენებული წყალსადენის აუზი, დაზიანებულია ნავთსადგური; წყალმა გადაიარა ბოსტნებზე და მინდვრებზე, წაიღო თივა, თევზის საჭერი მოწყობილობანი და სხ.

უკრაინა

ანტრაციტის ამოღება

როსტოვი, 11 აგვისტო. შახტინის ოლქში მუშაობის რაციონალიზაციის და მექანიზაციის შემდეგ მაღარო „პროლეტარი დიქტატურა“-ს პროდუქცია გაიზარდა ომის დრომდე არსებულ ნორმას ზევით. 1924 წელში მაღაროს ორი ფენა იძლეოდა ყოველ წლიურად 10 მილ. ფუთ ანტრაციტს. ამჟამად მხოლოდ ერთი ფენა იძლევა 11 მილ. ფუთს.

გადასახადი ზედმეტ მოგებაზე

მოსკოვი, 11 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა ინსტრუქცია ზედმეტ მოგებიდან სახელმწიფო გადასახადის აკრეფის შესახებ 1925—26 წლის მეორე ნახევარში. გადასახადი ვრცელდება სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებზე და იმ პირებზე, ვინც ამოირჩია მესამე ხარისხის ან უმაღლესი პატენტი; აგრეთვე იმ პირებზე ვინც ეწევა საკომისიონერო, სამაკლერო და საექსპედიტორო ოპერაციებს; ვინც იხდის საშემოსავლო გადასახადს (ბ) კატეგორიის მიხედვით; სააქციონერო და საპაიო საზოგადოებებზე და ამხანაგობებზე, ამხანაგობებთა განსაზღვრული პასუხისმგებლობით და საკრედიტო დაწესებულებები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დახმარება უპატრონო ბავშვებს

ბაქო, 11 აგვისტო. აზერბეიჯანის ცაკთან არსებულმა საბავშო კომისიამ, უპატრონო ბავშთა დასახმარებლად გადასდო 46.192 მანეთი. ამ თანხიდან ბაქოს საბჭოს საბავშო კომისიას მიეცა 26.692 მან. დანარჩენი ფული მაზრებს გადაეცა.

ცხენების გამოცდები

ბაქო, 11 აგვისტო. 17 სექტემბერს ბაქოს იპოდრომზე იხსნება ცხენების გამოცდების სეზონი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და კაბარდოს ბალკარიის ცხენთსაშენების ცხენები.

არმენიკენდის რადიო-ქსელის მოწყობა

ბაქო, 11 აგვისტო. სექტემბერში დამთავრდება არმენიკენდის მძლავრი რადიო-სადგურის აგება.

აპშერონის ნახევარ კუნძულის გამოკვლევა

ბაქო, 11 აგვისტო. დამთავრდა აპშერონის ნახევარ კუნძულის ბოტანიკური გამოკვლევა. ნახულ იქნა მცხოვრებთათვის ნაკლებად ცნობილი ფრიად ძვირფასი მცენარეები.

კალია

ბაქო, 11 აგვისტო. ყუბისის მაზრაში დაღესტანის მხრიდან მოფრინდა აზიის კალია, რომელმაც 1000 დესეტინა მოედანი დაფარა.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

პარტიის დისციპლინის მთლიანობისათვის

კომინტერნის პოლიტიკის საკითხებში პლენუმმა აილო სწორი ლენინური ხაზი.—უკრაინის კომპარტიის ცეკა პროტესტს აცხადებს ოპოზიციის მიერ საბჭოთა ხელახალი არჩევნების კამპანიის შეცდომების და დეფექტების გაზვიადების წინააღმდეგ.—ოპოზიციის ფრაქციონული მუშაობა წარმოადგენს ბოლშევიკურ ტრადიციების უჩვეულო დარღვევას.—ოპოზიციის უპრინციპობა დაუზოგავათ უნდა იქნას გამომჟღავნებული.—უკრაინის ორგანიზაციამ ერთსულოვნად დაგმო ოპოზიციის გამთიშავი მოქმედება

უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი, მოისმინა რა მან ამხ. **კოგანოვიჩის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ, გამოსთქვამს სრულ სოლიდარობას გაერთიანებული პლენუმის ყველა დადგენილებისადმი.

პლენუმი აღნიშნავს **საკავშირო კომპარტიის ცეკას სწორ ლენინურ ხაზს კომინტერნის პოლიტიკის საკითხებში.** ეს ხაზი ეყრდნობა ჩვენი პარტიული ყრილობების და კომინტერნის კონგრესების და გაფართოებულ პლენუმების დადგენილებებს. როგორც წინად, ისე ეხლა კომინტერნის სექციების ძირითად ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციის მომზადება, მუშათა მასების და მასიურ პროლეტარულ ორგანიზაციების გადაყვანა კომუნიზმის მხარეზე, საზღვარ-გარეთელ კომპარტიების ტაქტიკის და საორგანიზაციო სტრუქტურის ბოლშევიზაცია; მხედველობაში მიღებულია ის ფაქტი, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია შედარებით მერყევია და აგრეთვე არ არსებობს უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია. პლენუმი გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ ცდას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ კომინტერნი ჩამოაშორონ ამ ხაზს და გადაიყვანონ ულტრა მემარცხენე, ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიისათვის ხელსაყრელ გზაზე. ოპოზიციის კონკრეტულ წინადადებათა ლოღიკურ შედეგს წარმოადგენდა ლოზუნგი რეფორმისტულ პროფკავშირებიდან კომუნისტების გასვლის შესახებ. ამ ტაქტიკას, რომელიც კატეგორიულად დაგმო ლენინმა ჯერ კიდევ 1920 წელს, იცავდა და იცავს ულტრა მემარცხენე მიმდინარეობა გერმანიაში და როგორც გამოცდილებამ თვალსაჩინოთ დაგვანახვა, იგი იწვევს კომპარტიის ჩამოშორებას მუშათა მოძრაობისაგან და პოზიციების ჩაბარებას სოციალ-დემოკრატებისათვის, მიუხედავათ სიტყვიერი მემარცხენეობისა. ასეთი ტაქტიკა მოასწავებს „ნეტარ ხსენებულ“ „ოტზოვიზმის“ და ულტიმატიზმის ტრადიციების აღდგენას და მას არაფერი საერთო არ აქვს ლენინიზმთან.

უკრაინის კომპარტიის ცეკა **გადაჭრით უჭერს მხარს საკავშირო კომპარტიის ცეკას ეკონომიურ პოლიტიკას,** რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს მე-14 პარტყრილობის დადგენილებებიდან. იგი უყენებს პარტიას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანას, მიუხედავათ ოპოზიციის სკეპტიციზმისა და ურწმუნობისა. სოციალიზმის მშენებლობის გზა ამ პოლიტიკის მიხედვით მდგომარეობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სისტემატიურად გატარებაში, პირველ ყოვლისა მძიმე მრეწველობის განვითარებით; და აგრეთვე იმაში, რომ საწარმოვო ძალთა სოციალისტურ ორგანიზაციის სისტემაში სისტემატიურად ჩაბმული იქნან გლეხური მეურნეობანი კოოპერაციის საშუალებით. პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლები მე-14 პარტყრილობაზე ილაშქრებდენ ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ და ამხ. სოკოლნიკოვის სახით იცავდენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ისეთ გზებს, რომელიც გადააქცევდა საბჭოთა კავშირს უცხოეთის კაპიტალის აგრარულ კოლონიად. მეორე მხრივ ჯერ კიდევ 1923 წელს პარტიას მოუხდა შეჯახება მაშინდელ ოპოზიციის (ტროცკის, პიატაკოვის, პრეობრაჟენსკის) თვალსაზრისთან; ეს ოპოზიცია წინადადებას იძლეოდა და ეხლაც იძლევა განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა ისე, რომ ანგარიში არ გაუწიოთ გლეხობას, ვინაიდან გლეხობამ მრეწველობის მიმართ უნდა ითამაშოს ისეთივე როლი, როგორსაც თამაშობენ კოლონიალური ქვეყნები კაპიტალიზმის დროს. ტროცკიზმის ეს თვალთსაზრისი, რომელიც ემყარება გლეხობის ძირითად მასის, როგორც სოციალისტურ მშენებლობის მონაწილის (პროლეტარიატის ხელმძღვანელობით) არა საკმარისად შეფასებას, აშკარად ეწინააღმდეგება ლენინის მოძღვრებას მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის შესახებ. ასეთ თვალსაზრისს მიჰყავს საბჭოთა ხელისუფლება საშიშარ და საზიანო პოლიტიკის გზით, რაც ძირს უთხრის პროლეტარიატის დიქტატურას. უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი იძულებულია აღიაროს, რომ **ამხ. ზინოვიევი და კამენევი მთელ პარტიასთან ერთად, რომელნიც ილაშქრებდენ ტროცკიზმის და მის მიერ ლენინის მოძღვრების დამახინჯების წინააღმდეგ მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთო დამოკიდებულების საკითხში, ეხლა ფრაქციონული მოსაზრებით თვითონ იზიარებენ ტროციზმის თვალსაზრისს და კავშირი გასწყვიტეს ლენინიზმის საფუძვლებთან.**

უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი **სავსებით იზიარებს საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თეზისებს და რეზოლიუციებს.** ხელახალმა არჩევნებმა თვალსაჩინოთ დაამტკიცა, რომ საბჭოების გამოცოცხლების, სამხედრო კომუნიზმის მეთოდების აღმოფხვრის, საბჭოთა აღმშენებლობაში საშუალო შეძლების გლეხობის ჩაბმის და ღარიბ გლეხობას შორის მუშაობის გაძლიერების პოლიტიკამ, მკაცრი რევოლიუციონური კანონიერების პოლიტიკამ ხელი შეუწყო ჩვენი პარტიის პოზიციების განმტკიცებას სოფლად, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის ბლოკის—გაძლიერებას და კულაკობის იზოლიაციას. ამავე დროს ჩვენ გვაქვს პროლეტარული აქტივობის გაძლიერება ქალაქებში. მაგრამ ამავე არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ღარიბი გლეხობის და სოფლის მოჯამაგირეების აქტივობა და საბჭოთა აღმშენებლობაში საკმარისად არ არის ჩაბმული ქალაქის პროლეტარიატი; არჩევნებმა გამოამჟღავნეს აგრეთვე მთელი რიგი ნაკლულოვანებანი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, კერძოთ ზოგიერთ ალაგას მაჩანჩალების სულიერ განწყობილების არსებობა. ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს ამომრჩეველთა შემადგენლობის თვითნებითი გაფართოებას საბჭოთა კონსტიტუციის ჩარჩოებს იქით და კმაყოფილებით აღიარებს, რომ პოლიტბიუროს მიერ თავის დროზე იყო მიღებული ზომები ამ შეცდომების გამოსასწორებლად. მაგრამ პლენუმი **აცხადებს პროტესტს ოპოზიციის მიერ ხელახალი არჩევნების კამპანიის ცალკე შეცდომების და დეფექტების გაზვიადებისა და აქედან ისეთი დასკვნების გამოტანის წინააღმდეგ, თითქოს ჩვენი საბჭოების კლასიური ხასიათი იცვლებოდეს ბურჟუაზიულ-კულაკურ გადაგვარების მხრისაკენ.**

ამგვარი დასკვნების გამოყვანა, რაც წარმოადგენს **მენშევიკების ძველ მსჯელობათა განმეორებას,** არის სინამდვილის შეგნებულად დამახინჯება ფრაქციონული მოსაზრებებით და ამას უნდა შევხედოთ, როგორც ცილისწამებას პარტიისადმი, კერძოთ მთელი ჩვენი დაბალი საფეხურის პარტორგანიზაციისადმი.

უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი **ესალმება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ მიღებულ გადამჭრელ ზომებს ჩვენი პარტიის მთლიანობის დასაცავად და ოპოზიციის გამთიშავ ფრაქციონულ მოღვაწეობის აღმოსაფხვრელად ლაშევიჩის და სხვ. საქმესთან დაკავშირებით.**

ქვეყნის შიგნივ სერიოზულ სამეურნეო სიძნელეთა, საერთაშორისო გართულებების და უცხოეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მიერ მტრული აქტივობის გაძლიერების დროს, როდესაც უკანასკნელი აშკარად ემზადება საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, **ორმაგად დანაშაულებრივია** ოპოზიციის ცნობილ ელემენტების ცდა ჩაშალონ მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებანი და არალეგალურ ფრაქციონულ მუშაობის გზით ძირი გამოუთხარონ ჩვენი პარტიის მთლიანობას. ასეთი ცდები **წარმოადგენს ჩვენი ბოლშევიკური ტრადიციების უჩვეულო დარღვევას და უდიდეს დანაშაულს პარტიის, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ.**

ოპოზიციის ფრაქციონული მუშაობა მემარცხენე ფრაზეოლოგიის სახით **ობიექტიურად მოასწავებს ლიკვიდატორობას და ლენინურ პოზიციებიდან სრულ უკან დახევას.**

პლენუმი აღნიშნავს, რომ იმ ოპოზიციის ლიდერებმა, რომელიც დაგმო მე-14 ყრილობამ, უკანასკნელის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირეს იმ ადამიანებს, რომლებსაც გუშინ ისინი ბრალს სდებდენ ლენინიზმის რევიზიასა და ლიკვიდატორობაშიაც კი და იქამდე მივიდენ, რომ ამართლებენ 1923 წლის ოპოზიციას, რომლის წინააღმდეგ ერთ დროს ილაშქრებდენ პარტიასთან ერთად. ეს კიდევ ცოტაა, ისინი მხარს უჭერენ კომინტერნის ულტრა-მემარცხენე ფრთას და ამავე დროს ფაქტიურ ბლოკს ამყარებენ მუშათა ოპოზიციის ნაშთებთან მედვედევის და შლიაპნიკოვის სახით, რომელნიც ქადაგებენ კომინტერნის და პროფინტერნის დათხოვნას, ამსტერდამის ინტერნაციონალთან და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან დამოკიდებულების გადასინჯვას და ჩვენი მრეწველობის გადაცემას უცხოეთის კაპიტალისტებისათვის კონცესიის საფუძველზე.

ეს უპრინციპო ბლოკი, როგორც ბოლშევიკურ პარტიის ისტორიას არ ახსოვს, უნებურათ მოგვაგონებს ავგისტოს ბლოკს, რომელსაც ერთ დროს ტროცკი ადგენდა ლიკვიდატორებთან და „ოტზოვისტებთან“ ერთად, ლენინის და ლენინურ პარტიის წინააღმდეგ. საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი ფიქრობს, რომ **ოპოზიციის ხელმძღვანელთა უპრინციპობა დაუზოგავათ უნდა იქნას გამომჟღავნებული მთელი პარტიის წინაშე.**

უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვამ საოლქო და სარაიონო კომიტეტების და აგრეთვე დიდ უჯრედების კრებებზე გამოააშკარავა **უკრაინის ორგანიზაციის ერთსულოვნობა როგორც პლენუმის გადაწყვეტილებათა, ისე ოპოზიციის გამთიშავ დეზორგანიზატორულ მოღვაწეობის შეფასებაში.**

პლენუმი საჭიროთ სთვლის განაგრძოს მუშაობა საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებათა განსამარტავათ პარტიის წევრთა ფართო მასებს შორის და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ უკრაინის ორგანიზაცია, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს დონის ოლქის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის და ჩვენი მრეწველობის სხვა ცენტრების პროლეტარები, ისეთივე ურყევი რწმენით დაიცავს ჩვენი პარტიის მთლიანობას და ლენინურ ხაზს, როგორც ის ამას იცავდა მე-14 პარტყრილობაზე. პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ენერგიული მუშაობისაკენ მე-14 პარტყრილობის და საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილებათა შესასრულებლად. პარტიის წინაშე დასმულია უდიდესი ამოცანები სოციალისტურ მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში, რასაც პარტია შეასრულებს მიუხედავათ ოპოზიციის გამთიშავი ცდებისა.

პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა ჩვენი საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობაში, ჩვენი აპარატის ბიუროკრატიულად დამახინჯებასთან ბრძოლაში, მუშათა მასების ჩასაბმელად. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საწარმოვო თათბირებს, რომელმაც უნდა შეასრულოს უდიდესი როლი მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის ბრძოლაში. ვინაიდან მომჭირნეობის რეჟიმისათვის წარმატებით ბრძოლის, მოსავლის რეალიზაციის და ჩვენი სამეურნეო რესურსების სწორი აღრიცხვის საფუძვლებზე შესაძლებელია ხელფასის რამდენიმეთ გადიდება, განსაკუთრებით მრეწველობას ჩამორჩენილ დარგებში (ნახშირი, ლითონი, ტრანსპორტი), პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს გამოიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებანი ამ მიმართულებით. პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს გაბედული ბრძოლა აწარმოონ მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯებასთან, და ეცადონ, რომ მომჭირნეობის რეჟიმი არ შეეხოს მუშების რეალურ ხელფასს.

ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცება და შემდგომი მუშაობა ინდუსტრიალიზაციის გასატარებლად ბევრად იქნება დამოკიდებული მოსავლის რეალიზაციაზე. პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს ყურადღებით მოეპყრან პურის დამამზადებელ ორგანოების მუშაობას და უზრუნველყონ პურის დამზადების ნავარაუდევი გეგმის სისწორით და თავის დროზე შესრულება. პლენუმი წინადადებას იძლევა მიღებული იქნას ყოველგვარი ზომები ღარიბ გლეხობასა, მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხთა კომიტეტებს შორის მუშაობის გასაძლიერებლად და ამავე დროს გათვალისწინებული იქნას კონკრეტიული პრაქტიკული ზომები ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პლენუმი მოუწოდებს მთელ პარტიას გააძლიეროს ყურადღება კოოპერაციისადმი მე-14 პარტკონფერენციის მიერ გათვალისწინებულ გეგმის მიხედვით. პლენუმი მოაგონებს პარტორგანიზაციებს, რომ საჭიროა ენერგიული ზომები მიიღონ ეროვნული პოლიტიკის და უკრაინიზაციის გატარების დარგში, რაც წინა პლენუმის მიერ იყო გათვალისწინებული.

პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს **იდეოლოგიურ აღმზრდელობით მუშაობის გაღრმავებას პარტიის წევრთა მასებს შორის.** ლენინიზმის და ოპოზიციის ამ გზიდან გადახრათა გამომჟღავნების საფუძველზე. ეხლანდელ ოპოზიციას, წინანდელის მაგალითის მიხედვით, მიაქვს იერიშები პარტიის და ლენინურ ცეკას წინააღმდეგ შინაპარტიული დემოკრატიის დროშის ქვეშ. იგი სცდილობს ამ დროშის ქვეშ მოაწყოს ფრაქციები, შესცვალოს პარტიულ ხელმძღვანელების კადრები და წარმართოს პარტიის პოლიტიკა ყალბი, ანტილენინური გზით. **ოპოზიციის მიერ შინაპარტიული დემოკრატიის დროშის ქვეშ ამოფარება პლენუმს მიაჩნია უდიდეს თვალთმაქცობის აქტად,** რამდენადაც ოპოზიცია თვითონ ძირს უთხრის შინაპარტიულ დემოკრატიას იმის მაგიერ, რომ დაიცვას თავისი შეხედულებანი პარტიის მიერ დაწესებულ ჩარჩოებში, იგი ეწევა საიდუმლო ფრაქციონულ მუშაობას პარტიის ზურგს უკან. როგორც 1923 წელს, ჩვენ ვხედავთ, რომ შინაპარტიულ დემოკრატიის ნიღაბქვეშ ზოგიერთ ამხანაგებს სურთ თავზე მოახვიონ პარტიას ფრაქციები და ჯგუფები, პლენუმი კატეგორიულად უარყოფს და ამჟღავნებს ამ ცდებს და **აღნიშნავს სერიოზულ მიღწევებს შინაპარტიული დემოკრატიის გატარების საქმეში.** პლენუმი მიუთითებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ საჭიროა ენერგიული მუშაობა აწარმოონ შინაპარტიულ დემოკრატიის გასატარებლად, განავითარონ ინიციატივა, თვითმოქმედება და პარტიული ცხოვრების საკითხების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება და ამ საკითხების დაყენება პარტიის წევრთა მასების მიერ. სათანადო პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები სასტიკი პასუხისმგებელნი იქნებიან ცეკას წინაშე შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევისათვის.

ამავე დროს საჭიროა გააძლიერონ მუშაობა ფართო უპარტიო მასებს შორის, თვალყური ადევნონ მათ სულიერ განწყობილებას და ენერგიულად შეებრძოლონ მასებისადმი ბიუროკრატიულ მიდგომას ამა თუ იმ ორგანოების მხრივ. პლენუმი წინადადებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიის ზრდის საკითხებს და ისე იქნას მოწესრიგებული ეს ზრდა, რომ სისტემატიურად გაიზარდოს მუშათა კადრები პარტიის შიგნივ და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კვალიფიციურ მუშათა მოზიდვას. პლენუმი საჭიროთ სთვლის, რათა პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობის კომკავშირს, მისი ზრდის, მუშაობის და ხელმძღვანელობის საკითხებს.

პლენუმი საჭიროთ სთვლის ხაზი გაუსვას, რომ საერთაშორისო გართულებანი დაჟინებით მოითხოვს პარტორგანიზაციების მხრივ ყოველმხრივ ყურადღებას წითელი არმიის მუშაობისადმი, განსაკუთრებით ტერიტორიალურ ნაწილების შეკრების და ჯარში გაწვევის დროს.

დასასრულ უკრაინის კომპარტიის ცეკა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის პოლიტიკა და ტაქტიკა განხეთქილების საფრთხეში აყენებს პარტიას. პლენუმი მოუწოდებს მთელ პარტიას შემოკრბენ ჩვენი გამოცდილი ლენინურ შტაბის—საკავშირო კომპარტიის ცეკას გარშემო და მტკიცეთ დაიცვან ლენინიზმი და პარტიის მთლიანობა. მხოლოდ ამ გზით ჩვენ შევსძლებთ ოქტომბრის მონაპოვართა დაცვას, ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას და რევოლიუციის გამარჯვებას საერთაშორისო მასშტაბით.

მხარს უჭერენ ცეკას ხაზს

გორი, 11 აგვისტო. გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ივანოვ-კავკაზსკისა საკავშირო კომუნისტური პარტიის ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ, გორის სამაზრო კომიტეტის და ა. ლ. კ. კ. სამაზრო პარტორგანიზაციების აქტივმა წითელ-არმიელთა ნაწილების აქტივის თანადასწრებით, მოვისმინეთ რა, მოხსენება ამხ. ივანოვ-კავკაზსკისა, ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ, უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ვითარდება ეკონომიურად, რომ მისი საწარმოვო ძალები იზრდებიან და ჩვენი მრეწველობა, რომელიც სოციალისტური მშენებლობის საფუძველია, წინ უსწრებს სასოფლო-მეურნეობის განვითარებას, მიუყვება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზას, მიუხედავათ იმისა, რომ იზრდება კერძო კაპიტალიც. სოციალისტური ელემენტები თანდათან ძლიერდება და იპყრობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საკომანდო პოზიციებს. საკავშირო კომუნისტური პარტიის ც. კ. და ც. ს. კ. ივლისის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებანი სამეურნეო საკითხების სფეროში ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის მტკიცე ლენინური ხაზის ნიადაგზე მიიყვანებენ ჩვენს ქვეყანას სოციალიზმის მშენებლობის ფაქტორების გაძლიერებამდე და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებამდე. მასების აქტივობის ზრდასთან ერთად—იზრდება ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული ფენების აქტივობაც, რაც ქმნის მუშაობის ერთგვარ სიძნელეს. განსაკუთრებით აუცილებელია ამ მძიმე პირობებში ფოლადისებური, ლენინური მთლიანობა ყოველგვარი, ეგრედწოდებული, თავისუფალი ჯგუფობრიობის გარეშე და პარტიის რკინისებური დისციპლინის დაცვა. სამაზრო კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს აგრეთვე ოპოზიციის უპრინციპო გამოსვლას, ამხ. ზინოვიევის მეთაურობით ეს ოპოზიცია, არ სწყვეტს თავის გამთიშავ მუშაობას და მივიდა პარტიის ისტორიაში ჯერ არ ნახულ არალეგალურ კრებამდე და დაუშვებელ გამთიშავ ფრაქციულ მუშაობამდე, რის წინააღმდეგ ყოველთვის საბრძოლველად მოგვიწოდებდა ამხ. ლენინი. პლენუმი ესალმება ც. კ. და ც. ს. კ. გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი პარტიის მთლიანობის დამრღვევ ოპოზიციის წინააღმდეგ და აღუთქვამს დაეხმაროს მთელი თავისი ძალ-ღონით, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც კოლექტიურად გაატაროს ცხოვრებაში ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მტკიცედ სდგანან ჭეშმარიტი ლენინიზმის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს მთლიანობას ჩვენს რიგებში. გაუმარჯოს საკ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტს.

ძირს ფრაქციულობა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ცოტა რამ „წვრილმანებზე“

წვრილმან დეფექტებისადმი მედიდური დამოკიდებულება ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული. „პრინციპიალურ“ მწვერვალებიდან ჩვენ ხშირად ვერ ვამჩნევთ, ან უკეთ არ ვამჩნევთ ზოგიერთ „წვრილმანებს“, რომელთაც საბოლოოთ ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არა თუ, რამდენიმე წვრილმანი ერთად აღებული, არამედ თითეულ ცალკე აღებული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნაკლი, ზოგჯერ შეიძლება საბედისწეროც გახდეს საქმისათვის.

მომჭირნეობის რეჟიმის დაწყებისას, ბევრი მაგალითად, ასე მსჯელობდა: „ავტომობილების წინააღმდეგ გალაშქრება დემაგოგიაა. გაღებული ხარჯები არაფერს წარმოადგენს იმ სარგებელთან, რომელიც ავტომობილების გამოყენებას მოაქვს და სხვა“.

ნამდვილად კი, ოფიციალურად გამოირკვა, რომ მარტო თბილისში [illegible] ავტო-მანქანების შენახვა წლიურად კინაღამ ერთი მილიონი მანეთი ჯდებოდა. მომჭირნეობის კომისიამ საჭიროდ დაინახა ამიტომ ავტომანქანების რიცხვის რადიკალურად შემცირება და ჩვენ დღეს ასეული ათასებით დავზოგეთ ამით.

ასევე წვრილმანს ეძახიან, როცა მუშკორი სწერს საკანცელარიო ხარჯების შემცირებაზე, ან რომელიმე მივიწყებულ ძველი მანქანის ან მისი ნაწილების მოვლა-პატრონობაზე, ან წვრილ ქურდ-ბაცაცობაზე, ან სამუშაო დღეების გაცდენაზე და სხვა ამგვარ „უმნიშვნელო“ დეფექტებზე, რომლის გამოსასწორებლადაც ხშირად სათანადო ორგანოები თავსაც არ იფხანენ.

მეტი ყურადღება წვრილმანებს, მეტი ყურადღება იმ „უმნიშვნელო“ დაბრკოლებებს, რომელნიც წინ გვეღობებიან ყოველ დღიურ მუშაობაში და აფერხებენ ჩვენს აღმშენებლობას.

ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით მუშა და გლეხ კორესპონდენტებს. მათ ხშირად სწორედ ამ „წვრილმანების“ გამოაშკარავებისათვის ეხსნიან თავს „მაღალი პრინციპის“ წარმომადგენლები. ბევრჯერ ყურადღების ღირსადაც არ ხდიან მუშკორის შენიშვნას. მიზეზი ადვილი გასაგებია—„წვრილმანია“, „საკითხი კვერცხის ნაჭუჭის ფასადაც არ ღირს“ და სხვა ამგვარი ამაყური განცხადებები.

ამიტომ მომჭირნეობისათვის ბრძოლაში უნდა გადამწყვეტი ღონისძიებები იქნას მიღებული იმ გულგრილობისა და მედიდური განწყობილების წინააღმდეგ, რომელსაც იჩენენ ზოგიერთი გაბიუროკრატებული ადმინისტრატორები მუშა გლეხ კორესპონდენტების საქმიან, თუნდაც „წვრილმან“ შენიშვნების მიმართ.

ბრძოლა ერთი შეხედვით თითქო უმნიშვნელო ნაკლთან უნდა სწარმოებდეს გადაჭრით და დაუზარებლად. აქ არ გვარგებს არც „ზეპრინციპიალობა“, არც მით უფრო მოულოდნელობის მომიზეზება. დიდ საქმის გაკეთებასთან ერთად, უნდა ყოველთვის ვიზრუნოთ დრო წვრილმანის გასაკეთებლადაც.

ვ. კალოუბნელი.

ზედმეტი უბნები გაუქმებულია

1925 წლამდე თბილისში იყო, სულ 13 საგადასახადო ფინ-უბანი. ეს ფინუბანი ისე ასრულებდა თავის მოვალეობას როგორც დღეს მას ასრულებს არა 13, არამედ 18 ფინ-უბანი.

1925 წლამდე როდესაც დაარსებული იყო თბილისში 13 ფინ-უბანი, იმ დროს საგადასახადო ნარჩენები უდრიდა 1.200.000 მანეთს. 1925 წლიდან იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ნარჩენების ლიკვიდაცია, მოემატა 5 ფინ-უბანი. ამ მომატებული 5-თი ფინ-უბნის შენახვა კი უჯდება ფინ-სახკომს თვიურად—2.000 მანეთი, წლიურად კი 24.000 მანეთი. ამ ხუთი ფინ-უბნის მომატებამ გამოიწვია ხარჯები და ნაყოფი კი ვერ მოუტანა ბიუჯეტს.

საქართველოს ფინ-სახკომის მომჭირნეობის კომისიამ მიიღო ზომები ყველა ამ ზედ-მეტი ხარჯების წინააღმდეგ და დაადგინა შემდეგი: ვინაიდან დღესაც გადასახადთა ნარჩენების რაოდენობა უდრის იმავე ჯამს, რასაც იგი უდრიდა 1925 წლის 13 საგადასახადო ფინ-უბნების არსებობის დროს და დამატებული 5-თი ფინ-უბანი ვერ იძლევა ვერავითარ სარგებლობას, პირიქით მისი შენახვა წლიურად ჯდება 24.000 მანეთი, მოხსნილი იქნეს დამატებული 5-თი ფინ-უბანი, მასთან დარჩენილი 13 უბანზე გადამხდელთა რიცხვი, რომელიც უდრის 1700-ს, განაწილებულ იქნეს თანაბრად. საქმის შესამსუბუქებლად თითოეულ საგადასახადო ფინ-უბანს დაემატოს თითო ფინ აგენტი“.

მუშა—ფარიენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

რკ.-გზის ახალი სადგური

ოზურგეთი, 11 აგვისტო. ჩაეყარა საძირკველი სადგურის შენობას. სწარმოებს საამშენებლო მასალის გაზიდვა. სადგურის ახალ სათადარიგო გზების გასაფართოებელი ადგილები უკვე გამონახულია.

ქალაქის კეთილმოწყობა

ჭიათურა, 11 აგვისტო. სააქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი" საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთათვის მთავარ კონტორასთან ხსნის ამბულატორიას.

დიდი ქარხნების მაღაროებთან განზრახულია გაიხსნას საფერშლო პუნქტები და პატარა აფთიაქები.

ჭიათურის კომ. მეურნეობა ამთავრებს წყლის მეორე აუზის მოსაწყობ მუშაობას, რომლითაც ქალაქისათვის წყლის მიწოდება 50%-ით გაიზრდება. ჭიათურაში აღმშენებლობითი მუშაობა გაცხოველებით სწარმოებს. ბაზრის მოედანზე შენდება ახალი ქვის ორსართულიანი სახლები.

თემების გაუქმება

ოზურგეთი, 11 აგვისტო. სპეციალური კომისია შეუდგა 11 თემის გაუქმებას გურიაში.

ზოგიერთი გაუგებრობათა გამო, კომისიამ შეაჩერა მუშაობა ცენტრიდან განმარტების მიღებამდე.

აფხაზეთი

მოთხოვნილება თამბაქოზე

სოხუმი, 11 აგვისტო. აფხაზეთის რწმუნებულის ცნობით, მოსკოვის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება არის, აფხაზეთის თამბაქოზე, განსაკუთრებით მაღალ ხარისხის თამბაქოზე.

ტყვარჩელის ქვანახშირი

სოხუმი, 11 აგვისტო. სევასტოპოლის სამხედრო ნავთსადგურის სამმართველომ აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აცნობა, რომ ის თანახმაა, რათა ტყვარჩელის ქვანახშირის გამოცდა მოახდინოს წყლის საწმენდ სადგურებში და აგრეთვე ხომალდებზე.

მფლანგველობა კოოპერატივში

სოხუმი, 11 აგვისტო. ფსირცხის სამომხმარებლო კოოპერატივში აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედება: არასაიმედო ვალებია—5.000 მან., გამგეობის ყოველ წევრს რამდენიმე ასეული მანეთის საქონელი აქვს გატანილი ნისიად.

ახალი მანქანები

სოხუმი, 11 აგვისტო. სოხუმის თამბაქოს ქარხანაში დადგმულმა 4 ახალმა მანქანამ კარგი შედეგები მოიტანა: თუ წინეთ პაპიროსის მანქიანი კოლოფები 1.700 ცალს აღწევდა, ეხლა მხოლოდ 1.000-მდე ადის. ახალი მანქანა კარტონის ფურცლიდან 50 ნაჭერს იძლევა, მაშინ, როდესაც წინედ მხოლოდ 45 ნაჭერს იძლეოდა. ჯანმრთელობისათვის მავნებელ განყოფილებებში დადგმულია ორი კარგი მტვრის მშენდავი მანქანა, რომელიც აუმჯობესებს მუშაობის პირობებს.

კერძო ვაჭრები გათამამდენ

(აგარაკი ბახმარო)

ბახმაროზე წელს განსაკუთრებით დიდძალმა მოაგარაკემ მოიყარა თავი. ბინების დიდი სივიწროვეა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით, მრავალი ახალი შენობებია აგებული. ბახმაროს არასდროს არ ახსოვს ამდენი მოაგარაკე. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენი ქვეყანა შემდგარია აღორძინების გზაზე და ეკონომიურად თანდათან ძლიერდება.

აგარაკზე უმთავრესი საკითხია სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმე, რასაც წელს ვერ ექცევა საკმაო ყურადღება. ამჟამად გირვანქა პური ფასობს 13—15 კაპეიკს და ამისთვისაც რიგში უნდა იდგე დილიდან-საღამომდე, რომ იშოვო. ფურნეების ყველა ეკუთვნის კერძო მოვაჭრეებს, რომლებიც დღითი-დღე აძვირებენ, როგორც პურს, ისე სხვა სანოვაგეს.

მომავალ წლისათვის საჭიროა მიექცეს ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება, რომ აგარაკზე აუცილებლად იყოს კოოპერატიული ფურნეები და სასადილოები, რომლებიც შეღავათს მისცემს მოაგარაკეებს. ასეთი საქმე უმთავრესად უნდა ითაოს სალოფლო გლეხკომებმა, რომ მათ ცოტა მოსავები დარჩეს. ამით ჩვენ ავლაგმავთ კერძო მოვაჭრეებს.

წითელი სხივი.

დაუშვებელი მდგომარეობა

(აგარაკი შოვი, რაჭა)

აგარაკ შოვის აღმშენებლობა ჩქარი ნაბიჯით მიმდინარეობს. სანატორიუმი ორ კვირაში დამთავრდება. ორასი ცხენისძალის ჰიდრო-სადგურიც ერთ თვეში ამუშავდება. მოაგარაკეები მოუთმენლად ელოდებიან ელექტრონის სინათლეს. ხალხის სიხარულს საზღვარი არ აქვს. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო გარემოება.

წარსულ წლებში აგარაკ შოვში ჩამოსულ ავადმყოფებს ადმინისტრაცია სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა. ჭლექიანებს ცალკე ბინა ჰქონდა მიჩენილი. ამჟამად კი კურორტის მდგომარეობა სამწუხარო პირობებშია.

შოვის სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შამში ლევავა სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ წელს შოვში მოაგარაკეები შესულიყვნენ, იმ მოსაზრებით, რომ ისინი ხელს უშლიან აღმშენებლობას.

მიუხედავად ამისა წელს ხალხი სტიქიურად მოაწყდა აგარაკს, როგორც ჭლექით შეპყრობილები ისე დასასვენებლად ჩამოსულები, რომლებიც არეულნი არიან ერთი მეორეში. არავითარი სანიტარული წესები დაცული არაა. მძიმედ დაავადებული ჭლექიანები, არეულნი არიან ჯანმრთელ ხალხში. აგარაკი იწამლება. ადგილობრივ, შოვის ადმინისტრაცია ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, არ იწვევს ექიმს. რაჭის მაზრის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაც მუნჯად უცქერის ამას, მიუხედავად იმისა, რომ მოაგარაკეებმა ბევრჯერ მიმართეს.

უნდა შევეკითხოთ შოვის სააღმშენებლო კომიტეტის ადგილობრივ ადმინისტრაციას: რატომ უცქერის გულგრილად ამ მდგომარეობას? თუ არ ენანებათ მუშები, რომლებიც მოსულნი არიან დასასვენებლად, რატომ არ ენანებათ თვით კურორტი, რომელიც სამუდამოდ იწამლება.

სხვათაშორის, გასაკვირველია ის გარემოება, რომ შოვში მუშაობს ყოველდღიურად, როგორც თვიურები ისე დღიურები: 200—300 კაცი და მათ ექიმი არ ჰყავთ. აქ არსებობს ფთიაქი. ის ძლიერ სასიამოვნოა. მხოლოდ როდესაც მუშა ავად გახდება უნდა ჩავიდეს ქალაქში 28 ვერსის მანძილზე, გაესინჯოს ექიმს და შემდეგ ამოვიდეს შოვში.

საჭიროა საჩქაროდ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერარს ამ არანორმალურ მდგომარეობას.

ჩოლატოზი.

წერილები

ნათლიაშვილი მასწავლებლები მანდეეთიდან

(შორაპნის მ.)

ამბობენ, დასავლეთ საქართველოში და კერძოთ შორაპნის მაზრაში განსაკუთრებით სჭარბობს უმიწაწყლო გლეხობა, ხოლო კულაკობა აქ ყოველ თემში თითებზე ჩამოსათვლელადაც არ ასწვდება კაცსო. ჩვენ, რასაკვირველია, გვჯერა ეს, რადგან მთელ მაზრასაც რომ თავი დავანებოთ, იმ კუთხეში მაინც, სადაც გავზრდილვართ და ვეცხოვრია, გვინახავს, რომ შორაპნის მაზრის მთა-გორიან ადგილებში, ეგრეთწოდებულ არგვეთის სოფლებს გარდა, მართლაც მწირი მიწაა და ღარიბი მოსახლეობაც სხვაზე მეტად სჭარბობს.

მაგრამ თუ ყველა ისეთი ღარიბებია ამ მაზრაში, როგორც მაგალითად სოფელ მანდეეთის მცხოვრები მასწავლებელი ვალიკო მუმლაძე, მაშინ ამნაირი ღარიბობა ყველა გაჭირვებულ გლეხებისათვის დაგვილოცნია. ორ-სართულიანი კრამიტით დახურული ქვის შენობა, რომელშიაც ოთხი ოთახია, 5 ქცევაზე მეტი საქნავი ადგილი. ერთი ქცევა ვენახი, ძროხა, ცხვარი და სხვა პირუტყვი. აი მოკლეთ ვალიკო მუმლაძის უძრავი და მოძრავი ავლა-დიდება. ამას გარდა თითონ მასწავლებელია და სამი სული კიდევ შემომტანი მამაკაცები ტრიალებს ამ ოჯახში.

არ ვიცი მანდეეთის პირობაზე რა შეძლების ოჯახად ჩაითვლიდით თქვენ ვალიკო მუმლაძეს, ოღონდ ერთი კი აშკარაა, რომ მისმა მამის მონათლულმა (ჯერ ნათესაობა გასინჯეთ, რა ნათესაობაა) აგრეთვე მასწავლებელ ვასილ ფერაძემ არ გასტეხა შირონი და ამ ჩვენს ვალიკო მუმლაძეს ერთი-მეორეზე ატაკა სიღარიბის მოწმობა. „გებრალებოდეთ, გეწყალებოდეთ, სიმშილით, სიცივით კვდება საწყალი ვალიკო".

ვალიკოც ადგა და ამ ყალბი საბუთებით ჩადგა საფონდო მიწაში. სამაგიეროთ გლეხი ალექსანდრე მუმლაძე, რომელიც უკვე ესახლა ამ ადგილზე, კარ-მიდამოიახათ აჰყარა და ღობის გადაღმა გადადენა.

სასამართლოც ვალიკოს მხარეზე დადგა, მილიციაც და აბა, თემი რაღა სახიქმელია, ნათლის შვილი ხომ აქ იყო? მერე ალბათ იკითხავთ, რისი პატრონია ალექსანდრე მუმლაძე? აი მთელი მისი „სიმდიდრეც": 150 კვადრ. საჟ. ვენახი, ძველი, ფოლოროებიანი ცხემლის სახლი, ერთი უღელი ხარები და სხვა არაფერი, ამასთან ერთად ხუთ სულ ოჯახში მხოლოდ ერთია მომუშავე.

ამნაირად „ღარიბმა და საწყალმა" ვალიკო მუმლაძემ გამოირეკა მთელი ბარგი-ბარხანით საფონდო მიწიდან „მდიდარი" ალექსანდრე მუმლაძე. ასე ფიქრობენ და ასე სჯერათ დღეს ბევრს, ვისაც ამ დავის შესახებ გაუგონია, ხოლო ვინც არ იცნობს საქმის ნამდვილ შინაარსს. ეს ბოროტება დაადასტურა მიწის მზომელმა მოსეშვილმაც, რომელმაც მოწმეებათ დაისწრო ცრუპარტიულები: ვალიკოს „ნათელ-მირონი" —ვასილ ფერაძე, მინაგო ჩაჩანიძე და დათუა გოგალაძე. ეს პირები მიწის მზომლის ოქმში იხსენიებიან, როგორც კომუნისტები და ასე ადასტურებენ ვალიკო მუმლაძის სიღარიბეს, ნამდვილათ კი არც ერთი მათგანი პარტიის წევრი არ არის.

რა ეწოდება ყოველივე ამას? სანამ უნდა იპარპაშონ ნათლიაშვილ მასწავლებლებმა მანდეეთში? სანამ უნდა ასაღონ თავი კომუნისტებათ ყველა შემთხვევითმა და უპასუხისმგებლო პირებმა?

ბაშელელი.

შემთხვევა სათიბში

(ს. ჟებოტა, თბილ. მ.)

ივანე დოლიაშვილი ს. ჟებოტაში შეძლებულ გლეხათ ითვლება. მის ავლადიდებას, აბა ერთი კაცი როგორ გასწვდება. მით უფრო უჭირს ივანეს მკათათვეში, როცა ახალი მოსავალია ასაკრეფი. აქ პურიც შემოსატანია, თივაც მოსაცელია, შემდეგ დასამზადებელი და ყოველდღიური ოჯახური საქმეებიც თვალყურსადევნებელი.

რა უნდა ქნას 50 წლის ივანემ? სხვა გზა არ არის, მეზობლები უნდა მოიშველიოს. და ის ასედაც იქცევა. მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ კულაკი ივანე მეზობლებში ყოველთვის ქალებს არჩევს და მხოლოდ მათ ქირაობს მუშათ. წელსაც ასე იყო. ივანეს, სხვებთან ერთად, ქირათ ეხმარებოდა უღატაკესი მეზობელი გლეხის 16—17 წლის ქალი, ე. ბ-ლი.

თივა იყო ასახვეტი. ირგვლივ ხმელი ბალახის სასიამო სუნი იდგა. მუშა ქალები ვაჟაციცებით ხვეტდენ თივას. დიდ ხან იდგა ივანე დასობილი სვეტივით ერთ ადგილას და ქალებს თვალს არ აცილებდა. ბოლოს ერთი თავი ჩაიქნია, ეშმაკურად გაიღიმა ჭაღარა ულვაშებში და ასე მიმართა მომუშავეებს: „თქვენ აქ დარჩით სამუშაოთ, მე და ე., წყლიდან რომ მახლობელ მამულში თივა ავხვეტეთ, იმას შევაჭუჩებთ და ერთად დავგამოთო".

თქმა არ უნდა, კრინტი არავის დაუძრავს. ან ვის რა ეთქმოდა, რაკი „ხაზეინის" ნება ასეთი იყო. მით უფრო, ივანე ე. ბ-ლის ქალს „შვილოს ეძახდა, მისი ახლობელი მეზობელი იყო და ჭკუაში როგორ მოუვიდოდა კაცს, რომ 50 წლის მოხუცი, რაიმე სიბრიყვეს ჩაიდენდა.

ივანე და ე. ბ-ლი გაუდგნენ გზას. სანამ მივიდოდნენ, არაფერი. ხოლო მიაღწიეს თუ არა დანიშნულ ადგილს, ივანე მხეცივით ეტაკა ახალგაზრდა ქალს და გაუპატიურება მოუნდომა. ე. ბ-ლმა, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, მორთო კივილი. თან ამ თქვენ მამათწოდებულს ისეთი ლავაში გააწნა ჭაღარა წვერებში, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოაყრევინა.

შედრკა მხეცი—ადამიანი. უკან დაიხია. იფიქრა მეზობლად მომუშავე გლეხებმა არაფერი გაიგონ, თორემ ზიარებასაც ვერ მოვასწრებ, ისე ამომხდიან სულსო. საბრალო მსხვერპლს ხელი გაუშვა და ე. ბ-ლიც შურდულივით გამოიქცა თავიანთიანებისაკენ. უკან ივანე მისდევს, ეხვეწება, ემუდარება: „შვილო შენ გეთაყვანე, შენი ფეხები მაბანინე, ოღონდ ნურსად გამამხელ, თავს ნუ მომჭრი, ცოლი-შვილი... რაც გინდა მთხოვე, ყველაფრის ამსრულებელი ვარ, მუდამ შენი ყურმოჭრილი მონა ვიქნები". ქალი კი გარბოდა, სალაპარაკოდ სად ეცალა.

ცოტა ხანმაც განვლო და ივანეს „გმირობა" მთელმა სოფელმა ჰგიგო. მილიციამ ივანე დააპატიმრა. მაგრამ რა? ტყუილად არ ამბობენ ჟებოტელი ღარიბი გლეხები: „ივანეზე ძლიერი კაცი, არც კი იქნება, დაღმა მიმავალ წყალს, აღმა წაიყვანსო". მეორე დღეს ივანე გაანთავისუფლეს და დღეს ის არხეინად დასეირნობს. არავინ იცის, გადასცეს თუ არა სასამართლოს ეს საქმე. როგორც არ უნდა იყოს, ივანე ეხლა ისე მიაფუჩეჩებს ამ საქმეს, რომ ვინ იცის, თვით ე. ბ-ლის ქალი დააჭერინოს ცილის წამებისათვის. ივანეს, ხომ ყველაფერი შეუძლია".

ქარაზანი.

საერთო ძალით

(ს. ხადარაშენი, ახურეთის თ.)

მკის დროს ჩვენი გლეხები დიდ განსაცდელში არიან. მათ სჭირდებათ ქირა-კაცი, მაგრამ უფულობის გამო ვერ შოულობენ.

თბილისიდან შვებულებით ჩამოსულმა ამხ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით აქ მოაწყვეს 30 კაცისაგან შემდგარი შრომის არტელი. ამ არტელის შექმნაში არა ნაკლები ენერგია შეუძლვის პარტ. ამხ. ბაიდარაშვილსაც არტელი რიგ-რიგობით მკის მეზობელ გლეხთა ყანებს. უპირველეს ყოვლისა კი ღარიბების დაქვრივ-ობლებისას. მე მომიხდა პირადად ამ არტელის მუშაობაზე დასწრება. ყველა ცოცხლად და ყიჟინით მკის, თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებიანო. თანაც ისმის ტკბილი სიმღერა და მათი უსაზღვრო ოხუნჯობა. მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში.

კან.

წერილებიდან

კასპი (შორ. მ.)

ცნობისმოყვარე ყმაწვილები. ყველა წერილები, რომელიც კი მოდის კასპის თემში, პირველად აღმასკომში იყრის თავს. აქ კი არის 1 ჯგუფი ყმაწვილების, რომლებიც თავის მოვალეობას სთვლიან ცენზურა გაუკეთონ სხვის წერილებს. ზოგჯერ მათი თავხედობა იქამდიც მიდის, რომ წაკითხულ წერილებს პატრონს არც კი უგზავნიან. საკითხავია, რას უყურებს თემაღმასკომის თავ-რე.

წითელი მოლაშქრე.

თორჯოლა (შორ. მ.)

მუშაობას ვერ აუდის. გვაქვს აფთიაქი, მაგრამ ერთი ფარმაცევტი, რომელიც აქ მუშაობს. საქმეს ვერა აუდის. ზოგჯერ ორ დღესაც ვერ გამოაქვთ ავადმყოფების წამალი.

დაითხოვეთ მეორე ფარმაცევტი. დაგვპირდნენ და დღემდის არსად სჩანს. დროა დაპირება გაგვიმართლონ.

ახალციხე

როდის უნდა მოისპოს? 27 ივლისს, დღის 3 საათზე, ახალციხიდან ბორჯომში გავიდა მგზავრებით სავსე მანქანა. აწყურიდან სამი ვერსის მანძილზე შოფერის სიმთვრალის გამო მანქანა კინაღამ მტკვარში გადიჩეხა. არ გასულა რამოდენიმე წუთი, რომ მანქანა კლდეს დაეჯახა, დაიმტვრა და ზოგიერთი მგზავრი დაშავდა. როდის უნდა მოეღოს ბოლო შოფერების ლოთობას?

იგი.

ს. ქვემო გოსტიბი (გორ. მ.)

რა გვაკლია. არ გვაქვს სახეირო გზები, კერძო ვაჭრები გათამამდნენ და თავისუფლად დაპარპაშობენ სოფლებში, მთელ თემში ერთი სკოლაც არაა. ამიტომ ჩვენი წადილია: გზა, სკოლა და კოოპერატივი. თუ მაზრა დაგვეხმარება, ადგილობრივი გლეხები არავითარ ძალღონეს არ დავიშურებთ.

ვ. წიფლაური.

სოფლის ფოსტა

გ. ბაქრაძეს. (ჭიათურა). წერილი გადაუგზავნეთ საქართველოს ფინსახკომს.

აპ. ხიჯაკაძეს (ზესტაფონი). „აღარ უნდა განმეორდეს". წერილის ავტორი თქვენ არა ხართ.

წითელ ჯარში

მუშსოფლკორები და სამხედრო პროპაგანდა

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მესამე საკავშირო ყრილობამ თავის რეზოლიუციებში გარკვევით აღნიშნა ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს მუშა და გლეხ კორესპონდენტების საქმიანობას სამხედრო პროპაგანდის დარგში.

ჩვენი რესპუბლიკების სამხედრო ძალთა განმტკიცება და დღევანდელი მომენტი აყენებს მუშა და გლეხ კორესპონდენტ. სერიოზულად მოეპყრან თავის მოვალეობას, ნათლად ვაერკვიონ აღნიშნულ ყრილობის რეზოლიუციებში.

სამხედრო პროპაგანდის ამოცანები მაშინ იქნება შესრულებული, თუ მასში ფართო მონაწილეობას მიიღებენ ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მუშა და გლეხკორესპონდენტებს შეუძლიათ გაუწიონ დიდი დახმარება სამხედრო პროპაგანდის საქმეს მოსახლეობაში. ამისათვის საჭიროა, რომ მათ მიერ შუქდებოდეს პრესაში სამხედრო პროპაგანდის მსვლელობა და მდგომარეობა სხვადასხვა დაწესებულებებში, ქარხნებში და სოფლად. აღნიშნული უნდა იქნეს ამ საქმის ღირსებები და ნაკლი. ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო კუთხეების და სამხედრო ცოდნათა წრეების მუშაობას და საქმიანობას.

ყველა ეს უნდა შუქდებოდეს როგორც ბეჭვდით ორგანოებში, აგრეთვე კედლის გაზეთებში. ყოველ კედლის გაზეთში უნდა გამოიყოს სამხედრო განყოფილება. სოფლად და სხვადასხვა დაწესებულებებში მრავლად არიან სათადარიგო მეთაურნი, ცვლებადი წითელარმიელნი და წვევამდელნი, რომელნიც ჩაბმული უნდა იყვნენ კედლის გაზეთის სამხედრო განყოფილების მუშაობაში. ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებს აქვთ გაბმული კავშირი მრავალ დაწესებულებებთან და წარმოებებთან, ეს გარემოება უნდა გამოყენებულ ჯარის ნაწილების და ამ ორგანიზაციების კორესპონდენტთა დასაახლოვებლად და კავშირის გასაბმელად. ამ გზებით მივაღწევთ იმას, რომ კედლის გაზეთში გვექნება სისტემატიურად სამხედრო განყოფილება, სანამ გაშუქდება სამხედრო პროპაგანდის მსვლელობა და ჯარის ცხოვრება.

მუშსოფლკორების მოვალეობაა გაშუქება იმ კამპანიების, რომელიც ტარდება სოფლად და ქალაქად ჯარის ცხოვრებასთან დაკავშირებით. ამჟამად მიმდინარეობს მზადება საერთო ტერშეკრებისათვის და 1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის. მუშსოფლკორები უნდა გაეცნონ ამ კამპანიების ამოცანებს და ხელი შეუწყონ მათ წარმატებით ჩატარებას. ამისათვის დროგამოშვებით მოწვეულ უნდა იქნეს მუშსოფლკორების კრებები, სადაც მათ გააცნობენ კამპანიების მიზნებსა და ამოცანებს და სადაც მათ მიეცემათ კონკრეტული დავალებები, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება.

რათა მუშსოფლკორებმა პირნათლად შეასრულონ ყველა ზემო ნათქვამი, საჭიროა მათი მჭიდრო დაკავშირება წითელ ყაზარმასთან და სამხკორთა ორგანიზაციებთან. ყოველ წლივ წითელ ყაზარმაში მოდის მუშსოფლკორების დიდი რიცხვი სამხედრო ბეგარის მოსახდელათ. ამიტომ ეხლავე უნდა სწარმოებდეს მუშსოფლკორების გაცნობა წითელი არმიის მუშაობასთან და მის თავისებურებასთან. უნდა შემოღებულ იქნეს გაერთიანებული კრებები, კედლის გაზეთების გამოფენა. საინსტრუქციო მოხსენებები მუშსოფლკორთა კრებებზე სამხედრო კამპანიების ჩატარების ირგვლივ, როგორც არის: გაწვევა, მანევრები, ტერშეკრებები, სამხედრო სკოლებში მიღება და სხვა. სასურველ შედეგს მოგვიტანს აგრეთვე მუშსოფლკორების ჩაბმა სამხედრო კუთხეების და სამხედრო ცოდნათა წრეების მუშაობაში.

ე. ხ.

საერთო შეკრებისათვის

მე-4-ე ქართულ მსროლელთა ლეგიონის საშუალო და უფროს მეთაურთა და 1900, 1901 და 1902 წ. წ. დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის საყურადღებოთ

ამხანაგებო!

ამა წლის 1-ლ სექტემბრისთვის ლეგიონის შტაბთან, ქ. გორში, დანიშნულია ზემოაღნიშნულ წლებში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის ერთთვიანი (1 სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე) საერთო შეკრება.

ამ რიგათ, ამხანაგებო, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ თქვენ პირნათლად მოიხადოთ თქვენი ვალი მშრომელი კლასის წინაშე, რისთვისაც აღნიშნულ რიცხვისათვის ყველა, როგორც ერთი, უნდა გამოცხადდეთ თავთავიანთ ასეულების წერტებზე, საიდანაც გამოემგზავრებით საერთო შეკრების ადგილას.

შეკრების მთლიანობისათვის აუცილებელია აღნიშნულ წლებში დაბადებულთა მთელი ასი პროცენტით გამოცხადება; არავითარ დაგვიანებას ან არიდებას ალაგი არ უნდა ჰქონდეს, ამისათვის აუცილებელია იქონიოთ გახშირებული კავშირი ასეულის წერტებზედ მყოფ უფროსშემადგენლობასთან და თქვენ თემრწმუნებულებთან და დანიშნულ დროს მათი ხელმძღვანელობით გამოემგზავროთ წითელ ყაზარმისაკენ.

გამოცხადების დრო და ალაგი შემდეგია:

ა) საშუალო და უფროსი ცვალებადი უფროსშემადგენლობა ცხადდება 10 აგვისტოს დილის 7 საათზე ლეგიონის შტაბში ქ. გორში.

ბ) ადმეტმედშემადგენლობა და 1900, 1901 და 1902 წ. წ. დაბადებული პარტამხანაგები 28 აგვისტოს დილის 7 საათზე ლეგიონის შტაბში ქ. გორში.

გ) დანარჩენი ცვალებადი შემადგენლობა, აღნიშნულ წლებში დაბადებულნი, ცხადდებიან თავთავიანთ ასეულის წერტებზე ქვემოთ აღნიშნულ რიცხვებში:

ახალქალაქში	28	აგვისტოს	დილით
ახალციხე	28	„	„
ზესტაფონი	29	„	„
ჭიათურა	29	„	„
ხაშური	30	„	„
ცხინვალი	30	„	„
გორი	31	„	„

ყველა ის, ვინც თავის დროზედ ან სულ არ გამოცხადდება, მიეცემა პასუხისგებაში, როგორც დეზერტირი.

შენიშვნა: ახალციხის და ახალქალაქის რაიონების ცვალებადი პარტშემადგენლობა ცხადდება თავიანთ ასეულების წერტებზე 25 აგვისტოს და რჩებიან იქ ასეულის მთელი შემადგენლობის გამომგზავრებამდე. ლეგბატარეაზე მიწერილი ცვალებადელები, როგორც მეთაურთა შემადგენლობა ისევე აღნიშნულ წლებში დაბადებული წ-არმ. საერთო შეკრებიდან ამ ჟამათ თავისუფალია.

მე-4-ე ქართ. მსრ. ლეგმეთაური და სამხკომი
ბელოვი.
შტაბის უფროსი ბასილია.

მელიორაცია

მელიორაციის 5 წლიანი გეგმა

ა.-კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა და თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ამიერ-კავკასიის მელიორაციის ხუთი წლიანი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით 1926—1933 წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკებში შესრულებული უნდა იქნეს მთელი რიგი კაპიტალური სამელიორაციო მუშაობისა. სახელდობრ გეგმით გათვალისწინებულია ჩატარდეს შემდეგი ძირითადი სამელიორაციო მუშაობა:

საქართველოში—ამოშრობილი უნდა იქნეს ფოთის რაიონში მდებარე ყველა ჭაობები,—მორწყული ალაზნის და სამგორის ველები, ყარაიაზის და ბანძა-აბაშის რაიონები და სხვა.

აზერბეიჯანში—მორწყული უნდა იქნეს მდ. მტკვრის და არაქსის მიდამოები, მუღანლის ველი; გაყვანილი—ხრამის არხი; ამოშრობილი ლიაკი-უჯარის ჭაობები და სხვა.

სომხეთში—გეგმით განზრახულია დიდი და პატარა სარდარაბადის მიდამოების მორწყვა, ხანგობარის ჭაობების ამოშრობა, მდ. ზანგზე შლიუზების მოწყობა და სხვა.

ყველა სამელიორაციო სამუშაოებისათვის ხუთი წლის განმავლობაში საჭიროა საქართველოში 23.850.000 მან., სომხეთში—15.800.000 მან., და აზერბეიჯანში—32.645.000. გარდა ამისა ამიერ-კავკასიის ბიუჯეტით სამეურნეო და ადმინისტრატიულ ხარჯების დასაფარავად და აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევების საწარმოებლად უნდა იქნეს გადადებული 6.205.000 მანეთი.

ამ რიგათ მთელი სამელიორაციო გეგმის განხორციელებისათვის საჭიროა 78.500.000 მანეთის დახარჯვა.

შინამრეწველობა

შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო წარმოადგენს ცენტრს, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობს შინამრეწველობის ქვედა კოოპერატ. ორგანიზაციებს.

საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შინამრეწველთა შრომის რაციონალიზაცია, მათ შორის ტეხნიკურ ცოდნათა გავრცელება, მათთვის საწარმოო იარაღების და ნედლეულის მიწოდება და მათ მიერ დამზადებული საქონლისათვის ბაზრის გამოძებნა. გარდა ამისა საორგან. ბიუროს დანიშნულებას შეადგენს შინამრეწველობა ჩაბას სოფლის ზედმეტი მუშა-ხელი და ხელოსნები.

საორგან. ბიურომ უკვე მოაწყო მთელ რიგ კუთხეებში შინამრეწველთა არტელები. პროვინციაში აღრიცხულია მაუდის საწარმოო 60 დაზგა, რომელიც თვიურად ამზადებს 6.300 მეტრ მაუდს.

ახლო-მომავლისათვის მაუდის წარმოებაში განზრახულია კიდევ 5 არტელის მოწყობა 50 დაზგით. ახალი არტელები გააერთიანებენ 100 შინამრეწველ და ყოველთვიურად დაამზადებენ 4.500 მეტრს მაუდს.

აბრეშუმის წარმოებაში საორგან. ბიუროსში გაერთიანებულია 75 შინამრეწველი 30 დაზგით, რომელთა ყოველთვიური პროდუქცია უდრის—3.000 მეტრს აბრეშუმის ქსოვილს.

კერამიკულ წარმოების დარგში მცხეთაში მუშაობს ერთი არტელი, რომელიც ყოველთვიურად ამზადებს 3.000 მანეთის ჭურჭელს.

თბილისში ორგბიუროს ჰყავს 12 არტელი, რომელნიც ასე თუ ისე დამოუკიდებელ მუშაობას აწარმოებენ ტყავის დამუშავების, ჩაის დამზადების და ჩაწყობის, საპაპიროსო წიგნაკების, ჩულქების დამზადების დარგში და სხვა.

გამოქნილი აფერისტები და „ამანათები" თბილისიდან *)

ამ დღეებში მრავალმა ტრესტმა და სხვა საბჭოთა, უმთავრესად საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებმა მიიღეს თბილისიდან ამანათზე დართული მისამართები 15 მანეთის ფასდადებით.

თან დართულ მისამართში იგი ამანათის წონად აღნიშნულია 10 გირვანქა. გამოგზავნილია—„სამეცნიერო წიგნების გამომცემლობა" საქართველოში; ამასთან მისამართი ამ გამომცემლობის რატომღაც აღნიშნული არ არის.

ამანათი აღმოჩნდა უბრალო კონვერტი, სადაც იდვა ქვემო-აღნიშნული ქვითარი: „საქართველოს სამეცნიერო წიგნების გამოცემა". კ. კაპანელი „ქართული ლიტერატურის ისტორია" ქვითარი №. ხელისმომწერიდან მიღებულია 15 მანეთი ორი ეგზემპლიარის საფასურათ. სამეცნიერო წიგნების გამოცემა. ბეჭედი".

ქვითარის მეორე გვერდზე დაბეჭდილია ვრცელი მოწოდება, სადაც ნათქვამია: „ჩვენ შეუდექით კ. კაპანელის შრომის „ქართული ლიტერატურის ისტორია საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით"—გამოცემას. ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოთა კავშირის ყოველი შეგნებული მოქალაქე ხელს შეუწყობს ამ გამოცემას და სრულებით დარწმუნებული ვართ არც თქვენ იტყვით უარს ზემოხსენებული წიგნის გამოწერაზე. ეს რწმენა გვაბედინებს ჩავთვალოთ თქვენ ჩვენი ხელის მომწერად".

ზემოხსენებული გამომცემლობის (თუ კი ასეთი არსებობს) ანკესზე წამოეგო არა ერთი და ორი დაწესებულება.

უეჭველია, რომ ამ აფიორაში მონაწილეობს ვიღაც, რომელიც დაახლოებულია თბილისის ფოსტამტთან.

თანდართულ ბლანკზე არ არის გამომგზავნელის მისამართი. ბლანკზე აღნიშნულია ამანათის წონა 10 გირვანქა, ნამდვილად კი კონვერტი იწონის 20 გრამს. გაუგებარია, რატომ უნდა ჩაითვალოს საფოსტო კონვერტის გაგზავნა საფოსტო ამანათად, ან რათ არ გადაახდევინეს თბილისში გასაგზავნი საფოსტო ხარჯები?

მოსკოვის ფოსტამტებზე გაცემულ იქნა განკარგულება ადრესატებისათვის ამანათების არმიცემის შესახებ. ამავე დროს ეცნობა თბილისს—რათა შეაჩერონ ფულის გაცემა—გამგზავნელ აფერისტებზე.

მოსკოვის ფოსტამტის ცნობით—მიღებული იქნება ზომები დაზარალებულთათვის ფულის დასაბრუნებლად.

საკვირველად გულუბრყვილონი აღმოჩნდენ ამ საქმეში „ამანათები"-ს მიმღები დაწესებულებები! საკმაო იყო მოსულიყო ცნობა ვიღაცას მიერ რაღაცას გამოგზავნის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ფოსტამტში აგენტები, რომელნიც დიდი ხალისით უთვლიდენ გაქნილ აფერისტებს 15 მანეთს და 57 კაპეიკს თვითეული.

---

*) ეს მცირე შენიშვნა მოგვყავს „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა"-ს 178 ნომრიდან.

დახმარება ინგლისელ მემაღაროელებს

51.000 მანეთი საქართველოს მუშებისგან

4 აგვისტოსათვის საქ. პროფსაბჭოში ინგლისის გაფიცულ მუშათა დახმარების ფონდში შემოსული იყო—1.909 მან. 72 კაპ. 4 აგვისტოდან კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირიდან შემოვიდა—72 მან. 51 კაპ., მედსანშრომის მუშაკთა კავშირიდან—198 მან. 45 კაპ., რაჭის სამაზრო პროფბიუროდან—55 მან. 41 კაპ., საქ. რემედასის ცეკადან—264 მან. 35 კაპ., ქუთაისის სამაზრო პროფბიუროდან—400 მან., შრომის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისგან—48 მან. 93 კაპ., სახალხო კვების მუშაკთა კავშირიდან—135 მან. 43 კაპ., გემოკვების კავშირიდან—163 მან. 62 კაპ., „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქციიდან—20 მან. ფონდში დარჩენილ და 4 აგვისტოს შემდეგ შემოსულ შემოწირულების ჯამი უდრის სულ 3.268 მან. 42 კაპ.

წინად შემოვიდა და გადაიგზავნა 47.245 მანეთი. სულ უკანასკნელ დრომდე შეგროვილია 50.513 მან. 42 კაპ.

სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭომ ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად გადადო 600 მან.

აბაშის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის გამოკვლევა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა აბაშის ჰიდრო ელექტრო-სადგურის ასაშენებლათ წარმოებული მუშაობის გამოკვლევა. გამოირკვა, რომ სადგურის აშენება დაწყებული იყო 1923 წელს სენაკის სამაზრო აღმასკომის ინიციატივით. წინასწარი გეგმა შედგენილი არ ყოფილა. ამავე დროს აღმასკომს არ გააჩნდა სადგურის ასაგებათ საჭირო თანხა. მიუხედავათ ამისა სადგურის აგება, დაინტერესებულ ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო და ამჟამათ თავდება.

სადგურის სიმძლავრე ნავარაუდევია 2.400. ცხ. ძ. ელექტრო-ენერგიის მთავარი მომხმარებელი იქნება ქ. ფოთი, სადაც არსებული ელექტრო-სადგური ვერ აკმაყოფილებს ქალაქის და ნავთსადგურის მოთხოვნილებებს. საბოლოოთ, გამორკვეულია, რომ სადგურის აგება დაჯდება—914.000 მანეთი.

როგორც გამოკვლევიდან სჩანს სადგურის აგების პროცესში ადგილი ჰქონია მთელ რიგ დეფექტებს. პირველ ყოვლისა, როგორც იყო აღნიშნული, არ იყო შემუშავებული სათანადო გეგმა. ამავე დროს მუშაობას აფერხებდა ის გარემოება, რომ სადგურის აგებას ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ორი პირი—სამუშაოთა უფროსი და სააღმშენებლო კომიტეტის რწმუნებული. ადგილი ჰქონდა მათი ფუნქციების არევას.

ფინანსიური ანგარიშიანობა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. სრულებით არ სწარმოებდა მატერიალური და ტეხნიკური ანგარიშიანობა. არ იყო კასა. ფულის გაცემა ხშირათ ხდებოდა სამუშაოთა ხელმძღვანელების მიერ გაცემულ ბარათებით, ან და ისეთ დოკუმენტებით, რომლებზედაც არავითარი წარწერა არ იყო.

სააღმშენებლო კომიტეტს მნიშვნელოვანი თანხა დაუხარჯავს სავაჭრო ოპერაციებზე: მოუწყვია წულების სახელოსნო, გაუხსნია დუქანი და სხვა. საერთოდ ფულის ხარჯვა სწარმოებდა ყოველივე კონტროლს გარეშე.

აღნიშნულ დეფექტების თავიდან ასაცილებლათ, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუხგალტერიის მოწესრიგებას. სააღმშენებლო კომიტეტს მიეცა წინადადება მოახდინოს ისეთ სავაჭრო წარმოებათა ლიკვიდაცია, რომლებიც უშუალოთ არ ემსახურებიან სამუშაოებში ჩაბმულ მუშებს. მიღებულია გადაწყვეტილება მოეწყოს აბაშაში ჰიდრო-სადგურისათვის ფინანსიური კონტროლი.

შტატების დამტკიცება

(საქ. სახკომსაბჭოში)

ქ. თბილისის და თბილისის მაზრის სასანიტარო და სამხსამართლო ექიმთა შტატი დამტკიცებულ იქნა 20 კაცის რაოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური „გლეხის სახლი"-ს 1926/27 საბიუჯეტო წლის შტატი დამტკიცდა 25 კ. რაოდენობით.

ჯანსახკომის ახალი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო მარაგზე გადაყვანილ დაწესებულებათა შტატი დამტკიცებულ იქნა შემდეგის რაოდენობით: ა) სამალარიო სადგურის 63 კაცის რაოდენობით, ბ) ჭიათურის ტუბ. დისპანსერის შტატი 21, გ) ქუთაისის გამსახლის სავადმყოფოს 25, დ) ქუთაისის პასტერის სადგურის 7, ე) გორის გამსახლის სავადმყოფოს 3, ვ) ტროპიკულ ინსტიტუტის 26 და ზ) ნევროლოგიურ ინსტიტუტის სამოსამართლო ფსიქიატრიულ განყ. 5 კაცის რაოდენობით.

შინაგან საქმეთა სახკომის დაწესებულებათა შტატი დამტკიცებულ იქნა შემდეგის რაოდენობით: ა) ახალციხის საპატიმრო სახლის 10 კაცის რაოდენობით, ბ) გორის საპატიმრო სახლის 13, გ) დუშეთის საპატიმრო სახლის 10, დ) სიღნაღის 13, ე) ოზურგეთის 10, ვ) ზუგდიდის 10, ზ) სენაკის 10, თ) ცაგერის 10, ი) ბორჩალოს 10, კ) თელავის 13, ლ) ზესტაფონის 10, მ) ახალქალაქის 10, ნ) რაჭის 10 და ო) ფოთის 10 კაცის რაოდენობით.

— **აფხაზეთის რესპუბლიკის ტროპიკულ სადგურის** 1926—27 საბიუჯეტო წლის შტატი დამტკიცდა 15 კაცის რაოდენობით.

— **აჭარისტანის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის** აგრონომიული განყოფილების დამატებითი შტატი დამტკიცებულ იქნა 11 კაცის რაოდენობით და ქართული სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმის შტატი 11 კაცის რაოდენობით.

— **საქ. გზატკეცილების სამმართველოს** 1926—27 საბიუჯეტო წლის შტატები დამტკიცებულ იქნა 535 კაცის რაოდენობით, მათ შორის —43 კაცი ცენტრალურ სამმართველოსათვის, 70 კაცი ათი დისტანციისათვის, ხოლო დანარჩენი 422 კაცი გზის ხაზის საზომი პუნქტებისათვის.

— **თბილისის ბოტანიკური ბაღის ზუგდიდის** სუბტროპიკული განყოფილების შტატი დამტკიცდა 4 კაცის რაოდენობით, სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიურ განყ. შტატი დამტკიცდა 3 კაცის რაოდენობით.

— **საქართველოს პარტსკოლების 1926—27 საბიუჯეტო წლის შტატი** დამტკიცებულ იქნა 177 კაცის რაოდენობით. აფხაზეთის პარტსკოლის 9 კ. რაოდენობით და სამხრეთ-ოსეთის 9 კ. რაოდენობით.

სახ. კომისართა საბჭოში

შინა-მრეწველობის საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან არსებულ შინა-მრეწველობის საბჭოს შემადგენლობაში მ.-გ. ინსპექციის წარმომადგენლის ნაცვლად დაინიშნა ქ. თბილისის ბანკის წარმომადგენელი.

სახელოვნო მთავარ საბჭოს რეორგანიზაცია

სახკომსაბჭომ დაადგინა: სახელოვნო მთავარ საბჭოს ნაცვლად განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდეს „ხელოვნების განყოფილება".

ბილეთების ხელზე გაყიდვისა და გავრცელების აკრძალვა

წინადადება მიეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, საჯარო სანახაობის ბილეთების ხელზე გაყიდვისა და გავრცელების აკრძალვის მიზნით გამოსცეს სათანადო სავალდებულო დადგენილება.

აჭარისტანის 1925—26 წ. ადგილობრივი ბიუჯეტი

აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკის (მაზრებისა და ქ. ბათომის) მიმდინარე 1925—26 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით:

შემოსავალი . . . 1.672.309 მან.
გასავალი . . . . 1.672.309 მან.

შრომის კანონმდებლობის კრებული ქართულ ენაზე

წინადადება მიეცა ფინანსთა და შრომის სახ. კომისარიატებს—შრომის კანონმდებლობის კრებულის ქართულ ენაზე გამოსაცემად საჭირო თანხა, 8.725 მან. რაოდენობით, გამონახონ შრომის სახ. კომისარიატის თანხებიდან.

შრომის სახ. კომისარიატის მომავალი 1926—27 წლის ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო მუხლი კანონმდებლობის გამოცემის შესახებ.

სარენტო გადასახადისაგან განთავისუფლება

აღიძრა სათანადო შუამდგომლობა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა საქ. მიწსახკომის ცხენთაშენის განყოფილება განთავისუფლებულ იქნეს მასზე შეწერილ 747 მ. 50 კაპ. სარენტო გადასახადისაგან.

საწოლთა რიცხვი სამკურნალო დაწესებულებებში

საქ. ჯანსახკომის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის საწოლთა რიცხვი 1926—27 საბიუჯეტო წლიდან გადიდებულ იქნება 180 საწოლით, ხოლო საქართველოს ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის საწოლთა რიცხვი 30 საწოლით.

ახალი მარკები

ფოსტატელეგრაფის სახალხო კომისარიატმა გამოუშვა ახალი 7 კაპეიკიანი მარკები, რომლებზედაც გამოხატულია მოსკოვში დადგმული „თავისუფლების ძეგლი" და 14 კაპიკიანი მარკები, რომელზედაც გამოხატულია იგივე ძეგლი ჩარჩოში.

ეს მარკები დანიშნულია საერთაშორისო საფოსტო წერილების, ბარათების ფასების გადასახდელად. ახალი მარკების გამოლევამდე გამორიცხულია ამავე ღირებულების ძველი მარკების ხმარება. ახალი მარკები გამოშვებულია ესპერანტისტთა მე-6 პროლეტარული კონგრესის პატივსაცემად.

დამხმარე ბიურო

სავაჭრო და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა კავშირმა მოაწყო ე. წ. დამხმარე ბიურო, რომელმაც მუშაობა დაიწყო მიმდინარე თვის პირველ რიცხვიდან.

ბიუროს აქვს შემდეგი განყოფილებები: 1) სატრანსპორტო-საექსპედიციო (საქონლის მიღება, გამოყიდვა და გაგზავნა, გადატვირთვა ქალაქში), 2) საპრეტენზიო (პრეტენზიები რკინისგზის ოპერაციების და საზღვაო ტრანსპორტის გარშემო), 3) სააქციზო (სარეწაო მოწმობათა გამოყიდვა და რეგისტრაცია, სააქციზო გადასახადების შეტანა, შუამდგომლობა გადასახადების გაწერის ირგვლივ და სხვ.), 4) საგადასახადო (გადასახადების და საურავების აკრეფა, შუამდგომლობა გადასახადების შემცირების და მოხსნის შესახებ), 5) საპატენტო (პატენტების, სარეწაო მოწმობების მიღება, ვაჭრობაზე, ვაჭრობის ხანგრძლივობის გადიდებაზე ნებართვის მიღება და სხვა), 6) სადარაბაო განყოფილება (ორდერების მიღება დარაბაზე, საიჯარო გადასახადის შეტანა და სხვა).

ბიურო მოთავსებულია შუაბაზრის ქუჩაზე (№ 68).

შავი ზღვის ნაპირების გამოკვლევა

საბჭოთა რუსეთის ჰიდროლოგიური ინსტიტუტის თაოსნობით ამჟამად სწარმოებს შავი ზღვის ნაპირების ხაზის გადაღება ბათომიდან. 12 ვერსის მანძილზე და მდ. ჭოროხის სიღრმის გაზომვა. რუსეთის ჰიდროლოგიური ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ დღემდე არ წარმოებულა მუშაობა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების გასამაგრებლად—ეს მაშინ, როცა ნაპირები ინგრევა არა მარტო ბათომთან, არამედ შავი ზღვის ნაპირების სხვა რაიონებშიდაც.

ა.-კ. სანავთსადგურო განყოფილებამ საჭიროდ სცნო ამ გამოკვლევების წარმოება შავი ზღვის სანაპიროების აღმოსავლეთ ნაწილის შესწავლის მიზნით.

რადიო სადგურები

მომავალი საოპერაციო წლის (1926—27 წლის) დამდეგიდან ამუშავებული იქნება—თბილისის რადიო-კვანძი და ბაქოს რადიო-ტელეფონის-ტელეგრაფის სადგური (ძალღონება 20 კილოვატის ანტენაზე), თბილისის რადიო-კვანძის გადამცემის სადგურის მუშაობა განისაზღვრება 2.000 საათ. წელიწადში. 1926—27 წლის მეორე ნახევარში გადამცემი სადგური იმუშავებს ზაჰესის ენერგიით.

ბაქოს მიმღები რადიო-სადგურის მუშაობა განისაზღვრება 1500 საათით წელიწადში. გარდა ამისა, ამ.-კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გააგრძელებენ მუშაობას მარტო მიმღები სადგურები: თბილისში, ბაქოში, ბათომში, ერევანში, სოხუმში, ცხინვალში, ახალციხეში, სტეპანაკერტში, ნახჩევანში და გერიუსში.

1926—27 წლის დასაწყისში ამიერ-კავკასიაში იმუშავებს 3 რადიო-მოამბე (რადიო-მოყვარულთა სატელეფონო სადგურები): თბილისში 4 კილოვატიანი, ბაქოსა და ერევანში.

მუშათა ცხოვრება

სენაკის მუშათა კლუბი

სენაკში ერთი ცენტრალური მუშათა კლუბია რომელიც მუშაობს გასული წლის მეორე ნახევრიდან. მისი მუშაობა გავყოთ ორ პერიოდად

პირველ პერიოდში კლუბის გამგედ ითვლებოდა ი. კორტი და მის მოადგილედ ქ. ჭიჭინაძე.

ხოლო მეორე პერიოდში კლუბის გამგედ არის ბ. უჩანიშვილი და მის მოადგილედ ბ. ძებზუაძე.

როგორ იყო ფინანსიური მდგომარეობა ც. მუშათა კლუბისა კლუბის გახსნიდან 7 თებერვლამდი ე. ი. მთელი ხუთი თვის განმავლობაში? მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომა იყო და კლუბის მუშაობაც ცოცხალი,—ამ ხნის განმავლობაში შემოსულია 1.771 მან. 50 კაპ. და გასულია 1761 « კაპ. ე. ი. კლუბის სალაროში გადაბარების დროს გამგის მოადგილე ამხ. ქ. ჭიჭინაძისგან ფულად მივიღებთ მ. 60 კაპ.

შემოსავალში აგრეთვე ჩაუწერიათ 132 მ. 79 კ. ნისიად წაღებული ბილეთების და 30 მ. 50 კაპ. ის ფული, რომელიც დაკლებია სალაროში ბილეთების გამყიდველს.

ეს ფული დღემდის აუღებელი რჩება, რადგანაც მას არავინ იხდის.

გარდა ამისა, ახალ გამგეობას ჩაბარდა ყველა ვალები, რაც მართებდა კლუბს 1926 წლის 7 თებერვლამდის (ე. ი. სულ ვალი 879 მ. 30 კაპ. რაოდენობით).

ამ ვალებით დატვირთული ახალი გამგეობა შეუდგა მუშაობას.

თებერვლის თვეში კინო-მუშაობა ძლიერ შესუსტებული იყო უამინდობის გამო და ამიტომ ყველა სურათებმა საგრძნობი თანხა წაგვაგებინეს. ხოლო მარტის თვეში ელექტრო სინათლე ჩაქრა და ამ თვეში კინო-მუშაობა შეწყდა.

აპრილის და შემდეგ თვეებში წარმოდგენები სულ ავებდენ. არ ყოფილა არც ერთი წარმოდგენა, რომელსაც კლუბისათვის შემოსავალი მიეცეს. მიუხედავად ამისა, 1926 წლის 20 ივლისამდის კლუბის შემოსავალი ავიდა 3.254 მ. 85 კაპ.

ხოლო გასავალი უდრიდა იმდენივეს. ასე რომ კლუბს ამ დღისათვის თანხა არ დარჩენია.

რისთვის დაიხარჯა 3.254 მ. 85 კ.?

როგორც ვსთქვი, კლუბს გადმოყვა 879 მ. 30 კ. ძველი ვალი. ამ ვალიდან გადახდილ იქნა 554 მან. ხოლო საზაფხულო კლუბის მოსაწყობად ნაღდად გახარჯულ იქნა 54 მ. სულ ბიუჯეტის გარეშე გახარჯულ იქნა 608 მანეთი

მაგრამ კლუბს არ ქონდა იმდენი შემოსავალი რომ თავის თავი გაესწორებინა და 608 მანეთი კიდევ ძველი ვალი გადაეხადა.

ძველი ვალის გადახდამ კი გამოიწვია ახალი დავალიანება. კლუბი კიდეც დავალიანდა ამის გამო 523 მანეთით.

რას იზამდა კლუბი, რომ არ ყოფილიყო ძველი ვალი და საზაფხულო კლუბის აშენება არ დაგვეწყო?

გაასწორებდა თუ არა თავის თავს?

ამ კითხვებზე უპასუხებენ ციფრებში:

კლუბმა გადაიხადა ძველი ვალი 554 მან. და დახარჯა საზაფხულო კლუბზე 54 მან. სულ დახარჯა 608 მან. ამან გამოიწვია კლუბის დავალიანება 523 მანეთით. ე. ი. კლუბი გაასწორებდა თავის თავს და კიდევ დარჩებოდა თავისუფალი თანხა 85 მანეთი.

რამდენი აქვს კლუბს ვალი?

ძველი ვალი კიდევ დარჩა გადაუხდელი 325 მან. ახალი ვალი მიემატა 325 მან. საზაფხულო კლუბის აშენებისთვის კი 318 მან. სულ ვალი უდრის 1.166 მან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ნისიად წაღებული ბილეთების ფულს გადაიხდიან სულ 132 მ. მაშინ წმინდა ვალი კლუბს დარჩება 1034 მან.

რამ გამოიწვია ასეთი დავალიანება?

ძველ გამგეობას არ უფიქრია იმაზე, თუ რა შემოსავალი ექნებოდა ნამდვილად და შეუქმნია ფასიანი დასი. მათ მიერ დადგმულმა წარმოდგენებმა ვერ მისცა შემოსავალი კლუბს და ის დავალიანდა დასის ჯამაგირით.

ამას მიემატა სულ ძველი ვალები კლუბის აშენების დროინდელი და შეიქმნა ასეთი დიდი თანხა, როგორც არის 879 მან.

ამავე დროს დაიწყეთ საზაფხულო კლუბის აშენება (რომლის აშენების შემდეგ სულ წვიმს) რამაც გარდა კავშირების მიერ გაღებულ თანხისა—შეიწირა კლუბისაც 318 მან. რაოდენობით.

უჩანიშვილი.

საზონი ბილეთები რად გვინდა

ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა გაზეთებში რკინისგზის სამგზავრო ბილეთების შესახებ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოაწესრიგეს ეს საკითხი. რკ. გზათა სამმართველო ზაფხულობით მუშა-მოსამსახურეთ აძლევს სასეზონო ბილეთს თავისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. მაგრამ, თუ მას მუშა-მოსამსახურე თავის დროზე ვერ მიიღებს, და მით ვერ ისარგებლებს მაშინ ამ ბილეთებს არც კი აძლევენ მათ. ადგილი აქვს მაგალითად ასეთ შემთხვევებს: ხაზიდან გამოგზავნილ მომართვებს მე-5-ე სალ. უბნის უფროსი აგზავნის ბილეთებისათვის ა. წ. 30 ივნისს № 2525-ით. მათ კი დღემდის ვერ მიუღიათ ბილეთები, რომელიც მარტო „სეზონზე" ვარგობს.

სხვა სადგურებიდან გამოგზავნილი მომართვებიც ბევრია დაუკმაყოფილებელი.

რკინისგზის სამმართველო! მოგვეცი დროზე ეს ბილეთები, სანამდის ჯერ კიდევ სეზონი არ გასულა.

მუშკორი—წყარო.

დასვენების შემდეგ, შრომაც სასიამოვნოა

6 აგვისტოს, კოლოფების ქარხნის „ინტერნაციონალი"-ს მუშები ერთი თვის შვებულების შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ კერას.

პირველ დღეს მათ უკვე ეტყობოდათ, რომ ისინი მუშაობას მოწყურებულნი დიდის ხალისით და აჩქარებული ნაბიჯებით მოეშურებოდნენ ქარხნისაკენ. ყველას გული მოუხაროდა, რათა მალე ენახათ თავთავიანთი ამხანაგები და გაეგოთ მათი ამბავი; უნდოდათ აგრეთვე ენახათ ახლად შეკეთებული ქარხანა.

ეზოში შემოსვლისთანავე ყველას სახეზე ღიმილი იხატებოდა. ეზოში მუშები და მუშა-ქალები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ რამოდენიმე ადგილას და დიდი ცნობის მოყვარეობით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, თუ როგორ გაატარა თვითეულმა შვებულების დრო. ზოგი მათგანი, მთელი თვე სახლში ჯდომით უფრო გათეთრებულიყო, და ზოგი კი ისე გახუხულიყო მზეზე, რომ ვეღარც კი იცნობდით.

ეზოში გრძელ სკამზე, მუშების ერთი ჯგუფი იჯდა და ლაპარაკობდნენ.

— გარსო, რა დრო გაატარე შვებულებაში? შენ გეტყობა, ცოტა ვერ მოგხდენია დასვენება!

— შე, კაი კაცო, დასვენება სად მქონდა! მინდოდა ახალი ხელობა შემესწავლა, ბიძაჩემს სოფ. ყანის მკასა ვშველოდი; ცოტა არ იყოს შეუჩვეველი ვიყავი და ძალიან ვიღლებოდი ხოლმე.—უპასუხა გარსომ.

— ძმაო, ყანის მომკასაც ხერხი უნდა!—მიუგო მესამემ...

ქარხნის ახალმა შეკეთებამ, მართლაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მუშებზე; ისინი ამ გარემოებამ უფრო გაამხნევა.

იმ დღეს, მუშები, დასვენებულნი, მართლაც დიდის ენერგიით და აჩქარებულად მუშაობდნენ. ქარხნიდან გამოდიოდა (მუშაობის დროს) მუშა-ქალების ტკბილი სიმღერა, (რაც ქარხანაში მიღებულია).

მუშაობის შემდეგ, მუშები კვლავ მუსაიფით გაემართნენ სახლებისაკენ.

მუშკორი—ვანო.

ჩვენ მასწავლებლებში

ივნისში მოხდა საჭიმასიერის რაიონის განათლების მუშაკთა კრება, სადაც თავმჯდომარეობდა მასწ. აქვს. კორიფაძე, მდივნობდა მასწ. ივანე ადეიშვილი. დღის წესრიგში იყო სხვადასხვა კითხვები, ხოლო სათანადო დაწესებულებათა ყურადღების ღირსია ერთი მნიშვნელოვანი კითხვაც, რომლის შესახებ დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა მასწავლებლობამ... ეს იყო გასული წლის—აგვისტო-სექტემბრის ჯამაგირების მიუღებლობა კოხნარის და ზემო-სვანეთის მასწავლებლების მიერ...

გასულ წლებში, შედარებით დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდენ მასწავლებლები ჯამაგირების სისტემატიურად დაგვიანებით (ხშირად 3—4 თვით); თუმცა ეს ნაკლი რამოდენიმედ გამოსწორდა—გურიის მასწავლებლობამ თითქმის მიიღო დავალიანება, მაგრამ კოხნარის და ზემოხეთის მასწავლებლები გამორჩეს (შეიძლება სხვაც)... ისედაც ეკონომიურად ჩამორჩენილ 4 წლედის მასწავლებლებს 11 თვეა, რაც ხელდრი ორი თვის ჯამაგირები არ მიუღიათ.

კრებამ დაადგინა: „დაევალოს ადგილკომის თ-რე რ. ყენიას დაჩქარებით მიმართოს რაიონის მასწავლებელთა კრების სახელით სამაზრო პროფკავშირს და ინსპექციას მასწავლებელთა დაუყოვნებლივ დასაკმაყოფილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება უფლებას იტოვებს, მიმართოს. სადაც ჯერ არის...

ვიმედოვნებთ, რომ განათლების სათანადო ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ასეთ გარემოებას...

ა. წიფნარელი.

ქიმიკოსთა სახელოსნოს ქარხკომის საქმიანობა

მარმარილოს განყოფილების, მექანიკური სახელოსნოს, საპნის და ზეთის სახდელი ქარხკომი აერთიანებს 235 მუშა-მოსამსახურეს.

ქარხკომში შედის შვიდი წევრი და ორი კანდიდატი. ქარხკომს სისტემატიურად უწარმოებია ენერგიული მუშაობა მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და წარმოების ასაწევად, მოუგვარებია ადმინისტრაციის და მუშების შორის ყველა მწვავე საკითხები; მოუგვარებია კულტ-მუშაობა, დაუარსებია წრეები: წითელი კუთხე, მუსიკალური, პიონერების წრე; მოუხდენია მუშებში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია; მოუწყვია მუშებისთვის სამკითხველო, რომელიც იტევს 300 მუშამდე; მოუწყვია ფიზკულტურის წრე, მოუწესრიგებია მუშების ნორმალური გადაგზავნა დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე.

სასტიკად დაცული აქვს შრომის კანონები. მანვე დაარსა მუშებისთვის ურთიერთ დამხმარე სალარო; აწარმოებს მუშებში პროპაგანდას და უხსნის მუშებს პროფკავშირების მნიშვნელობას; ჩაატარა კამპანია მუშკორებში ახალი წევრების ჩაწერის შესახებ.

სასტიკ ზომებს ღებულობს სიმულიაციის წინააღმდეგ.

ქარხკომსა და ადმინისტრაციის შორის არის კეთილი განწყობილება. მუშები კმაყოფილი არიან ქარხკომის მუშაობით.

მუშებში მაღლა სდგას კულტ-მუშაობა და გავრცელებულია ჟურნალ-გაზეთები.

კვირაში ორჯერ კლუბში მუშებისათვის იმართება უფასო წარმოდგენები.

მუშა ვარდენ.

ბორჯომის ბავშვთა კერა საუცხოვოდ მოწყობილია

რკინისგზის მე-2-რე ბავშვთა კერა წელს საზაფხულოდ ბორჯომ-ბალში იქნა გადაყვანილი. ივლისის ბოლო რიცხვებში თბილისში ხმები გავრცელდა ბავშვების „დიზენტერიით" ავადმყოფობის შესახებ, მეც მივიღე ცნობა: ჩემი ბავშვი მოთას ავადმყოფობის შესახებ. წავედით მშობლები და ერთ კვირაზე მეტი ხნით იქ დავრჩით. ამ ხნის განმავლობაში სრულიად დავრწმუნდით, რომ ბავშვთა კერა სდგას თავის სიმაღლეზე და ბავშვების მოვლა იდეალურად არის დაყენებული. ყველგან სუფევს სისუფთავე, საჭმელები მეტად ნოყიერი და კარგი აქვს ბავშვებს. ღამის 3 საათამდე ბავშვების დათვალიერება, ავადმყოფ ბავშვთან ყოფნა, ალერსი, როგორც გამგეს ამხ. ბაგუასა და ექსანიშვილსა, აგრეთვე ყველა თანამშრომელთა თავიანთ მოვალეობად გადაუქცევიათ. ბავშვთა კერა სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. აქ ყველაფერი თავის წესზე და რიგზეა.

დიდ მადლობას უცხადებთ ამავე კერის ექიმ ქალს თ. ყანჩელს და ბორჯომ-ბალის სავადმყოფოს ექიმს ზარამიძეს იმ ენერგიული შრომისა დახმარებისათვის, რომელიც მათ მიერ იქნა მიღებული ავადმყოფ ბავშვთა ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად.

მადლიერი მშობელი თომა ლორია.

მუშათა ქრონიკა

საპნის და ზეთის სახდელ ქარხანაში

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** საპნის სადუღებელ ქარხკომთან არსებულმა კულტ-კომისიამ მუშებში მოახდინა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია.

— **წითელ კუთხეში.** იმავე ქარხნის კულტ-კომისიამ დაარსა 6 წრე: ტანვარჯიშობის, დრამწრე, მუსიკალური, პიონერების და სხვა.

— **უბედური შემთხვევები.** ზეთისა და საპნის სახდელი ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში ჰქონია ალაგი სამ უბედურ შემთხვევას.

— **საზაფხულო ბაღის გახსნა.** საპნის და ზეთის სახდელი ქარხნის კულტ-კომისიამ მუშა-მოსამსახურეებისათვის გახსნა საზაფხულო ბაღი.

— **ტრამვაის აბონემენტის შემცირება.** ვინიდან ალაგი ჰქონდა ზედმეტ აბონემენტის დახარჯვას, მომჭირნეობისათვის მებრძოლმა კომისიამ შემცირა ზედმეტი აბონემენტები.

— **ავადმყოფობა მუშებში.** აღნიშნულ ქარხანაში ხშირია ავადმყოფობა—რევმატიზმით, ფილტვების ანთებით და სხვა. საჭიროა ზომების მიღება.

— **მაღაზიის გახსნა.** საპნის და ზეთის სახდელი ქარხნის ცენტრ. გამგეობა ამ მოკლე ხანში გახსნის ფართოფის მაღაზიას, სადაც სამუშაოზე მიღებული იქნებიან შტატგარეშე დარჩენილი მუშები.

— **სახელმწიფო ქონება არ უნდა ფუჭდებოდეს.** იმავე ქარხანაში არსებულმა მომჭირნეობისათვის მებრძოლმა კომისიამ დაადგინა: ყველა ის ქონება, რომელიც უსარგებლოდ ჰყრია ქარხანაში გაიყიდოს და მოხმარდეს წარმოებას.

— **წინადადება ადმინისტრაციას.** იმავე დარგის ადგილკომმა პლენუმმა დაადგინა: ადმინისტრაციას მიეცეს წინადადება მეისრეთა ქოხების შესაკეთებლად.

— **ზედმეტი ხაათების მუშაობის მოსპობა.** მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმმა დაადგინა: მიღებულ იქნას ზომები ზედმეტი სამუშაოების მოსასპობად.

— **ხელფასის დარიგება.** იმავე ადგილკომის პლენუმმა საჭიროდ სცნო, რათა გადადგმული იქნას ნაბიჯი ხელფასის დროზე დასარიგებლად.

— **ხადლეგატო კრებაზე** დაისვას საკითხი შ. ს. კ. 6 თვის მუშაობის შესახებ.

— **უმუშევართა რაოდენობა.** თბილისის რკ.-გზის უბნის ბირჟაში ივნისამდე ითვლება 353 უმუშევარი.

— **ტერიტორიალურ სალაროდან რკ.-გზის სალაროში გადასვლა.** საქონლის სადგურის მტვირთავი მუშები 15 ივლისიდან გადმორიცხეს ტერიტორიალურ სალაროდან თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროში.

— **კვალიფიციური მუშა-ხელი.** რკ.-გზის უმუშევართა ბირჟაში ივნისამდე ითვლება 36 კვალიფიკაციური მუშა-ხელი.

— **მოხსენებები მუშაობის შესახებ.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა საჭიროდ სცნო შორაპნის ადგილკომთან არსებულმა კომისიებმა გააკეთონ საერთო კრებაზე მოხსენება თავიანთ მუშაობის შესახებ.

— **სამუშაო ხელფასის გადიდება.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა შუამდგომლობს ა.-კ. რკ.-გზის საგზაო კომიტეტის წინაშე, რათა მოაგვაროს საკითხი გამსინჯველების ხელფასის გადიდების შესახებ.

— **კლუბის წევრთა რაოდენობა.** პლეხანოვის სახელობის კლუბი ამჟამად აერთიანებს 2100-ზე მეტ კლუბის წევრს.

— **„მზვერავი"** რკინისგზის მთავარ სავადმყოფოს კულტ-კომისია უშვებს ყოველ-თვიურ კედლის გაზეთს „მზვერავი"-ს სახელწოდებით.

— **კურორტზე გაგზავნა გათავდა.** თბილისის რკ.-გზის საუბნო დამზღვევმა სალარომ მუშა-მოსამსახურეების კურორტზე გაგზავნა გათავა.

— **კურორტის მაგიერ შვებულება.** თბილისის საუბნო დამზღვევი სალაროს ცნობით იმ პირთ, რომლებიც არ იყვნენ კურორტზე, ეძლევათ სათანადო შვებულება.

ნიხრი საზღვარ გარეთის პასპორტზე

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა ინსტრუქცია საზღვარგარეთის პასპორტების გაცემაზე გამოქვეყნებული კანონის ცხოვრებაში გატარების შესახებ: ამ ინსტრუქციის ძალით კანონით დაწესებულ ნორმალურ განაკვეთს გარდა, რომელიც გამოიხატება მშრომელი მოსახლეობისათვის 200 მანეთია და დანარჩენი მოქალაქეებისათვის 300 მანეთის გადახდაში—დაწესებულია კიდევ ორი კატეგორია შეღავათიანი განაკვეთის: 50 მან. და 100 მანეთიანი.

იმ კატეგორიას, რომელსაც 50 მანეთიანი განაკვეთის უფლება აქვს ეკუთვნის შემდეგი პირები: 1) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ღებულობენ თვეში არა უმეტეს 75 მანეთისა, გლეხები, რომლებიც განთავისუფლებული არიან სასოფ.-სამეურნეო გადასახადისაგან, შინა-მრეწველნი, ხელოსნები და საერთოდ მშრომელები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისაგან და აგრეთვე ზემოჩამოთვლილ პირთა ოჯახის წევრები, თუ ისინი მიდიან საზღვარგარეთ საექიმოთ—ხოლო საექიმოთ გამგზავრების აუცილებლობა დადასტურებული უნდა იქნეს ჯანმრთელობის განყოფილების კომისიის მიერ. იმათ ზემოთჩამოთვლილ პირებთან, ვინც დაბადებულია იმ ადგილებში, რომელიც ჩამოშორდა საბჭოთა კავშირს, თუ ისინი მიდიან საზღვარ-გარეთ სამუდამო საცხოვრებლად;

სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ მივლინებულ სამეცნიერო მუშაკებს; მოსწავლეებს, მივლინებულებს პრაქტიკის მიზნით; დელეგატებს სამხატვრო, ტეხნიკურ, პროფესიონალურ და გუმანიტარულ ორგანიზაციების ყრილობაზე დასასწრებლად და აგრეთვე სასპორტო ორგანიზაციებს შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებათ; საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც უცხოეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომის ოჯახის წევრად ითვლება და მიემგზავრებიან უცხოეთში სამუდამოთ საცხოვრებლად; იმ ოჯახის წევრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის საზღვარ-გარეთის დაწესებულებებში მოსამსახურეთა ხარჯზე იმყოფებიან, და მიემგზავრებიან მათთან სამსახურის ადგილებში. ას მანეთიანი განაკვეთის უფლება ეძლევა შემდეგ პირებს: ყველა იმ პირთ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს 50 მან. განაკვეთის კატეგორიაში, თუ ისინი მიემგზავრებიან საზღვარ-გარეთ არა ავადმყოფობის გამო, არამედ სხვა საჭიროებისათვის; დაბადებულებს იმ ადგილებში, რომლებიც ჩამოშორდა საბჭოთა კავშირს და მიდიან არა თავის დაბადების ადგილებში, არამედ საზღვარგარეთის სხვა რომელიმე ქვეყანაში; ყველა მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ღებულობენ თვეში 75 მანეთზე მეტს; გლეხებს, რომლებიც იხდიან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს; შინა-მრეწველებს, ხელოსნებს, და სხვებს, რომლებიც ცხოვრობენ პირადი შრომით, იხდიან საშემოსავლო გადასახადს (ბ) კატეგორიის მიხედვით და არ არიან დაბეგრილნი პროგრესიული გადასახადებით; ყველა ზემოჩამოთვლილ პირების ოჯახის წევრებს, თუ ისინი მიდიან საზღვარ-გარეთ საექიმოთ ან თავის ძველ სამშობლოში, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირში არ შედის.

საზღვარ-გარეთის პასპორტების მიღების დროს სავსებით თავისუფლდებიან გადასახადებისგან შემდეგი პირები:

იმ ოჯახის წევრები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ხარჯზე; უმუშევრები, რომლებიც ღებულობენ დახმარებას ან აქვთ უფლება დახმარების მიღების; გზათა კომისარიატის მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის დაწესებულებებში სამუშაოთ მივლინებულები წითელ-არმიელები, რომლებიც მუდმივ საცხოვრებელი ადგილებიდან მიდიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის ხაზზე; უპატრონო და მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც იგზავნებიან მშობლებთან საზღვარ-გარეთ.

დავით გურამიშვილი

ამ აგვისტოს 9-ს ქობულეთს მოკვდა ნიჭიერი ქართველი მოღვაწე დავით გურამიშვილი. ახალგაზრდობიდანვე ის გაერია ქართველ „ნაროდნიკების" წრეში და მათგან ორჯელ გაიგზავნა საზღვარგარეთ შეთქმულობის მიზნით. ოთხმოციანთ წლების დამდეგს მან საზოგადო ყურადღება მიიქცია ხუმარა წერილებით, რომელთაც ათავსებდა „ობზორ" და „ფალანგა"-ში. სახელგანთქმულმა უნგრელმა მხატვარმა ზიჩი-მ. რომელმაც „ვეფხვის ტყაოსანი" დაასურათა, აღმოაჩინა გურამიშვილში შესანიშნევი მხატვრული ნიჭი და დაჟინებით აიძულა ის წასულიყო სასწავლებლად მიუნხენში. იქ გურამიშვილმა დაჰყო ორიოდ-სამი წელიწადი, მაგრამ საშვალების უქონლობამ ნება არ მისცა სწავლა დაემთავრებინა. შინ დაბრუნების შემდეგ გურამიშვილი ჩაერია საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ამ მუშაობაში ის განსაკუთრებით ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ კახეთის რკინ. გზ. აშენება და პატრონობა კერძო მესაკუთრეების ხელიდან გამოეგლიჯა და ქვეყნის ქონებათ ექცია. მწარე და ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, გაძარცვება მას ერგო. მხატვრობის ასპარეზზე გურამიშვილი მეტად მკაცრად ეპყრობოდა თავის შრომას; იშვიათად აძლევდა თავის თავს ნებას გამოეფინა თავისი ნაწარმოები; ათასში ერთს თუ აქვეყნებდა მათგანს. უკანასკნელ ქართველ მხატვრების გამოფენაზე ყველამ ყურადღება მიაქცია მის ჩინებულ „ავტპორტრეტს". გარდაიცვალა გურამიშვილი 68 წლისა.

ქრონიკა

მისალმება გლეხებისაგან

ამხ. ფილიპე მახარაძის სახელზე ჭიათურიდან მიღებულია შემდეგი მისალმების დეპეშა: „შორაპნის მაზრის ღრიჩის მიყრუებული თემის ღარიბი გლეხობა მეტად გახარებულია ჩვენს თემში ტელეფონის ქსელის გამოყვანით, უღრმეს მადლობას სწირავს თქვენი სახით საქართველოს ცაკს დაუღალავი და ენერგიული შრომისათვის ღარიბი გლეხობის საკეთილდღეოთ. საბჭოს მონდობილობით ბაგრატ ლომიძე.

ამხ. მეშჩერიაკოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მეშჩერიაკოვი. მისი მიზანია გაეცნოს პოლიტგანათლების საქმის მდგომარეობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

ამხ. მეშჩერიაკოვი გაემგზავრა ქუთაისში ქოხ-სამკითხველოთა სამაზრო ყრილობაზე დასასწრებათ.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობაში

— **ქოხ-სამკითხველოთა გამგეების ყრილობა.** 11 აგვისტოს ქუთაისში გაიხსნა ქუთაისის მაზრის ქოხ-სამკითხველოთა გამგეების ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად თბილისიდან გაემგზავრენ ამჟამად საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. პოლიტგანის მთავარმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მეშჩერიაკოვი და საქ. პოლიტგანის მთავარმმართველობის გამგე ამხ. ღ. რუხაძე.

ექსკურსიები

— **მასიური ექსკურსიები.** შაბათს 14 აგვისტოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობს მასიურ ექსკურსიებს ბათომსა და ბორჯომში.

ჯანსახკომში

— **უფასო საექიმო დახმარება.** საქართველოს ჯანსახკომმა აცნობა პოლიტკატორღელთა სრულიად საკავშირო საზოგადოებას, რომ საქ. ტერიტორიაზე მცხოვრებ პოლიტკატორღელებს მიეცემათ უფასო საექიმო დახმარება.

— **პროფესიონალურ სნეულებათა შესწავლისათვის.** საქ. ჯანსახკომმა მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში მიავლინა ექიმი მახვილაძე, რომელიც უნდა გაეცნოს, თუ როგორ არის დაყენებული საქმე პროფესიონალურ სნეულებათა შემსწავლელ ინსტიტუტებში.

სხვადასხვა

— **შუამდგომლობა.** აჭარისტანის სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა შეცვლილ იქნეს ქუთაის-სამტრედია-ბათომის მატარებლების მიმოსვლის ცხრილი.

— **კომუნარების ბაღი.** კომუნარების ბაღის (ყოფილი ალექსანდროვის) მოწყობისათვის ყოველივე მუშაობა დამთავრებულია, მხოლოდ დარჩა გასაყვანი ელექტრონის სინათლე და დასადგმელია სკამები. ყველაფერი ეს დამთავრებული იქნება 15 აგვისტომდე. ამ დღისათვის მოხდება ბაღის საზეიმო გახსნა.

შემთხვევები

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს თანამშრომელმა ვასილიევმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მან ამავე უწყების დარაჯს კონსტანტინე ლოლუას დაავალა ფოსტაში მის სახელზე მოსულ 50 მან. მიღება. ლოლუა ფულის მიღების შემდეგ მიიმალა.

— გუშინ ს. ს. მილიციის თანამშრომლების მიერ ლოლუა დაპატიმრებული იქნა.

ლოლუა გამოტყდა დანაშაულში.

— **რევოლვერის მოპარვა.** 10 აგვისტოს სატყეო ტრესტის საერთო სადგომ ბინიდან (მახაბლის ქ. № 1) მოიპარეს „პარაბელიუმის" სისტემის რევოლვერი.

— **ფთიაქის გაქურდვა.** 10 აგვისტოს კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს (კომუნალური ქ. № 85) აფთიაქი, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 10 აგვისტოს რიყის ბაღში მძინარე მეეტლე ი. გეივანოვს ჯიბიდან ამოაცალეს 33 მან.; ჯიბგირი აღმოჩნდა სერგო კურკჩიანცი, რომელიც დააპატიმრეს.

— **მცირეწლოვანი ბოროტმოქმედი.** 10 აგვისტოს ბაყალების მოედანზე ქუჩაში გლეხს ა. შამილ-ოღლის ამოაცალეს ჯიბიდან 20 მან.; ჯიბგირი აღმოჩნდა მცირეწლოვანი ვლ. გუდკოვი, რომელიც დააპატიმრეს.

— **ბინის გაქურდვა.** 10 აგვისტოს გაქურდეს (ელისაბედის ქ. № 30-ში) ა. ეფიმოვას ბინა, საიდანაც წაღებულია 200 მ. სხვადასხვა ტანთსაცმელები.

— **მორგებული გასაღებით.** 10 აგვისტოს, მორგებული გასაღებით გაქურდულია კირკის ქ. № 30-ში მცხოვრებ ნ. კოპალეიშვილის ბინა, საიდანაც მოპარულია 150 მან. ტანთსაცმელები.

ხელოვნების ქრონიკა

— **სახალხო მომღერალთა გუნდის კონცერტი.** შაბათს 14 აგვისტოს, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკების კლუბში გაიმართება მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდის კონცერტი.

— **მუშათა ახალ კლუბში.** პარასკევს, 13 აგვისტოს, მუშათა ახალ კლუბში დამსახურებული მსახიობის ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

— **წითელი ჯარის კლუბი.** ამ თვის დამლევისთვის დამთავრდება საქ. წითელი ჯარის კლუბის შენობის კაპიტალური შეკეთება, რის შემდეგ კლუბში დაიწყება მუშაობა.

ბახმარო

მიუხედავათ წვიმიანი დღეებისა საკურორტო სეზონის დასაწყისშივე ბახმაროს დიდძალი მოაგარაკენი მიაწყდა.

არც ერთ წელიწადს მოაგარაკეთა რაოდენობა ბახმაროზე იმდენი არ ყოფილა, როგორც წლევანდელ სეზონში. ყველა შენობები და სახელდახელოდ აგებული დასასვენებელი სახლები ავსებულია მოაგარაკეებით.

უბინაობის გამო მოაგარაკეები იძულებული ხდებიან დაბინავდენ ჯერ დაუმთავრებელ სახლებში ან შეეხიზნონ ადრე მისულ მოაგარაკეებს.

ბახმაროზე მსგავსი ბინის სივიწროვე ჯერ არ ყოფილა მიუხედავათ იმისა, რომ სახლების რიცხვი საგრძნობლად გადიდებულია. გარდა დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმის შენობისა, რომელიც სახელმწიფო და პროფესიონალური ორგანიზაციები აგებენ,—სახლები გაშენებულია კერძო მოქალაქეების მიერაც.

განათლების მუშაკთა სახლის და სანატორიუმის აგება უკვე დამთავრდა.

უკვე ჩამოვიდა დასასვენებლად გამოგზავნილ მასწავლებელთა პირველი პარტია.

ბინის სივიწროვის გარდა, ბახმაროს მოაგარაკეებს აწუხებთ სურსათის კრიზისი და უფრო მეტად კი სიძვირე.

სააგარაკო სეზონი ბახმაროზე გაგრძელდება სექტემბრის პირველ რიცხვამდე.

სასამართლო

ცოლის დაჭრა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ გრიგოლიას მონაწილეობით გაარჩია კალაშვილის საქმე.

პირველ ხანებში კალაშვილი ცოლთან კარგს განწყობილებაში იყო. შემდეგ დაიწყო იჭვიანობა. ერთ დღეს ცოლის ხელში შეუნიშნავს ცხვირსახოცი, რომელიც სხვისათ მოსჩვენებია მას და უთქვამს ცოლისთვის, რომ მან კარგათ იცის, რომ ეს ცხვირსახოცი მას მიღებული აქვს „სატრფოსაგან“. ცოლმა ქმრის ასეთი მოქმედება შეურაცყოფათ მიიჩნია და სილა გააწნა მას. ჩხუბის დროს ბრალდებულმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი დამნაშავეთ სცნო და დასძინა, რომ იჭვიანობა გამოწვეული იყო ცოლისადმი უზომო სიყვარულით და პატივისცემით.

სასამართლომ ბრალდებულ კალაშვილს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მკვლელობა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ სიღნაღში გაარჩია კობერიძის საქმე.

კობერიძეს ბრალდებოდა მოქ. განუკიანცის მოკვლა.

ბრალდებულ კობერიძეს მოქ. განუკიანცის დახმარებით დაუწყია აგურის მზადება. ანგარიშების გასწორების ნიადაგზე მათ უსიამოვნება მოუვიდათ. კობერიძემ ცულით დაჭრა განუკიანცი. ამ ჭრილობისაგან უკანასკნელი გარდაიცვალა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ ბრალდებულ კობერიძეს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა—სასტიკი იზოლიაციით.

ხულიგნობისათვის

ხაჩატურ ბაბაიანცმა გადაჰკრა ღვინო და აღუშრა ნათესავური გრძნობა: მოისურვა ძმის ნახვა ღამის 2½ საათზე.

ბაბაიანცის შეშინებული ძმა წამოვარდა ლოგინიდან, როდესაც გაიგონა კარების ბრახუნი.

„რა ეშმაკმა მოგიყვანა აქ ამ დროს—შეჰყვირა ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე ძმამ“.

„ჩემო ძვირფასო ძამიკო, გადასძახა ხაჩატურმა ძმას, ხომ ცოცხალი ხარ, ხომ არ მომკვდარხარ?“

„რათ მეკითხები ამას, განა უნდა მომკვდარიყავი?“

„მაშ თუ არ მომკვდარხარ, წავიდეთ დასთან სტუმრათ, გავიგოთ ის ხომ არ მომკვდარა. მე მასთან არ ვყოფილვარ 1919 წლის შემდეგ“.

ამ დროს ბაბაიანცმა ისე მაგრა მოხვია ხელი კისერზე ძმას, რომ კინაღამ დაახრჩო იგი. ძმამ, როგორც იქნა თავი გაინთავისუფლა და დაუძახა მშველელს.

ბაბაიანცი მიაბრძანეს კომისარიატში. გზაში მან „მეტი სიყვარულით“ სცემა მილიციელს და მეეზოვეს.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა ბაბაიანცის საქმე.

„ნათესაური“ გრძნობების ასეთის „სიძლიერით“ გამოხატვისათვის სასამართლომ ბაბაიანცი ათი თვით ციხეში გაგზავნა.

კორხმაზოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ გამიკო კორხმაზოვს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

კორხმაზოვს ბრალდებოდა 1434 მან. გაფლანგვა თბილისის სტუდენტთა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე გაირჩა გუშინ.

უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

მეცნიერება და ტექნიკა

ხმელეთის წალეკვა ზღვების მიერ

ჩვენი პლანეტის ხმელეთი განუწყვეტლივ ილეკება წყლის მიერ.

თუ რამდენათ ძლიერი და საყოველთაოა ეს პროცესი, სჩანს მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან, რომლებიც ჩვენ თვალწინ ხდება. მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ პროცესში ზღვის ტალღები.

საფრანგეთის საოკეანოგრაფიო ინსტიტუტის პროფესორი **ალფონს ბერჟე**, რომელმაც შეისწავლა ზღვის ტალღების განმანადგურებელი მოქმედება, ოკეანების მიერ ხმელეთის შთანთქვის მეტად საინტერესო სურათს იძლევა.

გამოირკვა, რომ ტალღების ნორმალური დაწოლა კვადრ. მეტრზე უდრის 3.000 კილოგრამს ზაფხულში და 10.000 კილოგრამს ზამთარში. ხმელეთის ნაპირები, რომლებიც ძლიერი ტალღების საშინელ დარტყმას განიცდიან, ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ ინგრევა.

ნორფოლკისა და სუფფოლკის ნაპირები (ინგლისში) ყოველწლიურათ 1 მეტრს უთმობენ ოკეანეს. ინგლისის ნაპირებმა ასი წლის განმავლობაში სამი მეტრით დაიხია უკან. ძველი ქალაქი ბრიკონსტონი უკვე დაჰფარა წყალმა.

გამოანგარიშებულია, რომ 1.000.000 წლის განმავლობაში ინგლისი სრულიად დაიფარება წყალით.

კუნძულ ჰელგოლანდს უჭირავს 54,5 კვ. ჰექტარი, 1000 წლის წინათ კი იგი 60-ჯერ უფრო დიდი იყო. წყალმა შთანთქა მისი ნაპირები. კუნძულის შემდგომი ნგრევა შეაჩერეს გერმანელებმა, რომლებმაც კუნძულს ჯებირები შემოავლეს, რადგან ჰელგოლანდი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრია.

აპენინის ნახევარ კუნძულის (იტალია) ნაპირებმა, რომლებსაც ტირენის ზღვა აკრავს, დაუთმეს უკანასკნელს თავისი დიდი ნაწილი. იორკშირის ნაპირებზე (ინგლისი) სრულიად გაქრა 15 დაბა და ქალაქი, რომლებიც აღნიშნულია 1786 წ. რუკაზე.

საფრანგეთის სანაპიროებზე ოკეანეს მიაქვს კილომეტრი ხმელეთი.

საფრანგეთში, სადაც დანგრევის საფრთხე ემუქრება მთელ რიგ სანაპირო ქალაქებს, უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქნა მრავალი საზოგადოებები და კომისიები, რომლებიც მიზნათ ისახავენ ბრძოლას ზღვის ტალღების განმანადგურებელ გავლენასთან.

ასეთივე მდგომარეობაა ინგლისში, სადაც ზღვის ნაპირებზე მდებარე გვირაბებსა და რკინისგზის ხაზებს ანგრევენ ზღვის ტალღები.

საინტერესოა გაცნობა იმის, თუ რას გვეუბნება მეცნიერება ამ საკითხზე.

როგორც ვიცით, აუარებელი წყალი იყრის თავს ზღვებში ტბებში და დედამიწის სხვა ჩაღრმავებულ ადგილებში. მაგრამ რადგან მისი ზედაპირის უსწორმასწორობა თანდათანობით ქრება, დადგება ისეთი დრო, როცა ზღვები და ოკეანები გადმოვლენ ნაპირებიდან და დედამიწის მთელი ზედაპირი წყალით დაიფარება.

საინტერესოა გამოანგარიშება იმისა, თუ რამდენი დრო გავა დღეიდან ხმელეთის მთლიანად დანგრევამდი.

წყალს ზევით მდებარე ხმელეთის მოცულობა უდრის 1.000 მილიარდ კუბიკურ მეტრს (საშუალო სიმაღლე 700 მეტრი). მდინარეებს ყოველწლიურათ მიაქვთ 23.000 კუბ. მეტრი წყალი. წყალის 100.000 ნაწილი ჩვეულებრივათ შეიცავს 38 ნაწილ მაგარ სხეულებს. მაშასადამე მდინარეებს ოკეანეებში ყოველწლიურათ მიაქვთ 10.43 კუბ. კილომეტრი ხმელეთი. ამ რიგათ 10 მილიონი წლის განმავლობაში მარტო მდინარეები წარეცხავენ მთელ ხმელეთს. თუ მდინარეების განმანადგურებელ მოქმედებას მიუმატებთ ოკეანების ტალღების განმანადგურებელ მოქმედებას, მაშინ დედამიწის წარეცხის ვადა 8 მილიონ წლამდი შემცირდება.

მაგრამ გარდა მექანიკური ზეგავლენისა არსებობს კიდევ ქიმიური ზეგავლენა. 1 კუბიკური კილომეტრი მდინარის წყალი შეიცავს 182 ტონა გახსნილ ნივთიერებებს. ამის გამო ხმელეთი ყოველწლიურად კარგავს 17 კუბ. კილომეტრ მიწას. აქედან კი დასკვნა: 8 მილიონი წელიწადი კი არ დასჭირდება ოკეანების მიერ დედამიწის წალეკვას, არამედ 6 მილიონი წელიწადი.

მაგრამ ეს 6 მილიონი წელიწადიც უნდა შემცირდეს 4 მილიონ წლამდი, რადგან მდინარეების მიერ მიტანილი მიწა ამაღლებს ოკეანების და ზღვების დონეს და ისინი უფრო სწრაფად ფარავენ ხმელეთს.

წყალდიდობის თეორიის მომხრეები ლაპარაკობენ, რომ კაცობრიობას მოელის წარღვნის საფრთხე და ამიტომ მცურავი ქალაქების შენება უნდა შეუდგეთო.

მაგრამ მოველის თუ არა ნამდვილად ასეთი საფრთხე, თუგინდ შორეულ მომავალში?

წყლის ის რაოდენობა, რომელიც ქიმიურათ უერთდება დედამიწის სხვადასხვა ელემენტებს, იპარება მიწის სიღრმეში, იფანტება მსოფლიოს სივრცეში და სხვ., იმდენათ დიდია, რომ ჩვენს წინაშე იხატება სრულიად საწინააღმდეგო სურათი—დედამიწაზე წყლების თანდათანობით ამოშრობის და მისი უდაბნოთ ქცევის საფრთხე. ამრიგათ მსოფლიო წყალდიდობის ან წარღვნის იდეას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

მაგრამ, სანამ არსებობენ თანამედროვე ვეებერთელა ოკეანები და ზღვები, ზღვის ტალღებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ სანაპირო ქალაქებისა და სოფლებისათვის, და ამ მნიშვნელობით, სრულიად საფუძვლიანია ის შიში, რომელიც წარმოიშვა უკანასკნელ წლებში და ის ზომები რომლებსაც ტალღების განმანადგურებელი მოქმედების წინააღმდეგ იღებენ.

ფიზკულტურა

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება გერმანიაში

ბერლინი, 10 აგვისტო. დასავლეთ გერმანიის მუშათა სატანვარჯიშო საზოგადოებათა მიერ, გუშინ კელნში ჩატარებულ სასპორტო დღესასწაულზე ყველაზე უფრო საინტერესო მომენტი იყო, გერმანიის და საბჭოთა ფეხბურთელების შეჯიბრება 50.000 მაყურებლის წინაშე. შეჯიბრი დამთავრდა მოსკოველების გამარჯვებით 12-ით 2-ს წინააღმდეგ. ფრანგფურტში ამას წინათ მომხდარ შეჯიბრზე საბჭოთა გუნდმა 7 გაიტანა 1-ის წინააღმდეგ.

პროლეტარული სასპორტო მოძრაობა

ბერლინი, 10 აგვისტო. გერმანიაში მყოფ საბჭოთა კავშირის სასპორტო დელეგაციასა და გერმანიის სასპორტო გიმნასტიურ კავშირის გამგეობას შორის დაიდო შეთანხმება გაერთიანებულ მუშაობის შესახებ ორივე ქვეყნის მუშათა სასპორტო მოძრაობის სფეროში. ორივე ორგანიზაცია ვალდებულია ურთიერთს დახმარება გაუწიონ მუშათა სასპორტო მოძრაობის განვითარებას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე გერმანიაში. შეთანხმებაში გათვალისწინებულია სასპორტო წესების შემუშავება ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმებაში ნაჩვენებია, რომ თითეული მხარის სასპორტო ჯგუფს შეუძლია წლის განმავლობაში მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ხუთ შეჯიბრებაში.

ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ

პარიზი, 10 აგვისტო. სატლეტო შეჯიბრებაში გამოსულ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს და ატლეტებს 15.000 მუშა „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეხვდა.

ცხენთა გადარბენა

11 აგვისტოს, დილის 5 საათიდან დაიწყო ცხენთა გადარბენა თბილისიდან ვიდრე სოხუმამდის. ეს მანძილი გადარბენილ უნდა იქნას 14 დღის განმავლობაში.

გადარბენაში მონაწილეობს 22 ცხენი; ამათში 11 ყაბარდოულია, 4 ნახევრათ-ჯიშიანი, 2 უნგრეთისა, 1 დონის ჯიშის, 1 სპარსული და 3 უბრალო ჯიშის. ცხენი.

ვიდრე მთავარი გადარბენა დაიწყებოდა, მოწყობილი იყო საცდელი გადარბენა თბილისი-ლენინაკანი, რაც მშვენივრათ ჩატარდა.

გუშინ დიდი გადარბენის მონაწილენი თბილისიდან გაემართენ მცხეთისაკენ, აქ გვერდს აუქცევენ მცხეთას, წავლენ ძველი გზით, რომელიც რკინის გზის გაყვანამდის თბილისს აერთებდა ქუთაისთან.

წითელ ქალაქთან ეს გზა მტკვრის კალაპოტს უახლოვდება, გორთან კი მასთან გაივლის; აქედან გადარბენაში მონაწილენი მივლენ დიდლიახვის მიმდინარეობის გზით ქ. ცხინვალამდე; აქ იმათ უნდა გადალახონ სურამის ქედი, ამისათვის უნდა გაიარონ ფიჩხის ხეობა იქ, სადაც „წმინდა“ გიორგის ეკლესიის ნანგრევებია და ავიდენ მთა პერაგას მწვერვალზე.

აქედან კი იწყება თავდაღმართი მდ. ყვირილას ხეობისაკენ და ვიწრო ბილიკი საურმე გზათ იცვლება, რაც გრძელდება დაბა საჩხერემდის.

საჩხერეს შემდეგ გადარბენაში მონაწილენი დასტოვებენ ყვირილის ხეობას და შეუდგებიან რაჭის ქედის გადალახვას.

ჯრუჭის მონასტრის ახლოს შევლენ ჯრუჭის ულრან-ხეობაში და აქედან გადავლენ ლეჩხუმის მაზრაში ქალ. ცაგერამდის. შემდეგ მიაღწევენ ცხენის-წყალის ხეობას და შევლენ ქვედა სვანეთში.

აქედან ჩოლურის თემის გავლით გადავლენ ზემო-სვანეთში და მივლენ ბეჩოში. ბეჩოდან გზა დაუხვევს ინგურის ხეობაში და აღწევს სოფ. ლოხამულამდის. აქედან გზა გადადის ხიდის ხეობაში, რომელიც წარმოადგენს საზღვარს სვანეთსა და აფხაზეთს შორის. შემდეგ გზა ეშვება მდ. სეკენის ხეობაში და შედის კოდორის ხეობაში. აქედან გზა მიდის სოფ. ცებელდინსკამდის—აღწევს ოლგინსკაიას. აქედან ზღვის პირა შარაგზით აღწევს ქ. სოხუმამდის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 13|61

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. აგვისტოს 3.

ფართლეულობაზე მაქსიმალური საზღვრითი ზედნართის დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ა.-წ. ივლისის 31-ს დადგენილებისა, № 38/94 და გასაუქმებლად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. იანვრის 7-ს დადგენილებისა, № 16, 1925 წ. მაისის 13-ს დადგენილებისა, № 35, 1926 წ. ივლისის 8-ს დადგენილებისა, № 11/59 და 1926 წ. ივლისის 26-ს დადგენილებისა, № 12/60, —ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. საფეიქრო ნაკეთობათა ბითუმად გაცემა საკავშირო საფეიქრო სინდიკატისა და აგრეთვე ყველა იმ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებიდან, რომელთაც ფართლეულით ბითუმად ვაჭრობის უფლება აქვთ მინიჭებული,—უნდა სწარმოებდეს საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის მიერ სათანადო ტრესტებისათვის დამტკიცებულ პრეისკურანტებზე შემდეგი რაოდენობის ზედნართის დაწესებით:

ა) სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის და კოოპერაციისათვის გაცემის დროს

ფართლეულის დასახელება	თბილისში	ქუთაისში	ბათომში
ბამბეული ფართლეულობა	10,8%	11,60%	11,60%
მატყლის, საკამვოლო, და მაუდის ნაწარ.	7,75%	8,15%	8,15%
სელის ნაწარმოები	7,50%	7,60%	7,65%
ბ) კერძო ვაჭრებისათვის გაცემის დროს			
ბამბეული ფართლეულობა	12,30%	13,10%	3,10%
მატყლის, საკამვოლო და მაუდის ნაწ.	9,25%	9,65%	9,65%
სელის ნაწარმოებნი	9,0%	9,10%	9,15%

2. კოოპერატიული ცენტრებისა და მათ სისტემაში შემავალი შენაერთები — ორგანიზაციების მიერ ყველა ზემოთ დასახელებული სახის საფეიქრო ნაკეთობათა გაცემის დროს ამა დადგენილების 1 მუხლის ლიტერ „ა“-თი დაწესებული ზედნართი სათანადოთ გადიდებულ უნდა იქნეს 1%-ით.

3. ყველა ზემოთდასახელებული სახის საფეიქრო ნაკეთობათა წვრილი ბითუმად გაცემის დროს ამა დადგენილების 1 და მე-2 მუხლით დაწესებული ზედნართი სათანადოთ გადიდებული უნდა იქნეს 1%-ით.

შენიშვნა: ბითუმის, ნახევარ - ბითუმის და ცალობის ცნება განსაზღვრულია ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1926 წ. იანვრის 8-ს ცირკულიარით, № 389.

4. ცალობით გაყიდვა ყველა ზემოთდასახელებული სახის საფეიქრო ნაკეთობათა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერატიული ორგანიზაციების ყველა საგასაცემო ადგილებიდან და დუქნებიდან უნდა სწარმოებდეს ამა დადგენილების 1 მუხლში გათვალისწინებული ფასებზე შემდეგი მაქსიმალური საზღვრითი ზედნართის დაწესებით:

ფართლეულის დასახელება	რკინის გზის ხაზზე მდებარე ქალაქებსა და სოფლებში	ადგილებში, რომელიც დაშორებულია რკინის გზის ხაზიდან.		
		25 კილომეტრამდე	50 კილომეტრამდე	50 კილ. მეტით
ბამბეული ფართლეული, მატყლის მაუდის, საკამვოლო და სელის ნაწარ.	17 პროც.	18 პროც.	19 პროც.	20 პროც.

5. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციების შორის ა.-წ. ივლისის 20-მდე მომხდარი ფართლეულის გაყიდვის საბითუმო გარიგებათა შესახებ ანგარიშის გასწორება უნდა მოხდეს თანახმად ამა დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული ფასებისა.

6. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

7. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის თანამდებობის დროებით აღმასრულებელის მოადგილე — **ზერელაშვილი.**

საქმეთა მმართველი — **აბესაძე.**

იურიდიული დახმარება

სასეზონო ან დროებით სამუშაოზე მყოფ პირზე ვრცელდება თუ არა სოცდაზღვევა?

კითხვა

ჩვენ, ათი მუშა, ვმუშაობთ ჩაის ეოთერთ პლანტაციაში და ვითვლებით სასეზონო სამუშაოზე. მოვითხოვეთ დაზღვევა. მაგრამ ჩვენ ამაზე უარს გვეუბნებიან.

გთხოვთ ახსნაგანმარტებას, სოცდაზღვევა ვრცელდება თუ არა?

ხელს აწერს ათი მუშა.

პასუხი

უპირველეს ყოვლისა, ამხანაგებო, თქვენ უნდა იცოდეთ რომ სასეზონო მუშაობად ითვლება ისეთი ხანგრძლივი ხასიათის მუშაობა, რომლის შესრულება დაკავშირებულია წელიწადის განსაზღვრულ დროსთან ადგილობრივ კლიმატიურ (ამინდის) და სხვა პირობების მიხედვით (მაგ. სასოფლო-სამეურნეო და [illegible] მუშაობა.—ბამბის, პარკის, თუთუნის და ჩაის პლანტაციებში მუშაობა, თევზაობა და სხვ.).

დროებით სამუშაოთ კი ითვლება, თანახმად ამ.-კავ. შრომის სახკომატის ცირკულიარი № 25-ისა, ისეთი სამუშაო, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ თვეს.

რაც შეეხება სოცდაზღვევას, იგი ვრცელდება სასეზონო ან დროებით მომუშავეთა მხოლოდ ისეთი კატეგორიების მუშებზე, რომელთათვის სასეზონო ან დროებითი სამუშაო შეადგენს არსებობის ერთად-ერთ წყაროს (ე. ი. თუ კი აღნიშნული მომუშავენი არიან პროლეტარული ელემენტები, რომელთაც არ ჰქონიათ არსად სხვა საარსებო წყარო) **იხ. ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1923 წ. 1 ნოემბრის ცირკულიარი № 95).**

ფიზიკურ შრომის მუშას აქვს თუ არა უფლება გასცეს მიწა იჯარით

კითხვა

ვცხოვრობ თბილისში, ვარ ფიზიკური შრომის მუშა, მყავს დედა, მაქვს მიწის ნაჭერი ზომით ნახევარი ქცევა შორაპნის მაზრაში სოფელ ქვედა უსახელოში.

გთხოვთ განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება გადავსცე ეს მიწა იჯარით სამი წლით იმავე სოფელში მცხოვრებ გლეხს, (მე ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლითოგრაფიაში ქაღალდის დამწყობად).

მუშა—ავთანდილ ლაშხი.

პასუხი

ფიზიკური შრომის მუშას, რომელიც ეწევა წარმოებით შრომას სახელმწიფო ან კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში თანახმად მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 67-ისა, აქვს უფლება მიიღოს დასამუშავებლად მიწის ნახევარი ნორმა და იჯარითაც გაიცეს იგი, თანახმად იმავე კოდექსის მუხ. მუხ. 26—21, 33 და მის შენიშვნაში, მუხ. 34—36-ში გათვალისწინებული წესებისა. მიწის იჯარით გაცემის უფლება არა აქვს ისეთ კომლს, რომელიც სხვა ადგილზე გადასახლებისა ან სხვა საქმეზე გადასვლის გამო სრულიად მოსპობს საკუთარ მეურნეობას. **(იხ. იქავე მუხ. 32)**

პარტიული კალენდარი

1926 წ. 12 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტის შენობაში (კომინტერნის ქ. № 5 მე-2 სართული) შესდგება საქ. **რემედასის ტექას პრეზიდიუმის წევრთა მორიგი სხდომა.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ასრიბეგოვი, ჯიჯაძე, ბელიაევი, გენელიძე, ნაცვლიშვილი, მუმლაძე, არაზაშვილი და ალიხანოვი.

1926 წ. პარასკევს 13 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე საქ. რემედასის ც. კ. ბინაზე (კომინტერნის ქ. № 5 მე-2 სართული) შესდგება საქ. რემედასის-ა-კრებზა სუვოგზკლბ თრდსასხ **საქ. რემედასის ც. კ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.** დასწრება ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგების სავალდებულოა: ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ბელიაევი, ათაბეგოვი, გენელიძე, გუდავაძე, ქელიძე, არაზიშვილი, კიზირია, ნუცუბიძე, მუმლაძე, ნაცვლიშვილი და ხომერიკი.

ის ამხანაგები. რომლებიც თბილისის კომიტეტისა და მაზრებისადმი წილხვდომილი განრიგებით იგზავნებიან საკავშ. კომ. პარტიის ცეკასთან არსებულ სამაზრო პარტმუშაკთა კურსებზე, ვალდებული არიან გამოცხადდენ ცეკას აგიტპროპში—სამშაბათს, 17 აგვისტოს დილის 10 საათზე.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპის მდივანი სევ. ნინდაძე.

იმ მუშფაკელებს, რომელთაც მივლინება აქვთ მიღებული რ. ს. ფ. ს. რ. უმ. სასწავლებლებში, წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ განათლ. კომისარიატში 17-21 აგვისტოს 9-1 საათზე, ოთახი № 13.

ლ. ა. კ. ა. თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეს, 12 აგვისტოს, სრულს პირველ საათზე შესდგება ს. ლ. ა. კ. კ. თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.

საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის მე-3 რაიკომი აცხადებს, რომ დღეს, 12 აგვისტოს, საღამოს სრულს 6 საათზე, მე-3 რაიკომის შენობაში შესდგება მე-3 რაიონის ქალთა ორგანიზატორების კრება.

ყველა ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სთხოვს ქვემოხსენებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საღრიცხვო განყოფილებაში ამხ. ჩაჩანიძესთან 14 აგვისტომდე ; იმ შემთხვევაში, თუ კი ქვემოხსენებული ამხანაგები არ გამოცხადდებიან, ისინი რაიკომ. მექანიკურად გამორიცხებიან: 1) ართალაყვა, 2) არაქელოვი, 3) ავაკიანი, 4) ამბარცუმიანი, 5) ბაღდასარიანი, 6) ბადრიძე, 7) ბარამიძე, 8) ბაბაევი, 9) ბოჭორიშვილი, 10) ბაკალოვი, 11) ბაცაძაშვილი, 12) ბუშკინი, 13) ბორშჩევი, 14) ვაშჩურინი, 15) ბახტაძე, 16) რამიშვილი, 17) ვაშაძე, 18) ვაშაკიძე, 19) ვარდანიანი, 20) ვარამაშვილი, 21) გარსიანი, 22) გედევანიშვილი. 23) გრებენიკოვი, 24) გამყრელიძე, 25) გოჩალეიშვილი, 26) დაშინიანი, 27) დანელია, 28) ჯალაღანია, 29) ძივაშვილი, 30) ძნელაძე, 31) დეზუშჩენკო, 32) დოლიძე, 33) ეძგვერაძე, 34) ერენდიევი, 35) ზაქარაია, 36) ზანგურაშვილი, 37) ილიინა, 38) კანევსკი. 39) კირილოვი, 40) კვიკვიძე, 41) კანდარიანი, 42) კაკაბიძე, 43) კალანდაძე, 44) კვაჭანტირაძე, 45) ქურიძე ,46) ლიტოვკინი.

ოლღა ალექსანდრეს ასული და ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძენი ოჯახობით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს გადაცვალებას ძვირფასი ძმის და ცოლის-ძმის

დავით გურამიშვილის

გამოსვენება დიდუბის ეკლესიიდან და დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს ექვსის ნახევარზე

კლარა ფრანცის ასული და ქეთევან დავითის ასული გურამიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ

დავით გურამიშვილის

გამოსვენება დიდუბის ეკლესიიდან და დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში მოხდება ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს ექვსის ნახევარზე.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის სახვითი-ხელოვნების სექცია აცხადებს, რომ 9 აგვისტოს ა | წ. გარდაიცვალა მხატვარი

დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი

დაკრძალვა პანთეონში 12 აგვისტოს გამოსვენება ნიკოლოზის ეკლესიიდან 4 ნახ. საათზე.

გულდათუთქული და ოლღა შიოს ასული და სიძე დომენტი ოტიასძე ბენდუქიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 აგვისტოს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მუდამ საგონებელი სტუდენტი მე-2 კურსისა ტურინის (იტალია) პოლიტექნიკუმისა

კოსტა მიქაძე

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 83. დასაფლავება ხუთშაბათს, 12 აგვისტოს 4 საათზე. 3238

თავზარდაცემული დედა ანნა დიმიტრის ასული მიქაძე, დები — ნინა და თამარა, დეიდა მარიამ დიმიტრის ასული ყარალაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 აგვისტოს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მუდამ საგონებელი სტუდენტი მე-2 კურსის ტურინის (იტალია) პოლიტექნიკუმისა

კოსტა მიქაძე

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, დასაფლავება ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე. მისამართი: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 83. 3238

ღრმათ დამწუხრებული ლიზა შიოს ასული და გრიგოლ დიმიტრისძე ბაქრაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 8 აგვისტოს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ძმა და მეორეს ცოლისძმა ტურინის (იტალია) პოლიტექნიკუმის მე-2 კურსის სტუდენტი

კონსტანტინე (კოსტია) შიოს-ძე მიქაძე

გამოსვენება ხუთშაბათს, 12 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 83, დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დაწუხრებულნი მეუღლე მინადორა ბახვას ასული ლოლუასი, ვაჟები: ილიკო, ვახტანგ და გიორგი და დაი ნინო დავითის ასული მატახერიასი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მათი ძვირფას და საყვარელ მეუღლის, მამის და ძმის

ანდრია დავითის ძე ლოლუას

ქ. სურამში გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება თბილისში 12 აგვისტოს, ვერის ახალ სასაფლაოზე ვარდისუბნის ქ. ცხედარს გამოასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან ნაშუადღევის 5 საათზე

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი გარდაცვალებულ

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელის

ქვრივი—ფრანცისკა ივანეს ასული ამაშუკელისა ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც პირადი დ სწრებით ან წერილობით პატივი სცა გარდაცვალებულის ხსოვნას. 3243

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი ქმარი სოლომონ გრიგოლის-ძე მენაბდე, ძმა ანეპოდისტე ნესტორის-ძე ჯაფარიძე, დები—სონია, ნუცია, ალექსანდრა, ნინიჩკა, ქრისტინე, ცაბურა; სიძეები: იოსებ აბესაძე, ნიკიფორე გეგელია, ანდრო კანდელაკი; დისშვილები გრიშა და დათიკო ჩიკვაიძეები და ნინა და ლიუბა აბესაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ, რომ 9 აგვისტოს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

აგრაფინა ჯაფარიძე-მენაბდისა

რომლის დაკრძალვა მოხდება 13 აგვისტოს, დღით პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილი იქნება 12 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ყაზბეგის ქუჩა № 3. 3241 2—1

ღრმად დამწუხრებული დედა მართა ანჯაფარიძისა, ძმები: პლატონი ლავრენტი და გრიგოლი ანჯაფარიძენი, დები და რძლები შვილებით, სიძეები, და გაზრდილი ნინო სერგოს ასული ლობიშვილისა ქმარ-შვილებით ამით აუწყებენ ნათესავ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (ფილტვების ანთებით) რვა აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვიქტორ თადეოზის-ძე ანჯაფარიძე

გამოსვენება 13 აგვისტოს ტრამვაის ქუჩა № 5, საღამოს 5 საათზე, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 3240

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ზოლეი

დღეს,
ამერიკის პოპულიარული მსახიობები დოროტეა დალტონ და მილტონ სილსი
სურათში **„ველური კატა“** მხატვრ. დრამა 7 ნაწილად.
ანონსი: ორშაბათიდან—„ზეინაბ და რამლიკა“
ჩქარა—„მანდრენ“

პრემიერა
სიყვარულის გამარჯვება
(დრო ფულია)
ანონსი: ორშაბათიდან „ШАХ и МАТ“ მონაწილეობს პრისცილა დინ.

უკანასკნელი დღე
„ქინუღიანი ქეენობა“
ორი სერია—12 ნაწ. ერთად.
პარასკევიდან „ШАХ и МАТ“ მონაწილეობს პრისცილა დინ

ნ. 1613 0—9

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

კვირას, 22 აგვისტოს, 1926 წ. გურჯაანში
შესდგება კახელ-მევენახეთა კოოპერატიული საზ—ბა
„კახეთი“-ს
რწმუნებულთა ჩვეულებრივი
საზოგადო კრება
განსახილველია
1) გამგეობის მოხსენება 1923—1924 სამეურნეო წლის მუშაობის შესახებ.
2. გამგეობის მოხსენება 1924—1925 სამეურნეო წლის მუშაობის შესახებ და ინფორმაციული მოხსენება 1925—1926 სამეურნეო წლის მუშაობის შესახებ.
3. საბჭოს მოხსენება.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. წესდების გადასინჯვა.
6. 1925—1926 წლის ხარჯთა-აღრიცხვის განხილვა
7. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.
ნ. 1649 2—2. გამგეობა.

გალი ქალაქის სარევ. კომ. და გამგ. თავმჯდომარეები აცხადებენ: 12 ამა თვეს 8 საათ. საღ. პროფკავშირის პატარა დარბაზში **საზოგადოების კრებას.** მოხსენებები: გამგეობის და სერევიზიო კომისიის. 3244

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, გლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან გარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ხიდის ძველის მახლობლად. 25—1

ქ. ფოთის ალმასკომის მიერ 13 ამა აგვისტოს, დღის 12 საათზე, დანიშნულ განუმეორებელ და საბოლოოთ
საჯარო ვაჭრობით გაიცემა იჯარით
ორი წლის ვადით, ქალაქის რაიონის
სათევზაო—სამრეწველო წყლები
მსურველთ შეუძლიან გაეცნონ კონდიციას ალმასკომის კანცელარიაში.
ნ. 1661 ფოთის აღმასრულებელი კომიტეტი.

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 17 აგვისტოს 1926 წელს დილის 10 საათზე სოფ. მუხიანაში ისიდორე მიხეილის-ძე ლაშქარეიშვილის ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ხსენებული ისიდორე ლაშქარეიშვილის მოძრავი ქონება: 1) ერთი მეწველი ძროხა დაფას. 60 მან. 2) ორი დიდი თეთრი დედალი ღორი დაფას. 20 მან. და სხვ. ილია სულაკაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1663

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. კამოევი

აცხადებს, რომ 20 აგვისტოს 1926 წ. დღის 11 საათზე სოფელ ალბულახში სახალხო სასამართლოს ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფ. სამშვილდოში მცხოვრებ შაქრო ქამალოვის მოძრავ ქონებას: ორ თითო წლის და სამსამი თვის მოზვერებს და ერთ პურის ამბარის ნახევარს შეფასებულს 80 მანეთად არუთინ კეჩიევის ვალის დასაკმაყოფილებლადს თანახმად ალბულახის სახალხო სასამართლოსაგან 2 დეკემბრის 1926 წ. თარიღით № 1494 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 3235

15 აგვისტოს 1926 წელს დილის 9 საათიდან
მე-3-ე ქართული მსროლელი ლეგიონი
ნიშნავს ქ. გორში
საჯარო ვაჭრობას მოსახარში სანოვაგის (ხორცის შესვლით) გასაცემად მთელი წლით ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან მომავალი წლის 1-ლ ოქტომბრამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებნი უნდა გამოცხადდენ ქ. გორში ხსენებულ ლეგიონის სამეურნეო ნაწილში დასახელებულ დროს და ხელზე უნდა იქონიონ 500 მან. თითომ ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად, რაც უკან დაუბრუნდებათ იჯარის გაცემის შემდეგ. ხოლო ვისაც იჯარა დარჩება, უნდა წარმოადგინოს სათანადო მძევლი ფულად, ან მოძრავ ქონებით კანონიერი საბუთებით თან დართვით.
მე-3-ე ლეგიონის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში **შარიქაძე**
ნ. 1664

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. იოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე, სახლი № 54 დანიშნულია 24 აგვისტოს 1926 წ. დღით 10 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** ირმია მანუახისძე დავითიაშვილის შენობის ერთი-ერთ სართულიანი ქვეშ სარდაფით ხის სახლის, რომელიც შესდგება ორი ხის საცხოვრებელ ოთახისაგან ერთი სამზარეულოსაგან და ორი თვალი ქვიტკირის სარდაფისაგან, აგებული მიწაზე ზომით 100 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული 330 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან თამბაქოს ქარხნის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასებული თანხის 10 პროც. საწინდარი ნ. 1663

გა-ე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 14 აგვისტოს 1926 წ. საათის 12-ზე, ელისაბედის ქ. № 165, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოძრავ ქონებას კუზმა საველიევისას ძველ ტანისამოსს, საბადო, სკივრებს და სხვ. შეფასებულ 169 მან. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ ფასიდან. 3232

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქალ. ქუთაისში ლენინის ქუჩაზე სახლი № 3 დანიშნულია 20 აგვისტოს დღით 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** იოსებ მანუილისძე ფიჩხაძის ქონების ოჯახის მოწყობილობის კამოდს, საჭურჭლე შკაფს, პირისაბანს, საათს და სხვებს შეფასებულს სულ 108 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1663

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ლერმონტოვის ქუჩაზე სახლი № 4 დანიშნულია 20 აგვისტოს 1926 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** მოშე დავითიაშვილის ქონების საოჯახო მოწყობილობის: ბუფეტის შკაფის, მარმარილოს პირისაბანის, სამოვრის, სარკის და სხვების,—შეფასებულს სულ 230 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასაკმაყოფილებლად. ნ. 1663

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქალ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე № 153 დანიშნულია 24 აგვისტოს 1926 წ. დღით 12 საათზე სერაფიონ სიკოსძე იგივე სიმონისძე მორჩაძის შენობის მეორე **საჯარო ვაჭრობა** ერთ-ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლი, რომელიც შესდგება ქვეშ სამი თვალი პალატით და ზევით სამითვალი საცხოვრებელი ოთახით, აგებული მიწაზე ზომით დაახლოვებით 700 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 1500 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1663

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჯაფარიძის ქუჩის 3 ჩიხში № 1 დანიშნულია 25 აგვისტოს 1926 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** კონსტანტინე ასლანისძე აბულაძის ერთ ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლის, რომელიც შესდგება სამი თვალი საცხოვრებელი ოთახისაგან და ქვეშ სარდაფით და ერთი თვალი ქვიტკირის მოუთავებელი სამზარეულოსაგან, აგებული მიწაზე ზომით და ხელობით 80 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 800 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასებული თანხის 10 პროც საწინდარი. ნ. 1663

ქუთაისის 1-ლი უბნ-ს სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჯაფარიძის ქუჩაზე სიმონ უგრეხელიძის ბინაზე დანიშნულია 25 აგვისტოს 1926 წ. დღით 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** მის, სიმონ უგრეხელიძის ქონების მაგიდების, სარკის, შკაფების, სკამების, ნოხის, პირისაბანის და სხვა სახლის ავეჯეულობის, შეფასებულს სულ. 315 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე.—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 1663

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში საბჭოთა ქუჩაზე სახლი, № 67 დანიშნულია 23 აგვისტოს 1926 წ. დღით 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** მიხეილ იაკობიშვილის ქონების ოჯახის მოწყობილობას ტანისამოსის შკაფს, ბუფეტის შკაფს, კამოდს, მარმარილოს პირისაბანს და სხვებს შეფასებულს სულ 126 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე თამბაქოს ქარხნის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ნ. 1663

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩაზე სახლი № 37 დანიშნულია აგვისტოს 23 1926 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ზაქარია ოგანეზოვის ქონებას ოჯახის მოწყობილობას ბუფეთის შკაფს, კედლის სარკეს, ხელით საკერავ მანქანას, კამოდს, მარმარილოს პირისაბანს და სხვებს შეფასებულს სულ 300 მან. (სამასი). საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე თამბაქოს ქარხნის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1663

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. კამოევი

აცხადებს, რომ 22 აგვისტოს 1926 წ, დღის 11 საათზე სოფელ ალბულახში სახალხო სასამართლოს ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფელ დაღეთ-ხაჩინში მცხოვრებ ვანეს ტერ-ანდრიასოვის მოძრავ ქონებას: ერთ მუშა კამეჩს, ერთ ერთი წლის ხბოს შეფასებულს 250 მანეთად ივანე ბაირამოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ალბულახის სახალხო სასამართლოსაგან 10 ივნისს 1926 წ. თარიღით № 814 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 3235

დაიკარგა ნიგოითის (გურია) საქონლიდან ლაფშა ცხენი შემდეგი ნიშნებით: ტანად დიდი, შუბლ თეთრი, მარცხენა ბარკალზე დაღი „მ“ ვისთვისაც აღმოჩნდეს შეატყობინოს ნაგომარის რაიონში (ოზურგეთის მაზრა) **მიხეილ წულაძეს** 3214

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალები 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

დაიკარგა ამ. ლ. კ. კავშირის მანდატი № 3819. ს"ბჭ. მუშაკების პროფკ. წიგნაკი № 13096, ატესტატის ასლი, მეტრიკული ამონაწერი, მოწმობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, მიხეილ ალექსანდრის-ძე აბაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 3233

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1744, ნიკოლოზ მელიტონის-ძე ჯმუხაძეს სახელზე, ჩ. გ. 3239

დაიკარგა ტრამვაის მიმოსვლის წიგნაკი № 1720 და დამზღვევი კასის წიგნაკი სერაფიონ კეკელიძეს სახელზე, ჩ. გ. 3242

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 36, მოცემული ზესტაფონის სამხედრო მაგიდის მიერ ვასილ ბეჟუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3226

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი № 727, მიხეილ რაფაელის-ძე ხუხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3237

დაიკარგა პირადობის მოწმობა და საღრიცხვო ბარათი, ლევან დავითის-ძე ალადაძეს სახელზე, ჩ. გ. 3236

დაიკარგა მეორე ცხრაწლიან შრ. სკოლის დამთავრების მოწმობა № 820 ვლადიმერ ივანეს-ძე გერმანოზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3234

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი და პირადი მოწმობა № 26, პეტრე წყალობის-ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 3230

დაიკარგა საღრიცხვო ბარათი № 4925, კარაპეტ ხუმანოვის სახელზე, ჩ. გ. 3231

დაიკარგა მეტრიკა № 1294, გიორგი დავითის-ძე ყანყაველის სახელზე, ჩ. გ. 3227

დაიკარგა ს.კ.პ. საკანდიდატო ბილეთი № 10740 და ს.ა.ლ.კ.კ. საწევრო ბილეთი № 304, ვარლამ მურუსიძის სახელზე, ჩ. გ. 3229

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოწმობა ფ. № 4, ალექსანდრე დიომიდეს-ძე გუმბერიძის სახელზე, ჩ. გ. 3228

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 64